

იოსებ სალუქვაძე

**საზოგადოებრივი  
გეოგრაფიის  
საფუძვლები**

*სახელმძღვანელო/კონსპექტი  
თსუ სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის  
სტუდენტებისათვის*

თბილისი  
2008

იოსებ სალუქვაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საფუძვლები

*სახელმძღვანელო/კონსპექტი*

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის  
სტუდენტებისათვის

შენიშვნა:

წინამდებარე ვერსია წარმოადგენს სახელმძღვანელოს არასრულ ვარიანტს.

მისი გამოყენება განსაზღვრულია მხოლოდ 2016-2017 აკადემიური წლის განმავლობაში „საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავლის“ შემსწავლელ სტუდენტთა მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

სახელმძღვანელოს ან მისი ცალკეული ნაწილების ყველა სხვა მიზნით გამოყენების შემთხვევაში

დაუკავშირდით ავტორს: [joseph.salukvadze@tsu.ge](mailto:joseph.salukvadze@tsu.ge)

ავტორი მადლობას უხდის თსუ “საზოგადოებრივი გეოგრაფიის” სადოქტორო პროგრამის დოქტორანტს, დავით სიდამონიძეს, ამ სახელმძღვანელოში შეტანილი განახლებებისა და დაზუსტებების გამო.



**Joseph Salukvadze;**

**Basics of Human Geography**

*Manual for the students of the*

*Faculty of Social and Political Studies,*

*Tbilisi State University*

**Version 4.1**

**01.09.2016**

# შინაარსი

|  |            |
|--|------------|
| შესავალი გეოგრაფიის შესახებ-----   | 4          |
| <b>ნაწილი I. ადამიანი დედამიწაზე (მოსახლეობის გეოგრაფია)-----</b>  | <b>23</b>  |
| § 1.1 მსოფლიოს მზარდი მოსახლეობა-----  | 24         |
| § 1.2 მოსახლეობის აღწარმოების ტიპები. დემოგრაფიული პოლიტიკა-----   | 30         |
| § 1.3 მოსახლეობის შემადგენლობა-----  | 38         |
| § 1.4 მოსახლეობის ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური შემადგენლობა-----  | 45         |
| § 1.5 მოსახლეობის მიგრაცია-----  | 53         |
| § 1.6 მოსახლეობის განლაგება და სიმჭიდროვე-----   | 59         |
| § 1.7 საქალაქო და სასოფლო დასახლებები-----   | 69         |
| § 1.8 ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. ურბანიზაცია-----  | 78         |
| <b>ნაწილი II. რესურსები და ადამიანის საქმიანობა (ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია)-----</b>                  | <b>87</b>  |
| § 2.1 ბუნებრივი რესურსები და მათი ტიპები-----  | 88         |
| § 2.2. ბუნებრივი რესურსების განლაგება. რესურსებით უზრუნველყოფა-----  | 96         |
| § 2.3 მსოფლიო მეურნეობა: ზოგადი ნიშნები/დახასიათება-----   | 102        |
| § 2.4 მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა-----   | 110        |
| § 2.5 სოფლის მეურნეობის გეოგრაფია-----   | 115        |
| § 2.6 მრეწველობის გეოგრაფია: მრეწველობის ტიპები და განლაგების ფაქტორები. მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა----- | 124        |
| § 2.7 მესამეული და მეოთხეული დარგების გეოგრაფია-----   | 140        |
| <b>ნაწილი III. მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობა (პოლიტიკური გეოგრაფია)-----</b>                                     | <b>155</b> |
| § 3.1 მსოფლიოს პოლიტიკური რუკა-----  | 156        |
| § 3.2 ქვეყნები და მათი დაჯგუფება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით-----  | 162        |
| § 3.3 ქვეყნების მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმები-----   | 166        |
| § 3.4 საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო ორგანიზაციები-----   | 171        |

## შესავალი გეოგრაფიის შესახებ

### გეოგრაფიის საგანი

რას სწავლობს გეოგრაფია? ასეთი კითხვა ხშირად გვიჩნდება, როცა ამა თუ იმ მეცნიერებასთან, დისციპლინასთან გაცნობას ვაპირებთ. ისევე, როგორც მეცნიერების სხვა დარგების უმრავლესობას, გეოგრაფიასაც არ აქვს ერთი, საყოველთაოდ მიღებული, უნივერსალური განსაზღვრება. თუმცა, ყველა იმ განმარტებიდან, რომელიც გეოგრაფიის მრავალრიცხოვან სახელმძღვანელოებსა და სხვადასხვა აკადემიურ თუ სამეცნიერო გამოცემებში გვხვდება, გამომდინარეობს, რომ გეოგრაფია არის მეცნიერება დედამიწის ფარგლებში არსებული სივრცის, ადგილისა და მდებარეობის შესახებ. შესაბამისად, შეიძლება ამ დისციპლინის ერთ მეტად გამარტივებულ განსაზღვრებაზე შევჯერდეთ: გეოგრაფია შეისწავლის ადგილმდებარეობას, განლაგებას დედამიწაზე.

ბუნებრივია, ეს განსაზღვრება მეტად გასაგები და მისაღები რომ გახდეს, კიდევ ერთ ლოგიკურ კითხვას უნდა ვუპასუხოთ: *კერძოდ რის ადგილმდებარეობას სწავლობს გეოგრაფია?* პასუხი აქაც მარტივია – პრაქტიკულად ყველაფრის, რაც დედამიწაზე არსებობს და ხდება. მართლაც, გეოგრაფია შეისწავლის მთებსა და ქალაქებს, ატმოსფერული მასების მოძრაობას და მოსახლეობაში ეპიდემიების გავრცელებას, პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობასა და მათ ცვლილებას ქვეყნებსა და რეგიონებში და ტროპიკული ტყეების გაჩეხვის გავლენას გლობალური კლიმატის ცვლილებაზე და ა.შ.

ამ თვალსაზრისით გეოგრაფია გამორჩეული, *უნივერსალური* მეცნიერებაა, რომლის ინტერესის სფერო და კვლევის საგანი არ არის მკაცრად შემოსაზღვრული ბევრი სხვა დისციპლინის მსგავსად; მასში როგორც ბუნებასთან, ასევე ადამიანთა საზოგადოებასთან დაკავშირებული ობიექტების, მოვლენებისა და პროცესების უჩვეულოდ ფართო სპექტრი ხვდება.

ამავე დროს, მიუხედავად შესასწავლი საკითხების დიდი სიმრავლისა, გეოგრაფია ყოველთვის მოწოდებულია, რომ პასუხი გასცეს მისთვის ყველაზე სპეციფიკურ

და ცენტრალურ კითხვას – *სად?* ამით ის გარკვეულწილად ენათესავება კიდევ ერთ უნივერსალურ მეცნიერებას, *ისტორიას*, რომლისთვისაც მთავარ კითხვას წარმოადგენს – *როდის?*

მნიშვნელოვანია, რომ გეოგრაფიული მეცნიერება არ შემოიფარგლება მისთვის ცენტრალური საკითხის – ადგილმდებარეობის - შესწავლით. გეოგრაფის ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე იმის დადგენა, თუ *როგორ* ხდება დედამიწის ამა თუ იმ ადგილის ფორმირება, *რით* განსხვავდება ის სხვა ადგილებისაგან (ან ემსგავსება მათ) და *როგორი* კავშირები (ურთიერთქმედება) აქვს მათთან, *რატომ* არსებობს ეს განსხვავებები და ურთიერთკავშირები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე გეოგრაფია *ანალიტიკური* დისციპლინაა. თუმცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გეოგრაფია დიდწილად *აღწერილობითი* მეცნიერება იყო, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მის ბერძნულ დასახელებაშიც აისახა.

### **გეოგრაფიული მეცნიერების ევოლუცია**

გეოგრაფიას მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა გააჩნია. ის ცოდნის უძველესი სფეროა.

ადამიანს უხსოვარი დროიდან სჭირდებოდა იმ ადგილისა და გარემოს ცოდნა და გათავისება, სადაც ცხოვრობდა და საქმიანობდა. ადამიანებს ასევე აინტერესებდათ გაეგოთ, თუ როგორ გამოიყურებოდა მიმდებარე ტერიტორიები, რა ხდებოდა მათ გარემომცველ სივრცეში. ეს ცოდნა მხოლოდ ადამიანების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად კი არ იყო საჭირო, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნდა, რადგან მათ სიცოცხლეს უზრუნველყოფდა. ამრიგად, *გეოგრაფიული ცოდნა* და *ინფორმაცია* მუდამ იყო ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი.

ადამიანები ყოველთვის ამჩნევდნენ და აქცევდნენ ყურადღებას იმას, რომ სხვადასხვა ადგილები დედამიწაზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს განსხვავებები უკავშირდება როგორც *ბუნებრივ* ანუ *ფიზიკურ* გარემოს (მაგ. რელიეფი, ჰავა, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო), ისევე *ადამიანთა*

*საზოგადოებას* (მაგ. ენა, წეს-ჩვეულებები, მეურნეობის ტიპები, ცხოვრების წესი). თაობათა მიერ დაგროვებული გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე ადამიანები ცდილობდნენ არა მარტო დაედგინათ და აღეწერათ ცალკეული ტერიტორიებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, არამედ აეხსნათ სხვადასხვა ადგილებს შორის არსებული სხვაობებისა და მსგავსებების გამომწვევი მიზეზები და კანონზომიერებები.

საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში კაცობრიობის ცოდნა დედამიწისა და მისი ცალკეული ადგილების შესახებ სულ უფრო მდიდრდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცოდნამ გარკვეული ასახვა ადამიანების წარმოდგენებსა და მსოფლმხედველობაზე ჯერ კიდევ ადრეული ცივილიზაციების პერიოდში ჰპოვა, მის შედარებით მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებას კაცობრიობა ანტიკური ხანის საბერძნეთს უმაღლის. სწორედ ძველმა ბერძნებმა დაუდეს დასაბამი ერთიან სისტემად ჩამოყალიბებული მეცნიერების შექმნას, რომელსაც *ფილოსოფია* ( *φιλοσοφία* , ანუ ცოდნის სიყვარული) უწოდეს. ამ სისტემის თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენდა ცოდნა დედამიწის შესახებ, რასაც ბერძნებმა *გეოგრაფია* ( *γεωγραφία* ) დაარქვეს და რაც დედამიწის აღწერას ნიშნავს.

ბერძნულ-რომაული წინსვლის შემდგომ, გეოგრაფიის, ისევე როგორც ზოგადად მეცნიერების განვითარებას წინააღმდეგობით აღსავსე ხანა დაუდგა შუა საუკუნეების განმავლობაში. თუმცა, აღორძინებისა და, განსაკუთრებით, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში პროგრესის ნიშნები კვლავ გამოკრთა, გეოგრაფიას კი სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა და, თამამად შეიძლება ითქვას, ცოდნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფერო გახდა. (იხ. **ჩანართი 1**).


## ჩანართი 1. გეოგრაფია და გეოგრაფები მეცნიერების განვითარების ადრეულ ეტაპებზე

ანტიკური საბერძნეთის არაერთმა მოაზროვნემ შეიტანა წვლილი გეოგრაფიული აზრის განვითარებაში, თვალსაჩინო აღმოჩენებსა და მიგნებებში. ძველმა ბერძნებმა დაიწყეს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პრობლემების შესწავლა.

“ისტორიის მამად” წოდებულმა *ჰეროდოტემ* (ძვ.წ.აღ. 484-425), თავის უმნიშვნელოვანეს ნაშრომში “ისტორია”, პირველმა განიხილა ისტორიული მოვლენები გეოგრაფიულ კონტექსტში; ის შეეცადა აღეწერა იმ დროს ცნობილი სამყაროს ბუნებრივი და საზოგადოებრივ-გეოგრაფიული თავისებურებები და ისტორიული ხდომილებები მათთან მიმართებაში აეხსნა. სახელგანთქმულმა ფილოსოფოსმა *არისტოტელემ* (ძვ.წ.აღ. 384-322) თავის “მეტეოროლოგიაში” განიხილა დედამიწაზე მიმდინარე ისეთი პროცესები, როგორცაა ტემპერატურა, ქარები, ვულკანიზმი და ა.შ.

მრავალრიცხოვან ბერძენ სწავლულთა შორის გამორჩეული ადგილი *ერატოსთენეს* (ძვ.წ.აღ. 276-196) უკავია. არაერთ მეცნიერულ მიგნებასთან ერთად (საოცარია, რომ 2200-ზე მეტი წლის წინათ მან მზის სხივების დაცემის კუთხეებზე დაკვირვებისა და გონივრული მათემატიკური გამოთვლების საშუალებით მოახერხა დედამიწის გარშემოწერილობის, ე.ი. მისი სიდიდის, თითქმის ზუსტად განსაზღვრა – 40572 კმ, ნაცვლად სინამდვილეში არსებული 40091,4 კმ-ისა) დაწერა ცნობილი 17 ტომიანი ნაშრომი “გეოგრაფია” და შეადგინა დღემდე მოღწეული ერთ-ერთი პირველი მსოფლიო რუკა, რომელზეც იმ დროს ცნობილი სამყაროა ასახული (იხ. ნახ. 1). ამით მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია გეოგრაფიული აზრისა და ცოდნის შემდგომ განვითარებას მთელს მსოფლიოში. სავარაუდოდ, მასვე უკავშირდება ტერმინის – გეოგრაფია - შემოღება და არაა გასაკვირი, რომ *ერატოსთენეს* მომავალმა თაობებმა “გეოგრაფიის მამის” სახელი დაუმკვიდრეს.

ნახ. 1. ერატოსთენეს მიერ შედგენილი რუკის თანამედროვე ვერსია



მომდევნო პერიოდის ძველბერძენთა შორის აუცილებელია სტრაბონისა (ძვ.წ.ად. 63 - ახ.წ.ად. 24) და პტოლემეაიოსის (90-168 წწ.) დავაწლის აღნიშვნა გეოგრაფიის განვითარებაში. პირველი მათგანი ცნობილია თავისი სიღრმისეული ნაშრომით “გეოგრაფია”, მეორემ კი სახელი გაითქვა მიღწევებით ასტრონომიაში და რუკათშედგენაში. კერძოდ, პტოლემეაიოსმა გააუმჯობესა იმ დროს არსებული კარტოგრაფიული პროექცია, გამოიყენა კოორდინატთა სისტემა და ამის საფუძველზე შეადგინა მსოფლიოს რუკა, რომელზეც მაშინ ცნობილი 8000-ზე მეტი ობიექტი დაიტანა. მისმა გეოგრაფიულმა შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინეს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდის არაერთ მოგზაურზე, მათ შორის ქრისტეფორე კოლუმბზე.

ანტიკური საბერძნეთისა და რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპას “ბნელი” შუა საუკუნეების ეპოქა დაუდგა. განუწყვეტელი ომების, ეპიდემიებისა და მკაცრი რელიგიური დოგმატიზმის პირობებში დავიწყებამს მიეცა ანტიკური ხანის ბევრი მეცნიერული მიღწევა და აღმოჩენა. სანაცვლოდ, აღმავლობის გზაზე დამდგარმა არაბულმა ცივილიზაციამ იტვირთა ანტიკური ხანის მემკვიდრეობის ერთგვარი გაგრძელება და ახალი მიღწევებითა და აღმოჩენებით გაამდიდრა გეოგრაფია. არაბთა შორის განსაკუთრებით



გამორჩეულია მრავალმხრივი სწავლულის *იბნ-სინას* (ევროპულად *ავიცენა*, 980-1037 წწ.) სახელი. მისი მთავარი მიღწევები მედიცინისა და ფილოსოფიის დარგებს უკავშირდება, თუმცა მას “გეოლოგიის მამადაც” აღიარებენ, რადგან დიდია მისი დამსახურება მთათაწარმოქმნის, მათი აგებულების და მთების დაშლის პროცესების საფუძვლიან შესწავლაში.

არაბები, რომლებიც შორეულ ტერიტორიებს იპყრობდნენ, ბევრს მოგზაურობდნენ და ვაჭრობდნენ, უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ქვეყნებისა და მხარეების აღწერას, ახალი მონაცემების შეგროვებას და მათ ასახვას რუკებზე. აღნიშნულ სფეროებში საერთაშორისო მნიშვნელობის მიღწევები ეკუთვნის ცნობილ მოგზაურსა და მეცნიერს *იბნ-ბატუტას* (1304-1368 წწ.). მან თავისი ხანგრძლივი მოგზაურობების დროს მოინახულა, შეისწავლა და აღწერა არა მხოლოდ ვრცელი არაბული სამყარო (განსაკუთრებით ჩრდილო აფრიკა), არამედ მის მიღმა მდებარე რეგიონებიც, კერძოდ სამხრეთი აზია (ინდოსტანი) და ჩინეთის ჩრდილოეთი ნაწილი.

მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ცოდნა დააგროვეს შუა საუკუნეებში (განსაკუთრებით XI-XV სს.) *ჩინელებმაც*, რომელთა კულტურული და ეკონომიკური განვითარებაც საკმაოდ იზოლირებულად მიმდინარეობდა იმდროინდელი ევროპისა და ისლამური სამყაროსაგან, თუ არ ჩავთვლით სისტემატურ, მაგრამ დიდი მანძილებისა და უსაფრთხოების არარასებობის გამო გართულებულ, ვაჭრობას. ჩინელებს ეკუთვნით *კომპასის* გამოგონება, რამაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ნაოსნობისა და მოგზაურობის შემდგომ განვითარებას მთელს მსოფლიოში. მათვე დიდი წვლილი შეიტანეს წყნაროკეანური რეგიონის შესწავლაში, სადაც ჩინეთს სამხედრო ინტერესები გააჩნდა.

ევროპაში “ბნელ” შუა საუკუნეებს *აღორძინების პერიოდი* მოჰყვა (დაახლოებით XIV-XVII სს.), როცა მეცნიერებამ და გეოგრაფიამ ნელ-ნელა ისევ შეიძინა მნიშვნელობა, განსაკუთრებით შორეულ ქვეყნებთან სავაჭრო და სამხედრო მიზნებისათვის. ამ პერიოდის დასაწყისს მიეკუთვნება ცნობილი

მოგზაურის, ვენეციელი ვაჭრის *მარკო პოლოს* (1254-1324 წწ.) თავგადასავლებითა და ხიფათით აღსავსე მოგზაურობა სპარსეთში, ცენტრალურ აზიასა და ჩინეთში, რაც მისივე მონათხრობის საფუძველზე წიგნში იქნა ასახული (*მარკო პოლოს მოგზაურობა ანუ საოცრებათა წიგნი*).

ევროპის ძლიერმა საზღვაო სახელმწიფოებმა – პორტუგალიამ და ესპანეთმა – თანდათანობით გააძლიერეს სამხრეთი და აღმოსავლეთი აზიისაკენ ახალი, საზღვაო გზების მიგნების მცდელობები. 1418 წელს პორტუგალიელმა უფლისწულმა პენრიმ, იგივე *პენრი ნავიგატორმა* (1394-1460 წწ.) დაარსა მსოფლიოში პირველი გეოგრაფიული ინსტიტუტი. კვლავ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა ზუსტი რუკების შედგენამ და ქვეყნების აღწერამ. სწორედ ასეთმა მცდელობებმა, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალური გახდნენ ოსმალთა თურქების მიერ ბიზანტიური კონსტანტინოპოლის დაპყრობისა (1453 წ.) და სამხრეთი და აღმოსავლეთი აზიისაკენ არსებული სავაჭრო გზების გაუქმების შემდეგ, ძლიერი ბიძგი მისცეს დიდ გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქის დადგომას. ამ ეპოქის, რომელიც XIX საუკუნემდე გრძელდებოდა და რომელშიც უამრავი ცნობილი ზღვაოსანი, მოგზაური, ვაჭარი, სწავლული, მეკობრე თუ ავანტიურისტი წარმოჩინდა, გამორჩეულ გმირებს ამერიკის კონტინენტის ფაქტიური აღმოჩენი (1492 წ.), *ქრისტეფორე კოლუმბი* (1451-1506 წწ.) და დედამიწის გარშემო პირველი შემდგარი მოგზაურობის (1519-1522 წწ.) ხელმძღვანელი, *ფერნანდო მაგელანი* (1480-1521 წწ.) წარმოადგენენ. მოგვიანებით დიდ საზღვაო ქვეყნებს ბრიტანეთი, საფრანგეთი და ნიდერლანდიც შეუერთდნენ, რომელთა წარმომადგენლებმა/ქვეშევრდომებმა არაერთი ახალი ტერიტორია აღმოაჩინეს, ძირითადად დასავლეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში, და მათი მიწები საკუთარ სახელმწიფოებს კოლონიების სახით შეუერთეს ან დაუქვემდებარეს.

XVI-XVIII საუკუნეების დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს თან ახლდა არა მხოლოდ დეტალური და ზუსტი გეოგრაფიული ინფორმაციის შეგროვების საჭიროება, არამედ უფრო მეარი და დასაბუთებული *თეორიული*

საფუძვლების აუცილებლობაც. ამ თვალსაზრისით გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭებათ ბერნჰარდ ვარენიუსის ნაშრომს “ზოგადი გეოგრაფია” (გეოგრაფია ენერალის) და გერარდ მერკატორის ახალი კარტოგრაფიული პროექციით შედგენილ მსოფლიო რუკას. ეს ნაშრომები გეოგრაფიის მეცნიერების ახალ ეტაპზე გადასვლას მოასწავებდნენ.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და განსაკუთრებით XIX საუკუნეში ახალი მიწების აღმოჩენ მოგზაურებს მეცნიერული აღმოჩენების მოსურნე მოგზაურები შეუერთდნენ და დროთა განმავლობაში ჩანაცვლეს კიდევ ისინი. მათ მიზანს, როგორც წესი, წარმოადგენდა ბუნების ისტორიის შემეცნება, დედამიწაზე მიმდინარე მრავალფეროვანი ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების წარმოშობისა და განვითარების მეცნიერული დასაბუთება, ცალკეული გეოგრაფიული ობიექტების (მაგ. მდინარეები, მთები, ლანდშაფტები) და რეგიონების გამოკვლევა და გაანალიზება. ასეთ მკვლევართა შორის გამორჩეული ადგილი უკავია გერმანელ გეოგრაფს ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტს (1769-1859 წწ.). მან ბევრი იმოგზაურა ევროპასა და ლათინურ ამერიკაში და თავისი უნივერსალური ცოდნის (რაც მოიცავდა ბოტანიკას, ფიზიკას, ქიმიას, არქეოლოგიას, გეოლოგიას), გამჭრიახობისა და დაკვირვებულობის წყალობით შეძლო სხვადასხვა დისციპლინაში დაგროვებული ცოდნის სინთეზირება მწყობრ გეოგრაფიულ შეხვეულებებსა და კონცეფციებში. თავის სახელგანთქმულ ნაშრომში “კოსმოსი” მან მოახერხა მოეხდინა დედამიწის მრავლისმომცველი აღწერა.

მისმა თანამედროვემ და თანამემამულემ, კარლ რიტერმა (1779-1859 წწ.) ჰუმბოლდტის თანაზომად წარმატებებს მიაღწია დედამიწის ფორმირებაში ადამიანის ფაქტორისა და მისი როლის მეცნიერული ანალიზის კუთხით. დღემდე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მისი დაუმთავრებელი ნაშრომი “გეოგრაფია” (რდკუნდე). სწორედ რიტერი გახდა გერმანიაში პირველი გეოგრაფიული კათედრის გამგე 1820 წელს, ბერლინის უნივერსიტეტში. თვალსაჩინო მიღწევები გეოგრაფიის სფეროში გვიან შუა საუკუნეებში

ქართველებსაც ვკჳონდა. უფლისწულმა ვახუშტი ბატონი შვილმა (ბაგრატიონმა, 1696-1772 წწ.) ორიგინალური მეთოდების გამოყენებით ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა ჩვენი ქვეყანა; დაგვიტოვა მისი დეტალური აღწერა ფუნდამენტური ნაშრომის - “საქართველოს გეოგრაფია” - სახით და ბრწყინვალე რუკების ატლასი. მისი მთავარი სამეცნიერო დამსახურება კი იმაშია, რომ, როგორც ჩანს, მსოფლიოში პირველმა, ჰუმბოლდტზე გაცილებით ადრე, მოგვცა წარმოდგენა ველური მცენარეებისა და ცხოველების გავრცელების **ვერტიკალურ ზონალობაზე**. ამასთან ერთად, მან მოსკოვში ცხოვრებისას, რუს მეცნიერ მიხეილ ლომონოსოვთან (1711-1765 წწ.) ერთად, წვლილი დაიდო მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში (1755 წ.). ბუნებრივია, რომ ვახუშტი ქართული “გეოგრაფიის მამად” ითვლება და მისი სახელი ეწოდება *მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტს* თბილისში, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან არსებობს.

ძველი გეოგრაფების ნაშრომებისა და რუკების გაცნობა საფუძველს გვაძლევს დავაფასოთ მათი ავტორების ტალანტი და აღფრთოვანდეთ ადამიანის აზრის იმ საოცარი მიღწევებით, რომელსაც იმდროინდელმა საზოგადოებამ მიაღწია შედარებით მწირი ეკონომიკური, ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში. ამავე დროს, ბუნებრივია, რომ კაცობრიობის განვითარების შედარებით ადრეულ საფეხურებზე, ანტიკურ ეპოქაში, შუა საუკუნეებში ან თუნდაც კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე, სწავლულების, მოგზაურების, ვაჭრებისა და სხვათა ძალისხმევისა და მცდელობების მიუხედავად ცოდნა და შეხედულებები დედამიწისა და მისი ცალკეული ნაწილების შესახებ არ იყო სრულყოფილი, ყოვლისმომცველი და მთლად ადეკვატური არსებული რეალობისა.

ადამიანს კიდევ დიდი ხანი დასჭირდა, რათა მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი წარმოდგენა მიეღო სამყაროსა და დედამიწის შესახებ, აეხსნა მასზე მიმდინარე მოვლენები და პროცესები, დაედგინა მათი წარმოშობისა და განვითარების მიზეზები და კანონზომიერებები. მიუხედავად იმისა, რომ

ადრეულ პერიოდებთან შედარებით თანამედროვე ეპოქაში კაცობრიობამ ბევრად მეტი იცის თავისი პლანეტის შესახებ, ვერაინ იტყვის, რომ დედამიწის შემეცნების, გეოგრაფიული აღმოჩენებისა და მიგნებების პროცესი დასრულებულია. პირიქით, ეს პროცესი დღესაც გრძელდება, კიდევ ღრმავდება და ცხადია, რომ არასდროს შეწყდება, სანამ ადამიანი იარსებებს დედამიწაზე.

მას შემდეგ, რაც სამრეწველო წარმოებისა და, ზოგადად, კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარებასთან ერთად მეცნიერებამ თანამედროვე, *დასავლურ* ყაიდაზე დაიწყო ჩამოყალიბება, გეოგრაფიამ კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მეცნიერებათა სისტემაში. XIX საუკუნის შუახანებიდან ის აღიარებულ და მნიშვნელოვან დისციპლინად მოგვევლინა ევროპულ უნივერსიტეტებში. ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში დაიწყო გეოგრაფიული საზოგადოებების (ან კავშირების, ასოციაციების) შექმნაც, რომლებიც დედამიწის შესწავლით დაინტერესებული გეოგრაფების, ასევე სხვადასხვა დარგის მკვლევარების, სპეციალისტებისა თუ უბრალოდ ენთუზიასტების თავშეყრის, აზრთა გაზიარებისა და პრაქტიკული საქმიანობების (მაგ. ექსპედიციების) დაგეგმვისა და ორგანიზების ადგილს წარმოადგენდნენ. 1850 წელს ერთი ასეთი საზოგადოება თბილისშიც შეიქმნა, რომელსაც მაშინ რუსეთის იმპერიული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება დაერქვა; ის დღემდე მოქმედებს *საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების* სახელით. გეოგრაფია, როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინა, ისევე როგორც გეოგრაფიული საზოგადოებები, მოგვიანებით ჩრდილო ამერიკაში, ხოლო XX საუკუნის განმავლობაში მთელს მსოფლიოში გავრცელდა.

გეოგრაფია თანამედროვე ეტაპზე ტრადიციული აკადემიური დისციპლინაა და დედამიწის შესახებ სივრცითი/ტერიტორიული კვლევის უმთავრესი სამეცნიერო დარგია. მისი მნიშვნელობა ყოველსმომცველი **გლობალიზაციის** პირობებში არანაკლებია, ვიდრე ეს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში იყო. სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მცირე თუ დიდი მანძილებით დაშორებული


ადგილების, ქვეყნებისა და რეგიონების ურთიერთდაკავშირებულობა და ურთიერთდამოკიდებულება მთელი დედამიწის მასშტაბით იმდენად გაიზარდა უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, რომ პლანეტის ერთ კუთხეში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების (ბუნებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ა.შ.) სწორი და საფუძვლიანი ანალიზი შეუძლებელი ხდება სხვა ადგილებში არსებული მდგომარეობის ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე. დღევანდელი გეოგრაფია კი სათანადო მეთოდებით (ინსტრუმენტარით) აღჭურვილი ცოდნის სწორედ ის სფეროა, რომელსაც ძალუძს მეცნიერული ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე პასუხი გასცეს რთულ კითხვებს სივრცითი კავშირებისა და დამოკიდებულებების შესახებ. ჭინამდებარე სახელმძღვანელოშიც საკითხებისა და თემების უმრავლესობა სწორედ თანამედროვე გლობალიზაციის კონტექსტშია განხილული.

**გლობალიზაცია** აღნიშნავს ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკების, საზოგადოებებისა და კულტურების ინტეგრირების პროცესს, ერთიან გლობალურ (მსოფლიოს მომცველ) ურთიერთკავშირისა და ურთიერთგაცვლის ქსელში. მიჩნეულია, რომ გლობალიზაციას ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციოკულტურული, ტექნოლოგიური და ბიოლოგიური ფაქტორების კომბინაცია წარმართავს.

### **გეოგრაფია და საზოგადოებრივი გეოგრაფია**

გეოგრაფიის მეცნიერულ ინტერესთა ძალიან ფართო სპექტრი, რომელიც ერთნაირად სწვდება დედამიწის შემქმნელ ბუნების ძალებსაც და პლანეტის გარდამქმნელ ადამიანთა საქმიანობასაც, განაპირობებს მის შიდადისციპლინურ დაყოფა-დიფერენციაციას. გეოგრაფიის მრავალრიცხოვანი ქვედარგები ჯგუფდებიან ორ მთავარ ბლოკად ან ფრთად; ესენია: **საბუნებისმეტყველო (ფიზიკური) გეოგრაფია** და **საზოგადოებრივი (სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური) გეოგრაფია.** (იხ. ნახ. 2)

ნახ. 2. გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურა



ფიზიკური გეოგრაფია თავისი თემატიკითა და სპეციფიკით *საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა* რიგს მიეკუთვნება, საზოგადოებრივი გეოგრაფია კი – საზოგადოებრივ მეცნიერებებს. ამავე დროს, მკაფიო საზღვარი გეოგრაფიის ამ ორ მსხვილ ქვედანაყოფს, ისევე როგორც მათში შემავალ ცალკეულ დისციპლინებს (თუ ქვედისციპლინებს) შორის, ზოგჯერ ძნელი დასადგენია და დიდწილად პირობითია. *ინტეგრაციის* დონე მათ შორის საკმაოდ მაღალია. ის განსაკუთრებით ძლიერად ვლინდება გეოგრაფიის იმ ნაწილში, რომელიც შეისწავლის ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედების, ანუ *გეოგრაფიული ეკოლოგიის (გეოეკოლოგიის)* საკითხებს.

გეოგრაფიისათვის ტიპურია ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის პრობლემატიკის განხილვა კონკრეტულ *ლანდშაფტებთან* (დედამიწის ზედაპირის ხილულ ფორმებთან) ან ცალკეულ ტერიტორიებთან (როგორც დიდი ფართობის, მაგ. ქვეყნების, რეგიონების, ასევე შედარებით მცირე არეალების, მაგ.

ქვეყნის მომცრო ნაწილის, დასახლებული ადგილის) მიმართებაში. ასეთ შემთხვევებში ხდება ტერიტორიის **კომპლექსური** შესწავლა, სადაც რთულია უპირატესობა მიანიჭო ფიზიკურ ან საზოგადოებრივ გეოგრაფიულ შემადგენელს. გეოგრაფიის ეს ნაწილი **რეგიონული გეოგრაფიის** სახელითაა ცნობილი; ის გამჭოლი რგოლის (ქვეგანაყოფის, ქვებლოკის) სახით გასდევს ფიზიკურ და საზოგადოებრივ გეოგრაფიებს და ერთგვარად “კრავს” მათ.

გეოგრაფიის ორი მთავარი ფრთის უპირველესი გამაერთიანებელი რგოლი და დამაკავშირებელი ხილია **კარტოგრაფია**, რომელიც ერთი მხრივ გეოგრაფიის ცალკე ქვედარგია, საკუთარი კვლევის ობიექტით, მეორე მხრივ კი გეოგრაფიის ტექნიკური ინსტრუმენტია. ის ყველანაირი – როგორც ბუნებრივი, ისე საზოგადოებრივი – წარმომავლობის **გეოგრაფიული ინფორმაციის/მონაცემების** ვიზუალიზაციას (თვალსაჩინოებას) ემსახურება და ხშირად ამ ინფორმაციის შემდგომი ანალიზის საშუალებას იძლევა. კარტოგრაფია ნაირგვარი გეოგრაფიული ინფორმაციისა და სპეციფიკური კარტოგრაფიული მეთოდის საფუძველზე ქმნის **გეოგრაფიულ რუკებს**, გეოგრაფიის “საფირმო” პროდუქტს. (თუმცა თანამედროვე მეცნიერებაში და, ზოგადად, ადამიანების საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებაში რუკები გეოგრაფიის მიღმა უკვე ძალიან ფართოდ გამოიყენება). კარტოგრაფია კავშირშია მეცნიერების ტექნიკურ დარგებთან, როგორცაა გეოდეზია, საინჟინრო დისციპლინები, კომპიუტერული მეცნიერება; მასზე დიდ გავლენას ახდენს ტექნოლოგიების განვითარება და მათი გამოყენება რუკათწარმოებაში.

უკანასკნელ ათწლეულებში ელექტრონული, კომპიუტერული, სატელიტური, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უპრეცედენტო მიღწევებმა ტრადიციული კარტოგრაფიის წინსვლასთან ერთად ბიძგი მისცა **გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (გის)** შექმნა-განვითარებასა და ფართოდ დანერგვას. გის იძლევა ციფრული (დიגיტალური, კომპიუტერული) რუკების შექმნისა და მასზე გამოსახული ან მასთან დაკავშირებული ყველა ობიექტის შესახებ აღწერილობითი (ატრიბუტული) მონაცემთა ბაზების წარმოების საშუალებას. მაგალითად, დღეს უკვე ბევრი ადამიანი სარგებლობს ინტერნეტში



განთავსებული Google - ინფორმაციის საძიებო კორპორაციის მიერ გამოქვეყნებული რუკებით, რომლებიც ე.წ. *დისტანციური ზონდირებით* მიღებული სატელიტური (კოსმოსური თანამგზავრიდან გადაღებული) სურათების საფუძველზეა დამზადებული. რუკებს ახლავს “ბმული” ტექსტური აღწერილობები, ფოტოსურათები და სხვა მონაცემები, რომელთა მოხმარება ინტერაქტიულ (კითხვა-პასუხის, მოთხოვნა-მიწოდების) რეჟიმშია შესაძლებელი. ეს პროდუქტი გის-ის ნიმუშს წარმოადგენს.

გეოგრაფიის შინაგანი არაერთგვაროვნების გამო ზოგჯერ ჩნდება კითხვა: *ერთიანია თუ არა გეოგრაფიული მეცნიერება?* მიუხედავად გეოგრაფიის მეტად ფართო განფენისა საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა შორის, რაც მასში შემავალი დისციპლინების მრავალფეროვნებას და განსხვავებულობას მოწმობს, ამ მეცნიერების *ერთიანობა/მთლიანობა* მაინც სახეზეა. ამის საფუძველს კი, პირველ ყოვლისა, გეოგრაფიული დისციპლინებისათვის უნიკალური და საერთო, სხვა მეცნიერებებთან შედარებით კი განსხვავებული და უჩვეულო, *სივრცითი მიდგომის* და თანმხლები *მეთოდის* (მაგ. სივრცე-დროითი, კარტოგრაფიული, გეოინფორმაციული) გამოყენება განაპირობებს.

**საზოგადოებრივი გეოგრაფია**, რომელიც ადამიანთა არსებობის, ყოფაცხოვრებისა და საქმიანობის სივრცით გამოვლინებას და ტერიტორიულ განლაგებას შეისწავლის, გეოგრაფიული მეცნიერების ერთი უმთავრესი ინტეგრალური ნაწილია (ფიზიკურ გეოგრაფიასთან ერთად). ამავე დროს, ის თვითონაცაა ქვედარგებად (შიდა დისციპლინებად) დიფერენცირებული, რაც **ნახ. 3** – ზეა ასახული.


საზოგადოებრივი გეოგრაფიის თითოეულ ქვედარგს შესწავლის მსგავსი ან საერთო სფერო და თემატიკა აქვს მომიჯნავე სოციალურ, პოლიტიკურ თუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებთან. *მაშ რითი განსხვავდება რომელიმე სფეროს გეოგრაფიული შესწავლა სხვა დისციპლინის მიერ შესწავლისაგან?* მაგალითად, ეკონომიკა სწავლობს პროდუქციის წარმოებას, საქონლისა და მომსახურების განაწილებას და მოხმარებას. მას აინტერესებს როგორ იყენებს

რესურსს ადამიანი თავისი ცხოვრების უზრუნველსაყოფად; იკვლევს ისეთ საკითხებს, როგორცაა რესურსების განლაგების ხარჯები და მოგება, ეკონომიკური ცვლილებების მიზეზები, ფულადი პოლიტიკის გავლენა, სხვადასხვა ეკონომიკური სისტემის მოქმედება, მოთხოვნა-მიწოდების პრობლემები, წარმოების ციკლები და პროგნოზი. გეოგრაფიასაც აინტერესებს თუ როგორ ხდება ადამიანის მიერ თავისი ცხოვრების უზრუნველყოფა, მაგრამ *ეკონომ-გეოგრაფებისათვის* მნიშვნელოვანია თუ **სად** (გაიხსენეთ ეს გეოგრაფისათვის ცენტრალური კითხვა) განთავსდება ეკონომიკური საქმიანობა და რა განაპირობებს ასეთ განლაგებას. ისინი ყურადღებას ამახვილებენ ეკონომიკურ სისტემაზე, რომელშიც ხდება ადამიანის ცხოვრების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით იმ სივრცით ურთიერთკავშირებზე, რომლებიც აყალიბებენ ასეთ ეკონომიკურ სისტემას.

გეოგრაფია მაინტეგრირებელი, გამაერთიანებელი მეცნიერებაა; ის თავს უყრის სხვადასხვა დისციპლინებს შორის განაწილებულ ცოდნას და მონაცემებს, აკავშირებს მათ ერთმანეთთან და “აბამს” კონკრეტულ ადგილს (ადგილებს – ქვეყანას, რეგიონს, არეალს), რითაც ქმნის ერთიან, განზოგადებულ, მკაფიო სურათს.

სწორედ ამაში მდგომარეობს გეოგრაფიის სივრცითი მიდგომის სპეციფიკა, რაც დამახასიათებელია თითოეული გეოგრაფიული თუ საზოგადოებრივ - გეოგრაფიული დისციპლინისათვის.

ნახ. 3. საზოგადოებრივი გეოგრაფიის სტრუქტურა და მომიჯნავე დისციპლინები



**წყარო:** Fellmann, J., A. Getis & J. Getis. 2005. *Human Geography: Landscapes of Human Activities*, 8th edition. McGraw – Hill; p.7. ივ 1.3-ის მიხედვით. სხვა წყაროებში შეიძლება გეოგრაფიის სტრუქტურა ცოტა განსხვავებული სახითაც იხილოთ: მაგალითად, ცალკე ქვედისციპლინად იყოს გამოყოფილი ისტორიული გეოგრაფია, თეორიული გეოგრაფია და სხვა.

### კარიერები გეოგრაფიაში

სად საქმეებიან გეოგრაფები? ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია იმ ახალგაზრდებისათვის/სტუდენტებისათვის, რომლებმაც გეოგრაფია, კერძოდ საზოგადოებრივი გეოგრაფია აირჩიეს თავიანთ სპეციალობად (ე.წ. *მეიჯორად* ან *მაინორად*) ან ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება მომავალი პროფესიის შესახებ. ამ საკითხში გარკვეული ბუნდოვანება შეაქვს იმ რეალობას, რომ გეოგრაფის, ისევე როგორც ზოგი სხვა ფუნდამენტური მეცნიერების წარმომადგენლის – მაგ. ისტორიკოსის, მათემატიკოსის, ფიზიკოსის – სპეციალობის ტერმინულად შესატყვისი თანამდებობა იშვიათად თუ შეგვხვდება რომელიმე სახელმწიფო სამსახურში ან კერძო კომპანიაში. ამავე დროს, ბევრი

გამოყენებითი დისციპლინის სახელის შესაბამის სამუშაო პოზიციას – მაგ. ბუღალტრის, ეკონომისტის, ფსიქოლოგის, ჟურნალისტის – არცთუ იშვიათად შეხვდებით.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიული განათლება დასაქმების ფართო და მრავალფეროვან შესაძლებლობებს ქმნის როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ სამწუხაროდ, განვითარებული სამყაროსაგან განსხვავებით ჩვენთან დასაქმების ბაზარი მწირია და სუსტადაა დივერსიფიცირებული. გეოგრაფის შედარებით კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე განაპირობებს გეოგრაფიული ცოდნის ფართო და მრავალფეროვანი ხასიათი, სივრცითი ანალიზის უნარი, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და წარმოდგენის სპეციფიკური ტექნიკის (მაგ. სავლელე კვლევა, რუკები, გის) ფლობა, პრობლემების მიმართ ინტეგრირებული თვალთახედვისა და მიდგომების ქონა.

კონკრეტულად, გეოგრაფების დასაქმების ყველაზე ტიპური სფეროები და სექტორებია:

- ყველა დონის *სახელმწიფო მმართველობის* ორგანოები (ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული) და *სამოქალაქო სექტორი* (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციები), განსაკუთრებით გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური, ქალაქგეგმარებისა და რეგიონული დაგეგმვის, სოციალური, ეკონომიკური, საინფორმაციო-სტატისტიკური, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სამსახურები და ორგანიზაციები (სამინისტროები, დეპარტამენტები, სააგენტოები);
- *განათლებისა და მეცნიერების სფერო* – უმაღლესი სასწავლებლები, კვლევითი დაწესებულებები და საშუალო სკოლები;
- *კერძო ბიზნესი*, განსაკუთრებით ტურისტული, მარკეტინგული, დეველოპერული (საპროექტო-სამშენებლო) და უძრავი ქონების, გეოსაიფორმაციო (რუკათწარმოების, გის, დისტანციური ზონდირების) და

კომუნიკაციური ტექნოლოგიების, საკონსულტაციო ფირმები და კომპანიები;

- *საერთაშორისო საქმიანობა და დიპლომატიური სამსახური.* ინტეგრირებული ცოდნა რეგიონებისა და ქვეყნების შესახებ, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, ინფორმაციის (მათ შორის სივრცითი) დამუშავებისა და ინტერპრეტაცია-ანალიზის უნარი, ხშირ შემთხვევაში კონკრეტული ქვეყნის ენის ცოდნასთან ერთად, გეოგრაფებს (განსაკუთრებით საზოგადოებრივ გეოგრაფებს) მეტად ღირებულ და სასურველ კადრებად ხდის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სააგენტოებში, სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში მონაწილეობისათვის, საგარეო საქმეთა სამინისტროში დასასაქმებლად და უცხოურ მისიებში წარსაგზავნად. (ნიშანდობლივია, რომ გეოგრაფები ჩვენი ქვეყნის დიპლომატიური კორპუსის საგრძნობ ნაწილს შეადგენენ, რომელთაგან ათზე მეტი საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში ელჩი იყო ან ამჟამად არის.)

ზემოთ ჩამოთვლილი არ ამოწურავს გეოგრაფების დასაქმების შესაძლებლობებს. მათ მრავლად ნახავთ საბანკო-საფინანსო სექტორსა თუ პოლიტიკაში, სპორტში, ხელოვნებასა და ძალოვან სტრუქტურებშიც. თუმცა, ამას დასაქმების ტიპიურ შემთხვევებად ვერ განვიხილავთ.

საყურადღებოა, ერთი გარემოებაც: გეოგრაფიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ დისციპლინის ცოდნა, თუნდაც საბაზისო დონეზე, მხოლოდ ამ დარგის პროფესიონალებისათვის არ არის საჭირო. არსებობს მეცნიერების რამდენიმე დარგი, რომლის საფუძვლების დაუფლება ყველა განათლებული ადამიანისათვისაა სასურველი, მეტიც, აუცილებელი. ბევრნი გეოგრაფიას ასეთ დარგთა შორის განიხილავენ. მაგალითისათვის მოვიყვან აშშ-ის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ყოფილი პრეზიდენტის (ჩვენებურად – რექტორის) ისაია ბოუმანის ნათქვამს: “არავინ არის განათლებული, ვისაც არ გააჩნია დროის [ისტორიის] და ადგილის [გეოგრაფიის] აღქმა”.

მართლაც, გეოგრაფია *ლიბერალური განათლების* მიზნებს ემსახურება. ის ჩვენ გვეხმარება რომ გავხდეთ უფრო გათვითცნობიერებული მოქალაქეები, შევძლოთ უკეთ გავიაზროთ ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც დგას ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის და მთელი ჩვენი პლანეტის წინაშე და ვიყოთ მზად, რომ პოზიტიური წვლილი შევიტანოთ ამ გამოწვევების გადაწყვეტაში.

ნაწილი I  
ადამიანი დედამიწაზე  
*(მოსახლეობის გეოგრაფია)*

§1.1. მსოფლიოს მზარდი მოსახლეობა

რამდენი ადამიანი ცხოვრობს დედამიწაზე? ასეთი კითხვა ბევრ ჩვენთაგანს უნდება, მაგრამ მასზე ზუსტი პასუხის გაცემა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა ძალიან სწრაფად იცვლება. ყოველწლიურად, ყოველდღიურად, ყოველი საათისა და წუთის განმავლობაშიც კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იბადებიან და კვებიან ადამიანები, რასაც სათანადო კორექტივები შეაქვს მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებელში. *დროის მიხედვით მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას მსოფლიოში და ცალკეულ ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა ეწოდება.*

მიუხედავად მუდმივი ცვლილებისა, მეცნიერები და სპეციალისტები მაინც იძლევიან მეტ-ნაკლებად სარწმუნო ციფრებს მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობის შესახებ. დანამდვილებითაა ცნობილი, რომ 1999 წელს მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობამ 6 მილიარდს მიაღწია, ხოლო 2016 წელს ამ მაჩვენებელმა 7,4 მილიარდს გადააჭარბა.


რის საფუძველზე ადგენენ ექსპერტები მოსახლეობის რაოდენობას? ყველასათვის ნათელია, რომ მთელს მსოფლიოში, ან თუნდაც მის ცალკეულ ნაწილებში, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში მოსახლეობის დათვლა ფიზიკურად შეუძლებელია. მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა ძირითადად სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული *მოსახლეობის აღწერის* მონაცემებსა და მათ საფუძველზე წარმოებულ შეფასებებს ეყრდნობა. მოსახლეობის აღწერები განსაზღვრული პერიოდულობით (როგორც წესი 10 წელიწადში ერთხელ) თანამედროვე მსოფლიოს ქვეყანათა დიდ უმრავლესობაში ტარდება.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე დედამიწაზე არასდროს უცხოვრია იმდენ ადამიანს, რამდენიც დღეს ცხოვრობს. როგორ იცვლებოდა მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა დროთა განმავლობაში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილად შეიძლება მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის ამსახველი გრაფიკის (იხ. **ნახ. 4**) გაცნობით. მასზე ნათლად ჩანს, რომ უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიოში საკმაოდ ნელა იზრდებოდა



და 1 მილიარდს არასდროს აღემატებოდა. თითქმის 100 წელი დასჭირდა მოსახლეობის 1 მილიარდიდან 2 მილიარდამდე გაზრდას ანუ გაორმაგებას, რაც XX საუკუნის დასაწყისში მოხდა. განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ხდება მოსახლეობის რაოდენობის ზრდა 1950-იანი წლებიდან. სავარაუდოა, რომ მოსახლეობის მატების მაღალი ტემპები მომავალი რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაშიც გაგრძელდება.

ნახ. 4. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა



თითქმის 12 ათასი წელიწადი დასჭირდა იმას, რომ მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე ერთი მილიარდი გამხდარიყო. მეცნიერთა აზრით ეს დაახლოებით 1820 წელს მოხდა. მოსახლეობის შემდეგი ერთი მლრდ-ით გაზრდისათვის კი ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი ხანი გახდა საკმარისი: 1927 წელს მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ 2 მლრდ შეადგინა. 1960 წელს, ე.ი. 33 წლის შემდეგ დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობამ უკვე 3 მილიარდს მიაღწია. გავიდა კიდევ 14 წელი და 1974 წელს დედამიწას 4 მემილიარდე მცხოვრები მოეკლინა, 1987 წელს (კიდევ 13 წელიწადში) მოსახლეობის რაოდენობა 5 მლრდ გახდა, 1999 წელს (12 წელიწადში) - 6 მლრდ, 2011 წელს კი (12 წელიწადში) – 7 მლრდ.

ზემოთმოყვანილი მონაცემები ასევე გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის გაორმაგებას 1-დან 2 მლრდ-მდე 107 წელი დასჭირდა, შემდგომ გაორმაგებას 4 მლრდ-მდე კი – მხოლოდ 47 წელი. ეს მაჩვენებლები თვალნათლივ ასახავენ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ძალიან სწრაფ ტემპებს.

### მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. დემოგრაფიული გადასვლის მოდელი

რატომ იცვლება მოსახლეობის რაოდენობა დედამიწაზე? მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას განაპირობებს, ერთის მხრივ, ახალშობილთა რაოდენობა, ე.ი. **შობადობის დონე** და, მეორე მხრივ, გარდაცვლილთა რაოდენობა, ე.ი. **სიკვდილიანობის დონე**. შობადობის სიჭარბე სიკვდილიანობასთან შედარებით განსაზღვრავს მოსახლეობის მატების რაოდენობას, ანუ **ბუნებრივ მატებას**. თუ შობადობა ჩამოუვარდება სიკვდილიანობას საქმე გვაქვს ბუნებრივ კლებასთან. შობადობისა და სიკვდილიანობის პროცესს **მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას** უწოდებენ.

უკანასკნელ წლებში მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად 80-100 მილიონი ადამიანით იზრდება. ეს მეტია ვიდრე ბევრი დიდი ქვეყნის, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის ან იტალიის მთელი მოსახლეობის რაოდენობა.

თუმცა, მოსახლეობის მატება ყველა ქვეყანაში ერთნაირი ტემპით და მასშტაბით არ ხდება. სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის ცვლილებების ერთმანეთთან შედარების გასაადვილებლად სპეციალისტები ამჯობინებენ, რომ შობადობის, სიკვდილიანობისა და ბუნებრივი მატების *მაჩვენებლები* საშუალოდ ყოველ 1000 კაცზე გადაიანგარიშონ და პრომილებში (%) გამოსახონ. უფრო იშვიათია, როცა ეს მაჩვენებლები ყოველ 100 კაცზე გაიანგარიშება და, შესაბამისად, პროცენტებში (%) გამოისახება.

როგორ განსხვავდება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით? მრავალი, განსაკუთრებით განვითარებული, ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით მეცნიერებმა შეიმუშავეს მოსახლეობის ზრდის ამსახველი სურათი, რომელსაც *დემოგრაფიული გადასვლის მოდელი* ეწოდება. ეს მოდელი, რომელიც წარმოდგენილია დიაგრამის სახით (იხ. ნახ. 5), ასახავს მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების ოთხ ძირითად ეტაპს, რომელიც გაიარა და მოსალოდნელია რომ გაიაროს ბევრმა ქვეყანამ.

ნახ. 5. მოსახლეობის დემოგრაფიული გადასვლის მოდელი

| ეტაპი  | 1   | 2  | 3   | 4  |
|--|---|--|---|--|
| <p>შობადობისა და სიკვდილიანობის წლიური ტემპები პროცენტებში (%)</p> |   |  |   |  |
| მაგალითები   | მცირერიცხოვანი ჩამორჩენილი საზოგადოებები  | ევროპტკენია, ინდოეთი   | ბრაზილია  | აშშ, იაპონია, გერმანია, იტალია   |
| შობადობის ტემპი  | მაღალი  | მაღალი   | მცირდება  | დაბალი ან ძალიან დაბალი  |
| სიკვდილიანობის ტემპი   | მაღალი  | ეცემს სწრაფად  | ეცემს ნაკლებად სწრაფად  | დაბალი   |
| ბუნებრივი მატება   | მცირე მატება, ან სტაგნაცია  | ძალიან სწრაფი მატება   | შენელებული მატება   | ნელი მატება, სტაგნაცია ან ნელი კლება   |
| შობადობის ტემპის ცვლილების მიზეზები                                | მეურნეობის სოფლის საწარმოებლად ბავშვის ყოფილი სიკვდილიანობის მაღალი დონე. თან ახლავს რელიგიური და სოციალური მხარდაჭერა. არ არსებობს ოჯახის დაგეგმვა | (ძირითადად მეურნეობის) ბევრი სიკვდილიანობის მაღალი დონე.                                     | გაუმჯობესებული სამედიცინო და სასურსათო უზრუნველყოფა. ნაკლები მოთხოვნილება ბავშვებზე | ოჯახის დაგეგმვა. ჯანდაცვის კარგი ისიცემა. ქალების როლის ზრდა. გვიანი ქორწინებები |
| სიკვდილიანობის ტემპის ცვლილების მიზეზები                           | დაავადებები, შიმშილი დაბალი სამედიცინო კულტურა. ბავშვების მაღალი სიკვდილიანობა  | გაუმჯობესებული ჯანდაცვა, წყალმომარაგება, სანიტარული პირობები, ბავშვების სიკვდილიანობის კლება | კარგი ჯანდაცვა-სტაბილური სასურსათო უზრუნველყოფა                                     |  |

*შენიშვნა: მეცნიერები დემოგრაფიული გადასვლის თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო ხშირად გამოყოფენ გადასვლის მე-5 და შემდგომ ეტაპებსაც, რაც ბევრ ქვეყანაში ახალი დემოგრაფიული სიტუაციის – სიკვდილიანობასთან შედარებით შობადობის სულ უფრო ზრდადი ჩამორჩენის – აღმნიშვნელია.*

*პირველ ეტაპზე* ადგილი აქვს ძალიან მაღალ შობადობას და ასეთივე მაღალ სიკვდილიანობას. შესაბამისად ბუნებრივი მატების ტემპი დაბალია, რისი მიზეზებიც დიაგრამაშია მოყვანილი. მოსახლეობის ასეთი ზრდა დამახასიათებელია *ინდუსტრიული წინა (პრეინდუსტრიული)* ქვეყნებისათვის, რომელთა რაოდენობა თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მცირდება. მეორე ეტაპზე შობადობის მაღალი მაჩვენებლები შენარჩუნებულია, სიკვდილიანობა კი მნიშვნელოვნად კლებულობს, რაც იწვევს ძალიან მაღალ ბუნებრივ მატებას და *ტრანზიციის* ანუ *გადასვლის* დაწყებას. მესამე ეტაპზე შობადობის მაჩვენებელი მკვეთრად ეცემა, სიკვდილიანობისა კი – შედარებით ნაკლებად. მოსახლეობის მატების ტემპი მცირდება, განსაკუთრებით მესამე ეტაპის ბოლოს. მეორე და მესამე ეტაპებზე მყოფი ქვეყნები, როგორც წესი, განვითარებად სამყაროს განეკუთვნებიან. მეოთხე ეტაპი შობადობის შემდგომი შემცირებითა და სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

მოსახლეობის მატება მცირეა, ზოგჯერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის კლებასაც. მსოფლიოს განვითარებული, ე.წ. *პოსტინდუსტრიული (ინდუსტრიული შემდგომი)* ქვეყნები დემოგრაფიული გადასვლის სწორედ ამ ეტაპზე იმყოფებიან.

ამრიგად, მოსახლეობის დემოგრაფიული გადასვლის მოდელი იძლევა განზოგადებულ სურათს, თუ:

- როგორ უნდა იცვლებოდეს ბუნებრივი მოძრაობა და მოსახლეობის რაოდენობა ამა თუ იმ ქვეყანაში;

- რომელი ფაქტორები იწვევენ მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების ამას თუ იმ რეჟიმს დემოგრაფიული გადასვლის კონკრეტულ ეტაპზე (იხ. დიაგრამის კომენტარები);
- განვითარების რა დონეზე იმყოფება, სავარაუდოდ, ესა თუ ის ქვეყანა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაკუთრებით ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, დემოგრაფიული გადასვლის ფაზა არ ასახავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს. მაგალითად, საქართველოს და ბელგიას დაახლოებით ერთნაირი დემოგრაფიული რეჟიმი აქვთ, მაგრამ მათი ეკონომიკური განვითარების დონეები ძალიან განსხვავებულია.

## §12. მოსახლეობის აღწარმოების ტიპები. დემოგრაფიული პოლიტიკა

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა საფუძვლად უდევს ადამიანთა ერთი თაობის მეორეთი შეცვლის, ე.ი. ადამიანთა მოდგმის მუდმივი განახლების უწყვეტ პროცესს, რასაც მოსახლეობის აღწარმოებას (კვლავწარმოებას) უწოდებენ.

როგორც წინა თავიდან შევიტყვეთ, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა განსხვავებულ შედეგებს იძლევა დროსა და სივრცეში. სხვა სიტყვებით, მოსახლეობის მატება და მისი ზრდის ტემპები მეტად განსხვავებულია ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე, სხვადასხვა ქვეყნებსა და საზოგადოებებში. ეს იძლევა საფუძველს, რომ ვისაუბროთ მოსახლეობის აღწარმოების სხვადასხვა ტიპებზე.

რა ფაქტორები განაპირობებენ მოსახლეობის განსხვავებული აღწარმოების არსებობას მსოფლიოში? მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის კვლავწარმოებას საფუძვლად ბიოლოგიური პროცესები (შობადობა, სიკვდილიანობა) უდევს, მასზე გადამწყვეტ გავლენას სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები ახდენენ. ამაში იგულისხმება ადამიანთა

ცხოვრების მატერიალური პირობები, გავრცელებული ცხოვრების წესი, საზოგადოებაში და ოჯახში არსებული ღირებულებები და ურთიერთობები, ტრადიციები, რელიგიური შეხედულებები და ა.შ. ამის დასურათებას წარმოადგენს ნახ. 6.

ადგილი მისახვედრია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში სიკვდილიანობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების ისეთი მატერიალური პირობები, როგორცაა კვება, ჯანდაცვის სისტემის განვითარებულობა, ყოფა-ცხოვრებისა და შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მოსახლეობის ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა.

ადამიანთა მატერიალურ უზრუნველყოფას ასევე დიდი გავლენა აქვს შობადობაზე, თუმცა ამ შემთხვევაში მდგომარეობა არ არის ცალსახა და საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ერთი შეხედვით, რაც უფრო დიდი შემოსავალი აქვს ოჯახს, მით უფრო მეტი ბავშვის ყოლა და გაზრდა უნდა შეეძლოს. სინამდვილეში, ბევრ ქვეყანაში, სადაც მაღალია საზოგადოების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა, აღინიშნება ხალხის ფართო მონაწილეობა საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ადამიანები საგრძნობ დროს უთმობენ დასვენებას და გართობას. ეს შეეხება არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც, რომელთა განათლების დონე და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა მეტად მაღალია. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს დროის დეფიციტს საოჯახო საქმიანობისა და ბავშვების მოვლისათვის, რადგან მეტი დრო იხარჯება ბავშვების აღზრდასა და სწავლა-განათლებაზე და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად იზრდება მათი გაზრდისათვის საჭირო მატერიალური დანახარჯები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს “ძვირი ბავშვების” სიმრავლესთან საზოგადოებაში.

ნახ. 6. სხვაობები მოსახლეობის აღწარმოებაში

|  |   |
|--|---|
| <p><b>განვითარებადი ქვეყანა მაგ. ბანგლადეში</b></p> <p>შობადობის დონე ხშირად იმიტომ მაღალი, რომ ადამიანებს უნდათ და სჭირდებათ დიდი ოჯახის ყოლა. სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობა კი სიღარიბით და ჯანდაცვის დაბალი დონით აიხსნება.</p> | <p><b>განვითარებული ქვეყანა მაგ. გერმანია</b></p> <p>შობადობის დაბალ დონეს ხშირად ცოტა ბავშვების და პატარა ოჯახის ყოლის სურვილი განაპირობებს. სოციალური “კეთილდღეობა” კი სიცოცხლის მაღალ ხანგრძლივობა იწვევს.</p> |
| <p><b>რატომ მაღალი შობადობა?</b></p> <p><b>რატომ დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობა?</b></p>  | <p><b>რატომ მაღალი შობადობა?</b></p> <p><b>რატომ დაბალი სიცოცხლის ხანგრძლივობა?</b></p>   |



**შენიშვნა:** ილუსტრაცია გადმოღებულია ????

ყოველივე ზემოთაღნიშნული განაპირობებს ბავშვების ყოლაზე მოთხოვნილების შემცირებას ცალკეული ოჯახებისა და მთლიანად საზოგადოების მხრიდან, გვიან ქორწინებებს (ქორწინების მაღალ ასაკს), ოჯახის ზრდის ხელოვნურ რეგულირებას და სხვა მსგავს პროცესებს. ეს კი მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობას და, შესაბამისად, ბუნებრივ მატებას. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან



ფაქტორს წარმოადგენს ქალის უფლებრივი მდგომარეობის ამადლება ოჯახსა და საზოგადოებაში.

მოსახლეობის აღწარმოებაზე უარყოფითად მოქმედებენ ისეთი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ ეკოლოგიური მოვლენები და ფაქტორებიც, როგორცაა სისხლისმღვრელი ომები, მასობრივი შიმშილობები და ეპიდემიები, საზოგადოებაში ოჯახური კავშირების შესუსტება და რღვევა და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საზოგადოება თავისებურად უდგება აღწარმოების პროცესს, რაც განსხვავებული დემოგრაფიული ქცევის არსებობაზე მიგვიჩვენებს. და მაინც, მეცნიერები აღნიშნავენ *მოსახლეობის აღწარმოების ორი ძირითადი ტიპის* არსებობას თანამედროვე მსოფლიოში.

**მოსახლეობის აღწარმოების პირველი ტიპი** გულისხმობს შობადობის, სიკვდილიანობისა და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივი მატების დაბალ მაჩვენებლებს. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ბუნებრივი მოძრაობის ასეთი მახასიათებლები დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე საფეხურს/ეტაპს შეესაბამება. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობის აღწარმოების აღნიშნული ტიპი განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

მოსახლეობის კვლავწარმოების პირველ ტიპს სხვაგვარად **მარტივი** ან **რაციონალური აღწარმოება** ჰქვია. აღწარმოების ასეთი რეჟიმი განაპირობებს უფროსი თაობის ჩანაცვლებას დაახლოებით იგივე რიცხოვნების ახალი თაობით და, ზოგჯერ, მოსახლეობის უმნიშვნელო ზრდასაც უზრუნველყოფს.

იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას წინა თაობასთან შედარებით მოსახლეობის რიცხოვნების ზრდა ახალ თაობაში (ანუ ბუნებრივი მატება), თეორიულად აუცილებელია, რომ ოჯახების დაახლოებით ნახევარს ჰყავდეს ორი ბავშვი, მეორე ნახევარს კი- სამი. ორი ბავშვი დროთა განმავლობაში “ჩაენაცვლება” მშობლებს, მესამე კი არა მარტო უდროოდ გარდაცვლილთა (ავდემოფობით, უბედური შემთხვევებით და ა.შ.) და უშვილო ოჯახების დანაკლისს “გადაფარავს”, არამედ საკმარის საერთო მატებასაც უზრუნველყოფს.

მარტივი აღწარმოების ქვეყნებში ბუნებრივი მატება თითქმის არასდროს აღემატება 10 პრომილეს (ანუ 10 ადამიანს ყოველ 1000 სულზე). ეს განაპირობებს *მოსახლეობის ზრდის ზომიერ* ან *დაბალ ტემპებს* (მაგ. აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია). რიგ ქვეყნებში კი აღინიშნება “ნულოვანი” (მაგ. დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა) ან “უარყოფითი” ზრდა, ე.ი. *მოსახლეობის კლება*.

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთ ევროპისა (მაგ. უნგრეთი, ბულგარეთი) და ყოფილი სსრ კავშირის რიგ რესპუბლიკებში (მაგ. უკრაინა, ბელარუსი, რუსეთი), სადაც უეცარმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მოსახლეობის ბუნებრივი შემცირება, ანუ *დეპოპულაცია*. ასეთ ქვეყნებში საქმე გვაქვს *დემოგრაფიულ კრიზისთან*. სამწუხაროდ, ასეთ ქვეყანათა რიცხვს 1990-იან წლებში საქართველოც მიეკუთვნებოდა.

**მოსახლეობის აღწარმოების მეორე ტიპი** ხასიათდება მაღალი ან ძალიან მაღალი შობადობითა და ბუნებრივი მატებით და საშუალო ან დაბალი სიკვდილიანობით. ბუნებრივია, რომ აღწარმოების ეს ტიპი უზრუნველყოფს ყოველი შემდეგი თაობის მრავალრიცხოვნებას წინა თაობასთან შედარებით, ამიტომ მას *გაფართოებულ აღწარმოებას* უწოდებენ.

დღეისათვის მსოფლიოში შობადობის მაქსიმალური მაჩვენებელი 46 (პირველ ადგილზეა ნიგერი) პრომილეს აღწევს, მაშინ როცა სიკვდილიანობის მაქსიმალური მაჩვენებელი 15 (პირველ ადგილზეა ლესოთო) პრომილეს იშვიათად აღემატება. ამ მაჩვენებლებს შორის დიდი სხვაობის გამო, იმ ქვეყნებში, სადაც შობადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლები ძალიან მაღალია, საერთო მაღალი ბუნებრივი მატება მაინც გარანტირებულია.

გაფართოებული აღწარმოება დამახასიათებელია ეკონომიკურად ჩამორჩენილი განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც უკანასკნელ ათწლეულებში გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული სამედიცინო მომსახურებაში, გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობები, თავიდან იქნა აცილებული ეპიდემიები, რამაც საგრძნობლად შეამცირა სიკვდილიანობა, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ სჭარბობს განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. შობადობა ამ ქვეყნებში კვლავ მაღალ დონეზეა შენარჩუნებული ან ნელა კლებულობს. შედეგად, ბუნებრივი მატება ასეთ ქვეყნებში (სამხრეთ აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სახელმწიფოთა უმრავლესობა) იშვიათადაა 20‰-ზე დაბალი.

გაფართოებული აღწარმოების ქვეყნები დემოგრაფიული გადასვლის მეორე ან მესამე საფეხურზე იმყოფებიან და ბევრი მათგანი ჯერ კიდევ **დემოგრაფიული აფეთქების** სტადიაშია. ბუნებრივია, რომ ამ ქვეყნებში *მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ტემპები ძალიან მაღალია* და 3%-საც კი აღწევს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა ბევრად უფრო სწრაფად იზრდება განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. განუხრელად მატულობს მისი ხვედრითი წილი მსოფლიოს მოსახლეობაში. თუ გავითვალისწინებთ განვითარებად ქვეყნებში არსებულ სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის არცთუ მაღალ დონეს, დავასკვნით, რომ მოსახლეობის სწრაფი ზრდა არაერთ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემას (მაგ. უმუშევრობა, ბინათმოწყობა, განათლება, სამედიცინო მომსახურება) უქმნის ამ ქვეყნების და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მწვავე საფრთხეებს შეიცავს (მაგ. რაღვეალური მიგრაცია, ტრეფიკინგი).

არსებობს თუ არა მოსახლეობის აღწარმოებისა და ბუნებრივი მატების დარეგულირების საშუალებები? მოსახლეობის აღწარმოების პროცესში ხელოვნურად ჩარევა მეტად რთული და სარისკო საქმეა. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ, სახელმწიფოები, რომლებიც ვერ უმკლავდებიან ქვეყანაში არსებული მოსახლეობის ზრდის ტემპებით გამოწვეულ პრობლემებს, მიმართავენ

მცდელობებს, რომ დაარეგულირონ აღწარმოების პროცესი. ამისათვის ისინი სათანადო დემოგრაფიულ პოლიტიკას ატარებენ.

*დემოგრაფიული პოლიტიკა* არის ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური, პროპაგანდისტული და სხვა ღონისძიებების სისტემა, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო, მისთვის სასურველი მიმართულებით, ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე, უპირველეს ყოვლისა შობადობაზე.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ორი მიზნიდან ერთ-ერთს ემსახურება: (ა) მოსახლეობის ზრდის ხელშეწყობას, ან (ბ) მოსახლეობის სწრაფი მატების შემცირებას.

პირველი შემთხვევა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის სახელითაა ცნობილი. სახელმწიფო ცდილობს, რომ ხელი შეუწყოს მოსახლეობის სათანადო მატებას შობადობის ზრდის სტიმულირების გზით. ბუნებრივია, რომ აქტიურ დემოგრაფიულ პოლიტიკას ის განვითარებული ქვეყნები ატარებენ, სადაც აღინიშნება "ნულოვანი" ზრდა ან დეპოპულაცია (მაგ. საფრანგეთი, გერმანია, იაპონია). იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება, აღსანიშნავია ერთჯერადი დახმარება ახალდაქორწინებულთათვის, ფულადი დახმარება ყოველი ბავშვის დაბადებისას და ყოველთვიური დახმარება გარკვეული ასაკის მიღწევამდე, დედებისათვის სამუშაო ადგილების შენარჩუნება და გრძელვადიანი ანაზღაურებადი შვებულებები და სხვა.

მეორე შემთხვევაში, ქვეყანა მიმართავს ზომებს, რათა შეზღუდოს მოსახლეობის ზრდა შობადობის შემცირების, მისი მკაცრი რეგულირების გზით. შობადობის შეზღუდვისა და კონტროლის პოლიტიკას მიმართავენ "დემოგრაფიული აფეთქების" საფეხურზე მყოფი ქვეყნები, სადაც ძალიან მაღალია მოსახლეობის ზრდის ტემპები. *შეზღუდავი დემოგრაფიული პოლიტიკის* გამტარებელი ქვეყნების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ მსოფლიოს ორი ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა- ჩინეთი და ინდოეთი. შობადობის შეზღუდვის მისაღწევად

ხშირად გამოიყენება სამართლებრივი და ადმინისტრაციული ამკრძალავი ზომები, მაგალითად ქორწინების უფრო მაღალი ასაკის შემოღება, ბავშვის გაჩენაზე ნებართვის მიღების აუცილებლობა, საჯარო სანქციების (ძირითადად ფულადი) გამოყენება ნებადართულზე მეტი ბავშვის ყოლის შემთხვევაში და სხვა. ასევე ფართოდ ინერგება გამრავლების საწინააღმდეგო პროპაგანდა, კონტრაცეპტივების გავრცელება და გამოყენების ხელშეწყობა, ნებაყოფლობითი მასობრივი სტერილიზაცია, სხვადასხვა ფინანსური და სოციალური ხასიათის ზომები. თუმცა ბოლო ხანს მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ შობადობის შემცირების ყველაზე ეფექტური საშუალებაა ქალებში განათლების დონის ამაღლება და მათი დასაქმება არასაოჯახო სფეროში.

დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და მაგალითები გვიჩვენებს, რომ მისი გატარება საკმაოდ რთულია და არ არის ყველგან ერთნაირად წარმატებული. ამის მიზეზი ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორებიც შეიძლება იყოს და მორალურ-ეთიკურიც. მაგალითად, მუსლიმურ ქვეყნებში დამკვიდრებული რელიგიური მორალი გმობს და უარყოფს შობადობის ხელოვნურად შემცირებისა და "ოჯახის დაგეგმვის" მიმართულებით გატარებულ ნებისმიერ ღონისძიებას, რაც საფუძველშივე გამორიცხავს შემზღუდავი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების ეფექტურობას. მუსლიმურ და ზოგ ქრისტიანულ (განსაკუთრებით კათოლიკურ და ზოგ მართმადიდებლურ) ქვეყანაში საზოგადოების მორწმუნე ნაწილის დამოკიდებულება ძალზე ნეგატიური და შეუწყნარებელია აბორტების მიმართ, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის შემზღუდავი დემოგრაფიული პოლიტიკის ეფექტურ გატარებას.


### §1.3. მოსახლეობის შემადგენლობა

მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობა არ არის ერთგვაროვანი. ის შედგება სხვადასხვა სქესის, ასაკის, პროფესიის, რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების პირებისა და საზოგადოებრივი მოსახლეობის არაერთგვაროვნებას/ მრავალფეროვნებას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით *მოსახლეობის შემადგენლობას ანუ მოსახლეობის სტრუქტურას* უწოდებენ.

სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. მოსახლეობის პირამიდა

**მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა** ასახავს ქალებისა და მამაკაცების რაოდენობრივ განაწილებას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. როგორც წესი, ამგვარად დაჯგუფებული მოსახლეობის აღწერის მონაცემებით აიგება დიაგრამა, რათა უკეთ წარმოჩინდეს მოსახლეობის თავისებურებანი და უფრო მოხერხებული იყოს მისი ანალიზი.

ნახ. 7. ეთიოპიის მოსახლეობის პირამიდა




წყარო: <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/et.html>

ნახ. 7-ზე მოცემული დიაგრამა ასახავს ეთიოპიის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას. ასეთი დიაგრამა შემდეგნაირად აიგება: ორდინატთა ღერძზე მონიშნება მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფები ხუთწლიანი ინტერვალებით, თანაც მარცხენა მხარეს ლაგდება მონაცემები მამაკაცთა, მარჯვენა მხარეს კი - ქალების შესახებ; თითოეულ ასეთ ხუთწლიან ჯგუფს კოჰორტა ჰქვია. აბსცისთა ღერძზე ნაჩვენებია პროცენტი მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან ან მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში (ნახ. 7 და 8-ზე სწორედ ასეა ნაჩვენები). ამრიგად, ერთმანეთზე დალაგებული ჰორიზონტალური მართკუთხედები გვიჩვენებენ მოსახლეობის რაოდენობას ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ცალკე-ცალკე კაცებისა და ქალებისათვის. როგორც ნახაზიდან ჩანს, ეთიოპიის, ისევე

როგორც ბევრი განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დიაგრამას, პირამიდის ფორმა აქვს. სწორედ ამიტომ მათ *მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდას*, ან მარტივად - *მოსახლეობის პირამიდას* უწოდებენ.

ნახ. 8. დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის პირამიდა



წყარო: <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/uk.html>

ზოგი ქვეყნის, მაგალითად დიდი ბრიტანეთის (იხ. ნახ. 8), სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დიაგრამა საკმაოდ აა “გადახრილი” პირამიდის ფორმისაგან, თუმცა ასეთი ფორმის დიაგრამასაც პირამიდას უწოდებენ. საქმე ისაა, რომ განსხვავებული ფორმის პირამიდები თვალნათლივ ასხავენ სხვაობებს სხვადასხვა ქვეყნების (ჩვენს შემთხვევაში ეთიოპიისა და დიდი ბრიტანეთის)



მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ თავისებურებებში და ბევრი საინტერესო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

*რა ინფორმაციას იძლევა მოსახლეობის პირამიდა? პირველ ყოვლისა, პირამიდის ფორმა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, თუ დემოგრაფიული გადასვლის რომელ ეტაპზე იმყოფება ესა თუ ის ქვეყანა. მაგალითად, ეთიოპიის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა მიგვანიშნებს, რომ ეს ქვეყანა დემოგრაფიული გადასვლის მეორე საფეხურზეა, ხოლო დიდი ბრიტანეთი – მეოთხეზე.*

მეორეც, მოსახლეობის პირამიდა გვაძლევს წარმოდგენას *შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობასა და მასზე დამოკიდებულ*, ანუ *კმაყოფაზე მყოფი მოსახლეობის* შესახებ. **შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობად** ითვლება ადამიანთა ჯგუფი 15-დან 65 წლამდე. მსოფლიოს ქვეყნების დიდ უმრავლესობაში სწორედ ამ ასაკობრივ დიაპაზონში მყოფი მოსახლეობაა დასაქმებული მეურნეობის სხვადასხვა დარგში და ქმნის ქვეყნის სიმდიდრეს (მატერიალურს და არამატერიალურს). შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც რეალურადაა დასაქმებული საზოგადოებრივი წარმოებისა და მომსახურების სფეროში, **ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას** უწოდებენ. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობას **შრომით რესურსებსაც** უწოდებენ. დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში არსებულ ადამიანებს კი **დამოკიდებულ მოსახლეობას** უწოდებენ, რადგან ისინი, მცირე გამონაკლისის გარდა, არ მუშაობენ და მათი არსებობა დამოკიდებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საქმიანობაზე. სხვა სიტყვებით, ისინი შრომისუნარიანი მოსახლეობის კმაყოფაზე იმყოფებიან. დამოკიდებული მოსახლეობა შეიძლება ორ- ახალგაზრდა (დაბალი ასაკის) და ხანშიშესულ (მაღალი ასაკის)- ქვეჯგუფად დაიყოს, როგორც ეს **ნახ. 8-ზეა** ნაჩვენები.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სფეროების დაგეგმვისათვის მეტად მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორია სამუშაო ასაკის მოსახლეობის შეფარდება სამუშაომდელი და საპენსიო ასაკის მოსახლეობასთან. ასეთი შეფარდება გვიჩვენებს **მოსახლეობის დემოგრაფიულ დატვირთვას**. “მსოფლიოში ყოველი 100 შრომისუნარიანი ადამიანი არჩენს საშუალოდ 70 მოზარდსა და ხანდაზმულ ადამიანს. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 50-55-ის ტოლია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში – 100-ის” (გოგსაძე გიორგი. 2008. *მოსახლეობის გეოგრაფია (სახელმძღვანელო). გამომცემლობა “საარი”. თბილისი. გ. 59).*

ანალოგიური მაჩვენებელი, რომლის გამოთვლა შესაძლებელია მოსახლეობის პირამიდის საშუალებით, ქვეყანაში შრომისუნარიან ასაკში მყოფი და ასეთი ასაკის მიღმა (უფრო ახალგაზრდა და უფრო ხნოერი) მყოფი მოსახლეობის მონაცემებზე დაყრდნობით, არის **დამოკიდებულების ინდექსი**. მაგალითად, 1991 წელს ეთიოპიის მოსახლეობის 46% 15 წლამდე ასაკისა იყო, 4% კი- 65 წლის და მეტის. შესაბამისად, მოსახლეობის 50% დამოკიდებული იყო, დანარჩენი 50% კი- შრომისუნარიან ასაკში.

ე.ი. დამოკიდებულების ინდექსი ეთიოპიაში შეადგენდა 1:1, ანუ ყოველი დამოკიდებული პირი 1 შრომისუნარიან ასაკში მყოფი ადამიანის კმაყოფაზე იყო. დიდ ბრიტანეთში ასეთი შეფარდება 1:2-ს შეადგენდა, რაც ნიშნავს, რომ ყოველი დამოკიდებული პირი 2 შრომისუნარიან ასაკში მყოფი ადამიანის კმაყოფაზე იყო.

მესამე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის ამოკითხვა შეიძლება მოსახლეობის პირამიდიდან, *ჩვილთა (ახალშობილთა) სიკვდილიანობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის დონეებს* შეეხება. **ჩვილთა სიკვდილიანობის დონე** არის ყოველ 1000 ახალშობილზე გაანგარიშებული იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც 1 წლის ასაკის მიღწევამდე გარდაიცვალნენ. ოსახლეობის პირამიდის ფართო ფუძე აღნიშნავს შობადობის მაღალ დონეს, მისი შევიწროვება მომდევნო ასაკობრივ ჯგუფში კი ახალშობილთა სიკვდილიანობის მაღალი დონის მაჩვენებელია. საპირისპიროდ, როცა პირამიდის ფუძე და მასზე

განლაგებული შემდგომი ასაკობრივი ჯგუფის მართკუთხედები დაახლოებით ერთმანეთის ტოლია, საქმე გვაქვს ახალშობილთა სიკვდილიანობის დაბალ დონესთან.

**სიცოცხლის ხანგრძლივობა** არის წლების ის საშუალო რაოდენობა, რომელსაც მოსალოდნელია, რომ მიადწევს თავისი სიცოცხლის პერიოდში ამა თუ იმ ქვეყანაში დაბადებული ადამიანი. მოსახლეობის პირამიდის სწრაფი შევიწროება ზედა ნაწილში სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობის მაჩვენებელია. საპირისპიროდ, პირამიდის მცირე შევიწროვება და მეტი სიმაღლე სიცოცხლის მაღალ ხანგრძლივობას აღნიშნავს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის ამოკითხვის საშუალებასაც იძლევა მოსახლეობის პირამიდა, არის **მიგრაცია**. ის ხშირად აჩენს გარკვეულ “უსწორმასწორობებს” (“შეჭრილ-შემოჭრილობებს”) პირამიდების ფორმაში, თუმცა ამ საკითხზე მომდევნო თავებში გვექნება მსჯელობა.

ახლა კი დავუბრუნდეთ ეთიოპიისა და დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის პირამიდებს და მათ მაგალითზე შევეცადოთ ზოგიერთი შემაჯამებელი დასკვნის გაკეთებას.

ეთიოპიის მოსახლეობის პირამიდა გვიჩვენებს, რომ ეს ქვეყანა დემოგრაფიული გადასვლის მეორე საფეხურზეა. ქვეყანაში მაღალია დამოკიდებული მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ხვედრითი წილი. ირამიდის ფართო ფუძე ასახავს მაღალ შობადობას. მისი სწრაფი შევიწროვება ფუძესთან განპირობებულია ახალშობილთა მაღალი სიკვდილიანობით, კენწეროსთან კი სიცოცხლის შედარებით დაბალი ხანგრძლივობით. *ეთიოპიის მოსახლეობის პირამიდა ტიპიურია განვითარებადი ქვეყნებისათვის*. ასეთი ქვეყნებისათვის ახალგაზრდა მოსახლეობის სიჭარბეა დამახასიათებელი.

დიდი ბრიტანეთის მოსახლეობა დემოგრაფიული გადასვლის მეოთხე ეტაპზეა. დამოკიდებულ პირებში, რომელიც მთელი მოსახლეობის 1/3-ს შეადგენს,

მაღალია ხანშიშესულთა ხვედრითი წილი. პირამიდის ვიწრო ფუძე და მისი შემდგომი გაფართოება ასახავს დაბალ შობადობას და ახალშობილთა სიკვდილიანობის მეტად დაბალ დონეს (ასევე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მცირე და საშუალო ასაკის ემიგრანტების საკმაოდ დიდ რიცხვს). ირამიდის ნელი შევიწროვება ზედა ნაწილში მიგვითითებს სიცოცხლის მაღალ ხანგრძლივობაზე. *დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის პირამიდა ტიპიურია განვითარებული ქვეყნებისათვის.* მათთვის მოსახლეობის “*დემოგრაფიული დაბერებაა*” დამახასიათებელი.

ამრიგად, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა განსხვავდება ერთმანეთისაგან. განვითარებადი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის პირამიდის კლასიკური ანუ სწორი ფორმა “მძიმე” ფუძითა და მახვილი წვეროთი. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას კი პირამიდის “არასწორი” ფორმა შეესაბამება ვიწრო ფუძითა და “მძიმე” წვეროთი.

#### §1.4. მოსახლეობის ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური შემადგენლობა

მსოფლიოს მოსახლეობა შედგება ოთხი ძირითადი რასის - ევროპეიდული ანუ კავკასიიდური, მონღოლოიდური, ნეგროიდული და ავსტრალიდური - წარმომადგენლებისაგან. ზოგიერ წყაროში ეს უკანასკნელი რასა ნეგროიდული ანუ აფრიკული რასის ნაირსახეობად განიხილება. რასა ადამიანთა ყველაზე მსხვილი ანტროპოლოგიური ჯგუფია. ძირითადი რასები უფრო მრავალრიცხოვან ქვე-რასებად (სუბ-რასებად) იყოფიან.

რასა ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობაა, რომლის წარმომადგენლებიც ხასიათდებიან ერთნაირი ან მსგავსი ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით. რასების წარმოშობა გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოსთან არის დაკავშირებული.

გარდა რასობრივი სხვადასხვაობისა, მსოფლიოს მოსახლეობა ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნებითაც ხასიათდება.

#### ეთნიკური შემადგენლობა

დედამიწაზე 4 ათასამდე ეთნიკურ ჯგუფს ანუ ეთნოსს ითვლიან, რომლებიც საზოგადოებრივი ორგანიზაციის სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო დაწინაურებული ეთნოსები ერებად არიან ჩამოყალიბებული, სხვები კი ხალხებად ან ტომებად იწოდებიან. ჩვეულებრივ, ერებად ის ეთნოსები იწოდებიან, რომლებმაც პოლიტიკური და სოციალურ კულტურული განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიეს და სახელმწიფოებრიობა შეიქმნეს (ერი-სახელმწიფო).

**ეთნოსი** ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული მდგრადი ერთობაა, რომელსაც ახასიათებს ენის, ტერიტორიის, მეურნეობის, კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების ერთიანობა.

მიღებულია დაყოფა *მრავალრიცხოვან* და *მცირერიცხოვან* ეთნოსებად. ბუნებრივია, რომ მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მრავალრიცხოვანი ეთნოსების წარმომადგენლები შეადგენენ. მაგალითად, მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ეთნოსი – ჩინელები - 1 მლრდ-ზე მეტ ადამიანს ითვლის. 100 მილიონზე უფრო მრავალრიცხოვანია კიდევ რამდენიმე ეთნოსი, მათ შორის ჰინდუსტანელები, აშშ-ის ამერიკელები, ბენგალელები, რუსები, ბრაზილიელები, იაპონელები.

ამავე დროს, მსოფლიოში ბევრი მცირერიცხოვანი ეთნოსია, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა ზოგჯერ რამდენიმე მილიონ ადამიანს არ აღემატება. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ ქართველებიც, რომელთა რიცხოვნება 4 მილიონს არ აჭარბებს. თუმცა, ქართველების მსგავსად ზოგიერთმა მათგანმა ერთად ჩამოყალიბება მოახერხა. მრავალრიცხოვან და მცირერიცხოვან ეთნოსებს შორის უზარმაზარი რაოდენობრივი სხვაობების მიუხედავად, ხალხმრავლობა არ უნდა ჩავთვალოთ ამა თუ იმ ეთნოსის სოციალურ-ეკონომიკური ან კულტურული დაწინაურებულობის პირდაპირ ინდიკატორად/მახასიათებლად.

ძნელია ისეთი სახელმწიფოს დასახელება, სადაც მთელი მოსახლეობა ერთი ერის ან ეთნოსის წარმომადგენელია, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ერთ-ერთი ერის რიცხოვრივი უპირატესობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ მათ *ერთეროვან (მონოეთნიკურ) სახელმწიფოებს* უწოდებენ. არაერთი ერთეროვანი ქვეყანაა ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, ლათინურ ამერიკაში, ავსტრალიასა და ოკეანეთში. საქართველოს მეზობლებიდან სამხრეთ კავკასიაში ერთეროვანი ქვეყანაა სომხეთი.

ბევრი ქვეყანა *ორ-* ან *მრავალეროვანია (მრავალეთნიკურია)*. შესაბამისად, მათში აღინიშნება ორი ან რამდენიმე ეთნოსის მაღალი ხვედრითი წილი მთელი ქვეყნის მოსახლეობაში. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის ქვეყნებშიც შეიძლება, რომ ერთ ერს საგრძნობი “უპირატესობა” ჰქონდეს დანარჩენებთან (ან სხვა ეთნოსებთან) შედარებით. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება საქართველოც.

ქვეყნების მრავალეთნიკურობა ზოგჯერ მათ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობაზეც აისახება. ასეთ ქვეყნებში არსებობს *ერთაშორისი (ან ეთნიკური) ურთიერთობების* ცივილიზებული და სამართლიანი გზით მოწესრიგების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის მრავალეთნიკურობა შესაძლოა მნიშვნელოვანი პრობლემების მიზეზი გახდეს და ეთნიკური კონფლიქტებიც კი გამოიწვიოს. პრობლემები ერთაშორის და/ან ეთნიკურ ურთიერთობებში უმეტეს წილად განვითარებად ქვეყნებს ახასიათებთ, თუმცა ის არც განვითარებული სამყაროსათვისაა უცხო.

### ენობრივი შემადგენლობა

დედამიწაზე მცხოვრები ხალხი მრავალ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს. *ენობრივი (ლინგვისტური) ნიშნის* მიხედვით მოსახლეობის დაჯგუფება ფართოდაა გავრცელებული მოსახლეობის სტრუქტურის შესწავლისას.

მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში, განსაკუთრებით მონოეთნიკურ ქვეყნებში, მოსახლეობა ერთ საერთო ენაზე ლაპარაკობს. ეს ენა, როგორც წესი, ოფიციალურად აღიარებული *სახელმწიფო ენაა*. უმეტეს შემთხვევებში, სახელმწიფო ენაზე ლაპარაკობს ეთნიკური "სიჭრელით" გამორჩეული ქვეყნების (მაგ. რუსეთის) მთელი მოსახლეობაც, თუმცა ამ ქვეყნების ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებს (მაგ. ჩეჩნებს, თათრებს, ჩერქეზებს და ა.შ.) თავიანთი *მშობლიური ენაც* გააჩნიათ.

ზოგ შემთხვევაში, ერთ ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობიდან გამომდინარე, ქვეყანაში ერთზე მეტი სახელმწიფო ენა დაკანონებული. მაგალითად, კანადაში ინგლისურიც და ფრანგულიც სახელმწიფო ენებია, რადგან მათზე შესაბამისად ლაპარაკობენ ანგლოკანადელები და ფრანკო-კანადელები. შვეიცარიაში იგივე პრინციპით ოთხი სახელმწიფო ენაა აღიარებული: გერმანული, ფრანგული, იტალიური (ესენია გერმანო-, ფრანკო- და იტალო-შვეიცარლების სალაპარაკო ენები) და რეტორომანული. უფრო იშვიათად, ერთ ქვეყანაში არსებული ერთზე მეტი სახელმწიფო ენიდან ერთ-ერთი ამ ქვეყნის ისტორიული წარსულით არის განპირობებული. მაგალითად, ინდოეთში ჰინდისთან ერთად ინგლისურიც სახელმწიფო ენაა, რადგან ინდოეთი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. ზემოთაღნიშნულის საპირისპიროდ, საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როცა ერთი ენა რამდენიმე ქვეყნის სახელმწიფო ენას წარმოადგენს. ამის კარგი მაგალითია გერმანული (სახელმწიფო ენაა გერმანიაში, ავსტრიაში და ნაწილობრივ შვეიცარიაში), არაბული (ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილო აფრიკის უმეტეს ქვეყნებში), ასევე წარსულში ვრცელი კოლონიების მქონე იმპერიული სახელმწიფოების ენები - ესპანური (ესპანეთის გარდა სახელმწიფო ენაა ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში), ინგლისური, ფრანგული, პორტუგალიური, ჰოლანდიური.

დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ინგლისური ენა. ამ ენაზე მთელს მსოფლიოში 1,5 მლრდ-ზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს. **ნახ. 9-**ზე წარმოდგენილი რუკა გვიჩვენებს, რომ ინგლისური ენა არაერთი ქვეყნის მოსახლეობისათვის დედაენას (მშობლიურ ენას) წარმოადგენს, რამდენიმე ქვეყანაში ოფიციალური სახელმწიფო ენის სტატუსი გააჩნია (ზოგჯერ სხვა ენასთან ერთად, მაგ. ჰინდისთან ერთად - ინდოეთში,) ან მეორე სალაპარაკო ენაა დედაენის შემდეგ (მაგ. სკანდინავიის ქვეყნები).



ნახ. 9. ინგლისური ენის საერთაშორისო მასშტაბები



მეცნიერებაში მიღებულია “მონათესავე” ენების დაჯგუფება *ენობრივ ჯგუფებად*. “მონათესავედ” თვლიან ენებს, რომლებიც ერთი ენობრივი ძირიდან წარმოიშვნენ და განვითარდნენ. ასე, მაგალითად, რომის იმპერიაში გავრცელებულმა ლათინურმა საფუძველი დაუდო იტალიური, ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული და ზოგი სხვა ენების ჩამოყალიბებას, რომლებიც რომანულ ენობრივ ჯგუფში ერთიანდებიან. მსგავსად, ძველი გერმანული/გერმანიკული ტომების ენა დაედო საფუძველად თანამედროვე გერმანულს, ინგლისურს, ჰოლანდიურს, შვედურს, დანიურს, ნორვეგიულს და ბევრ სხვა ენას, რომლებიც *გერმანული* ენობრივი ჯგუფის სახელით აღინიშნებიან. საერთო ძირიდან წარმოიშვა *სლავურ* ჯგუფში შემავალი ენები - რუსული, უკრაინული, პოლონური, ჩეხური, სლოვაკური, ბულგარული და სხვა.

მსგავსი (საერთო ნიშნების მქონე) ენობრივი ჯგუფები *ენობრივ ოჯახებად* ერთიანდებიან. მაგალითად, ზემოთხსენებული რომანული, გერმანული, სლავური და არაერთი სხვა ენობრივი ჯგუფი ერთად ქმნის *ინდოევროპულ* ენობრივ ოჯახს, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანია მსოფლიოში.

მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი *ინდოევროპული* ენობრივი ოჯახი, რომელშიც 11 ენობრივი ჯგუფი შედის, მსოფლიოს 150-ზე მეტ ეთნოსს აერთიანებს. მასში შემაგალ ენებზე 2,5 მილიარდ ადამიანი ლაპარაკობს. მათ შორისაა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კონტინენტის მოსახლეობის 95%. მრავალრიცხოვნებით მეორე ადგილზეა *ჩინურ-ტიბეტური* ოჯახი, რომელში შემაგალ ენებზეც, ძირითადად ჩინურზე, 1 მილიარდზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს.

მესამეა *აფრაზიული* ოჯახი, რომელშიც არაბული ენაც შედის. ამ ოჯახის ენებზე 250 მილიონ ადამიანზე მეტი ლაპარაკობს.

ქართული ენა შედარებით მცირერიცხოვან *ქართველური* ენების ოჯახს მიეკუთვნება. ამ ოჯახში შემაგალ ენებზე 5 მილიონზე ნაკლები ადამიანი ლაპარაკობს. ამ ოჯახს ქართული ენა მონათესავე ზანურ (მეგრულ და ლაზურ) და სვანურ ენებთან ერთად ქმნის.

### რელიგიური შემადგენლობა

ადამიანების დიდი უმრავლესობა ამა თუ იმ რელიგიის მიმდევარია. რელიგიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო თავიანთი მსოფლმხედველობითა და შინაარსით, არამედ თავიანთი გავრცელებისა და მნიშვნელობის მიხედვით.

**რელიგია** არის ადამიანის მიერ აღიარებული ღირებულებათა სისტემა, რომელიც გულისხმობს სიწმინდის, ზებუნებრივისა და ღვთიურის რწმენასა და თაყვანისცემას.

ადამიანის მიერ ერთი ღვთაების/ღმერთის რწმენას *მონოთეიზმი* ჰქვია, ხოლო მრავალი ღმერთის რწმენას (მაგ. ანტიკური ხანის ეგვიპტის, საბერძნეთის, რომის რელიგიები) – *პოლითეიზმი*.

ზოგიერთი ქვეყნები, საზოგადოებრივი ჯგუფები ან ცალკეული ადამიანები საერთოდ უგულებელყოფენ რელიგიას, ემიჯნებიან, უარყოფენ ან ზოგჯერ კრძალავენ კიდევ (მაგ. ყოფილი საბჭოთა კავშირი) მასთან დაკავშირებული რიტუალების (მაგ. წირვა-ლოცვის) შესრულებას. ასეთი მსოფლმხედველობა ცნობილია *სეკულარიზმის* სახელით. დასავლური ცივილიზაციის

წარმომადგენელი ბევრი ქვეყანა, მიუხედავად მათში არსებულადმსარებლობის (რელიგიის) თავისუფლებისა, სეკულარული სახელმწიფოა. არარელიგიურობის არაერთი განსხვავებული კონცეფცია (მიმდინარეობა) არის ცნობილი, მათ შორის *ათეიზმი*, *სეკულარული ჰუმანიზმი*, *აგნოსტიციზმი* და სხვ.

მსოფლიოში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული *ქრისტიანული* რელიგია, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში ორ მილიარდზე მეტი ადამიანი მისდევს.

მიმდევართა რიცხოვნებით მეორეა *ისლამი*, რომელსაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 1,6 მილიარდამდე მორწმუნე აღიარებს. ამავე დროს, როგორც **ცხრ. 1** გვიჩვენებს, 1 მილიარდზე მეტი ადამიანი არ არის არც ერთი რელიგიის მიმდევარი.

**ცხრილი 1.** მსოფლიოს უდიდესი რელიგიები და არარელიგიური მოსახლეობა

| რელიგია   | მიმდევართა რიცხოვნობა (მლნ)        | პროცენტული წილი მსოფლიო მოსახლეობაში        |
|---|------------------------------------|---|
| ქრისტიანობა   | 2200                               | 32  |
| ისლამი  | 1600                               | 22  |
| ჰინდუიზმი   | 1000                               | 14  |
| ჩინური ტრადიციული რელიგიები (კონფუციანიზმი, ტაოიზმი)      | 394                                | 6   |
| ბუდიზმი   | 376                                | 5   |
| <b>არარელიგიურები</b>                                     | <b>მიმდევართა რიცხოვნობა (მლნ)</b> | <b>პროცენტული წილი მსოფლიო მოსახლეობაში</b> |
| სეკულარები, ათეისტები, ჰუმანისტები, აგნოსტიკოსები და სხვ. | 1100                               | 15  |

წყარო: *"Major Religions of the World Ranked by Number of Adherents"*. [Adherents.com](http://Adherents.com). 2005. Retrieved 19 Jun 2010 (2010 წლის მონაცემები)

ზემოთაღნიშნული მთავარი რელიგიებიდან ქრისტიანობა, ისლამი და ბუდიზმი, რომლებსაც არაერთი შიდა მიმდინარეობა გააჩნიათ (მაგ. მართლმადიდებლობა,

კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი- ქრისტიანობაში; სუნიზმი, შიიზმი- ისლამში), ფართოდ არიან გავრცელებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და უამრავ მორწმუნეს აერთიანებენ. ეს ნიშნავს, რომ მათი მნიშვნელობა და გავრცელება ცდება რომელიმე ერთი ქვეყნის საზღვრებს, რის გამოც მათ *მსოფლიო* რელიგიებად მოიხსენიებენ.

საპირისპიროდ, არაერთი რელიგია, მაშინაც კი, როდესაც მრავალრიცხოვან მიმდევარს აერთიანებენ, მხოლოდ ერთ ქვეყანაში ან ერთ ეთნოსში (ხალხში) არის გავრცელებული. მათ *ეთნიკურ (ეროვნულ, ნაციონალურ)* რელიგიებს უწოდებენ. ასეთ რელიგიებს მიეკუთვნება ჰინდუიზმი ინდოეთში, კონფუციანობა - ჩინეთში, სინტოიზმი - იაპონიაში, ასევე იუდაიზმი, რომელიც ებრაელი ხალხის რელიგიაა.

მოსახლეობის ეთნიკური შემაღგენლობის მსგავსად, ზოგიერთი ქვეყნის რელიგიური სტრუქტურაც “სიჭრელით” გამოირჩევა (მაგ. რუსეთი, ინდოეთი). ასეთ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყველა რელიგიის, განსაკუთრებით *რელიგიური უმცირესობების* წარმომადგენელთა, უფლებების სათანადო დაცვას, *რელიგიური ექსტრემიზმის* თავიდან აცილებას და მთელი მოსახლეობისათვის საქმიანობისა და ყოფა-ცხოვრების ერთნაირი პირობების შექმნას, მათი რელიგიური მრწამსის მიუხედავად.

ამრიგად, მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობა რასობრივი, ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება. სახელმწიფოებისა და რეგიონების პოლიტიკური სტაბილურობისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეთნოსების წარმომადგენლებისა და რელიგიის მიმდევრებისათვის ურთიერთშემწყნარებლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფა, განვითარების თანაბარი პირობების შექმნა.

## §15. მოსახლეობის მიგრაცია

მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება ამა თუ იმ ქვეყანაში არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე. მოსახლეობის წლიური მატების მონაცემები ხშირად განსხვავდება ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებისაგან. მაგალითად, იამაიკაში შობადობის მაჩვენებელი 18 პრომილეა, ხოლო სიკვდილიანობისა - 7 პრომილე, რაც ნიშნავს, რომ ბუნებრივი მატება ამ ქვეყანაში 11-ია ყოველ 1000 კაცზე. სინამდვილეში კი იამაიკაში მოსახლეობა ყოველწლიურად მხოლოდ 6 პრომილეთი (ანუ 0,6 პროცენტით) იზრდება. ეს სხვაობა ამ ქვეყანაში არსებული მოსახლეობის მექანიკური მოძრაობით, ანუ მიგრაციით აიხსნება.

**მიგრაცია** არის ადამიანის მიერ თავისი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის ხანგრძლივადიანი ან სამუდამო შეცვლა, რაც სხვა ტერიტორიაზე (სხვა დასახლებაში, ქვეყანაში, რეგიონში, კონტინენტზე) გადაადგილებასთან არის დაკავშირებული.

მიგრაციის მიმართულების მიხედვით ასხვავებენ *ემიგრაციას* და *იმიგრაციას*. ემიგრაცია ჰქვია ხალხის გასვლას მოცემული ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში, იმიგრაცია კი- სხვა ქვეყნიდან მოსახლეობის შემოსვლას.

ხალხს, რომელიც მონაწილეობს მიგრაციებში, მიგრანტებს უწოდებენ. მათი გადაადგილების მიმართულების შესაბამისად გამოჰყოფენ ემიგრანტებს და იმიგრანტებს.

სხვაობას ემიგრანტებსა და იმიგრანტებს შორის *მიგრაციის საღღო* ან *მიგრაციის ბალანსი* ეწოდება. როგორც იამაიკის მაგალითიდან შევიტყვეთ, ამ ქვეყანაში ემიგრაცია სჭარბობს იმიგრაციას, რის გამოც ქვეყანაში მოსახლეობის მატება უფრო დაბალია ბუნებრივ მატებასთან შედარებით და შესაბამისად, ამ ქვეყანას მიგრაციის *უარყოფითი საღღო* აქვს. ქვეყნებში,

სადაც ემიგრანტთა რიცხვი ნაკლებია იმიგრანტებზე, დადებითი საღლო აღინიშნება.

### მიგრაციის ტიპები

რითია განპირობებული მოსახლეობის მიგრაცია? მოსახლეობის მიგრაცია სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. კერძოდ, მიგრანტებს სურთ ეკონომიკური კეთილდღეობის ან სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, უკეთესი განათლების მიღება, პოლიტიკური, ეროვნული თუ რელიგიური დევნის თავიდან აცილება, უფრო მისაღებ კულტურულ ან ბუნებრივ-ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრება და ა.შ.

მსოფლიოში განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ეკონომიკური, კერძოდ **შრომითი მიგრაციები**. დღეისათვის მსოფლიოში 40 მილიონზე მეტი შრომითი მიგრანტია. მათი უდიდესი უმრავლესობა განვითარებადი ქვეყნებიდან არიან წასული აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში, ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებში, სადაც შრომის ანაზღაურება გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მიგრანტების “მშობლიურ” ქვეყანაში. შრომითი მიგრანტების მასობრივი მიზიდვის კიდევ ერთი რეგიონია ახლო აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარი ქვეყნები.


მაღალი ანაზღაურება, დასაქმების მეტი შესაძლებლობები, უკეთესი საცხოვრებელი პირობები, კარგი სოციალური დაცვა და განათლება, უსაფრთხო გარემო არის მიმზიდველი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მიგრანტთა მოდინებას იმიგრაციის ქვეყანაში. შაპირისპიროდ, ემიგრაციის ქვეყანაში აღინიშნება *გამომგდები ფაქტორების* სიჭარბე - დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, მოუწყობელი და სიცოცხლისთვის სახიფათო გარემო და ა.შ.

ღარიბი ქვეყნებიდან შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მიგრანტთა გასვლას სხვა ქვეყნებში, დაბალპრესტიჟული სამუშაოს საძიებლად, “*კუნთების გადინებას*” უწოდებენ. ამ მოვლენის საპირისპიროდ, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მასობრივი ხასიათი მიიღო მაღალი

კვალიფიკაციის მუშახელისა და ინტელექტუალების (მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების) მიგრაციამ ჯერ აშშ-ში, ხოლო მოგვიანებით დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებშიც კვალიფიციური პერსონალის ემიგრაციას “ტვინების გადინებას” ეძახიან. ასეთი მიგრანტების მიმწოდებელ ქვეყნებს თავიდან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიც წარმოადგენდნენ, გაცილებით უფრო მაღალი შემოსავლების მიღების პერსპექტივით. დღესათვის “ტვინების გადინება” უმთავრესად პოსტსაბჭოთა სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკებიდან, ასევე ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნებიდან (მაგ. ინდოეთი, ბრაზილია) ხდება.

გამომწვევი მიზეზების გარდა, მიგრაციებს სხვა ფაქტორების მიხედვითაც განასხვავებენ (იხ. ნახ. 10)

ნახ. 10. მიგრაციის ტიპები



ხანგრძლივობის მიხედვით ასხვავებენ მუდმივ (პერმანენტულ) და დროებით მიგრაციებს. მუდმივია მიგრაცია, როდესაც მიგრანტ სამუდამოდ ტოვებს თავის ადგილსამყოფელს და სხვა ადგილზე გადადის საცხოვრებლად. დროებითი მიგრაციის დროს კი მიგრანტები გარკვეული პერიოდის განმავლობაში,

რომელიც შეიძლება რამდენიმე კვირიდან ათეულობით წლამდე გრძელდებოდეს, სხვაგან ცხოვრებისა და საქმიანობის (მაგ. მუშაობის, სწავლის, დასვენების და სხვა) შემდეგ კვლავ უბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს.

**დისტანციურობის** (სიშორის) მიხედვით განასხვავებენ *სარეთაშორისო (საგარეო)* და *შიდა* მიგრაციებს. ირველ შემთხვევაში მიგრანტები ერთი სახელმწიფოდან სხვა ქვეყანაში გადაინაცვლებენ. განსაკუთრებით მასშტაბურია საკონტინენტაშორისო მიგრაციები, რომლის კარგ მაგალითს წარმოადგენს ევროპელთა მასობრივი მიგრაცია ამერიკის კონტინენტზე. ამ ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან II მსოფლიო ომამდე) ამერიკაში 60 მილიონზე მეტი ევროპელი გადასახლდა.

ცალკეული ქვეყნების ფარგლებში მიმდინარე *შიდა მიგრაციებში* რამდენიმე ძირითადი მიმართულება უნდა გამოიყოს, რაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. პირველ ყოვლისა, ესაა მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად, რამაც XX საუკუნის II ნახევრიდან მასობრივი ხასიათი მიიღო. მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც მთიანი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, არის მთის მოსახლეობის მიგრაცია ბარში. დიდი ქალაქებისა და ჯგუფური საქალაქო წარმონაქმნებისათვის (აგლომერაციები, კონურბაციები, მეგაპოლისები) დამახასიათებელია მიგრაციის სპეციფიური ტიპი. ის გულისხმობს მიმდებარე სოფლებიდან და პატარა ქალაქებიდან, ასევე დიდი ქალაქის გარეუბნებიდან მოსახლეობის ყოველდღიურ მიგრაციას ქალაქში (სამუშაოდ, სასწავლებლად, საყიდლებზე) და უკან (საცხოვრებელ ადგილზე). ასეთ მიგრაციას “ქანქარისებულს” უწოდებენ.


ამას გარდა, დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ვრცელი მეჩხრად დასახლებული ტერიტორიები (რუსეთი, კანადა, ბრაზილია, ავსტრალია, ჩინეთი, ყაზახეთი) დამახასიათებელია ახალი მიწების ათვისება, ე.წ. *კოლონიზაცია*, რაც ძირითადად შიდა მიგრაციებთან არის დაკავშირებული.



და ბოლოს, მიგრაციები შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან იძულებითი. ნებაყოფლობითია მიგრაცია, როდესაც მიგრანტი თავად იღებს გადაწყვეტილებას გადაადგილების შესახებ. გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეჯერების შედეგად ხდება.

ზოგჯერ აღამიანებს არ აქვთ არჩევანი საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დარჩენის ან მისი დატოვების შესახებ. ისინი იძულებულნი არიან მიატოვონ თავიანთი სახლ-კარი და სხვაგან, ხშირად სხვა ქვეყანაში წავიდნენ. უცხოეთში გადახვეწილ იძულებით მიგრანტებს **ლტოლვილებს** უწოდებენ, საკუთარი ქვეყნის შიგნით გადაადგილებულებს კი – **დევნილებს** ან **იძულებით ადგილნაცვალ (გადაადგილებულ) პირებს**. სამწუხაროდ, დღეს ლტოლვილთა და დევნილთა რაოდენობა მსოფლიოში საკმაოდ დიდია (იხ. ნახ. 11).

**ნახ. 11.** ლტოლვილი და დევნილი მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა მსოფლიოში (1964-2008 წლებში)



წყარო: *Global Conflict Trends. Center for Systemic Peace. 2009*

ვებ-გვერდი: <http://www.systemicpeace.org/conflict.htm>

ლტოლვილთა და დევნილთა ძირითადი მასა ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზეზების გამო წარმოიშვება, როგორცაა ომები, დევნა, შიმშილი. ასეთი იძულებითი მიგრაციების მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ მონებით ვაჭრობა წარსულში, ან ებრაელთა დევნა II მსოფლიო ომში.

ლტოლვილებისა და დევნილების გაჩენა შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივმა კატასტროფებმაც, როგორცაა მიწისძვრები, ვულკანები, ზვავები და სხვ. მაგალითად, 1997 წელს ვულკანის ამოფრქვევამ კუნძულ მონსერატზე, კარიბის ზღვაში, გამოიწვია თითქმის მთელი მოსახლეობის მიგრაცია, ძირითადად დიდ ბრიტანეთში. საქართველოშიც არსებობენ იძულებით გადაადგილებული პირები მთიანი (აჭარისა და სვანეთის) სოფლების დამეწყვრისა და ზვავებით დაზიანების გამო.

ამრიგად, ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის ცვლილება შეიძლება მნიშვნელოვანწილად იყოს დამოკიდებული მიგრაციებზე. არსებობს სხვადასხვა ტიპის მიგრაცია, რომლებიც შეიძლება ნებაყოფლობით ან იძულებით ხდებოდეს. იძულებითი მიგრანტების, ანუ ლტოლვილების არსებობა ბევრი ქვეყნის მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენს.

## §1.6. მოსახლეობის განლაგება და სიმჭიდროვე

მსოფლიოს მოსახლეობა არათანაბარი განლაგებით ხასიათდება. ოსახლეობის განლაგება გულისხმობს, თუ როგორ არიან ადამიანები განაწილებული დედამიწის ზედაპირზე. საკმარისია ითქვას, რომ მთელი მოსახლეობის 70 პროცენტი დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 7 პროცენტზე ცხოვრობს, მაშინ როცა ხმელეთის 15 პროცენტი საერთოდ უკაცრიელია.

- მსოფლიოს მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი ჩრდ.განედის 10<sup>0</sup> და ჩრდ.განედის 60<sup>0</sup> შორის ცხოვრობს.
- მსოფლიო მოსახლეობის 80 პროცენტი ცხოვრობს დაბლობებსა და ვაკეებზე, რომლებიც ზღვის დონიდან არაუმეტეს 500 მეტრზე მდებარეობენ. ასეთ ტერიტორიებს დედამიწის მხოლოდ 28 პროცენტი უკავიათ.
- მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი ზღვებისა და ოკეანეების სანაპირო ზოლიდან არაუმეტეს 200 კილომეტრის დაშორებით ცხოვრობს; სანაპიროებიდან 50 კილომეტრის ზოლში, რომელსაც ხმელეთის მხოლოდ 12 პროცენტი უკავია, მოსახლეობის თითქმის 30 პროცენტი ცხოვრობს.

რა იწვევს მოსახლეობის ასეთ არათანაბარ განაწილებას დედამიწის ზედაპირზე? ადამიანების მიერ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის არჩევაზე და, შესაბამისად, მოსახლეობის განლაგებაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს. შეიძლება მათი გაერთიანება ორ ჯგუფად: **ბუნებრივ** და **ადამიანურ**, ანუ **ანთროპოგენულ** ფაქტორებად. ბუნებრივ ფაქტორებს მიეკუთვნება ტემპერატურა, ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან, რელიეფის თავისებურებანი და სხვა. ანთროპოგენულ ფაქტორებად უნდა ჩაითვალოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პირობები.

აღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან მოსახლეობის თავმოყრას გარკვეულ ტერიტორიებზე. ამის მიხედვით შეგვიძლია ვისაუბროთ მოსახლეობის განაწილების მიმართ სხვადასხვა ფაქტორების **დადებით** და **უარყოფით** ზემოქმედებაზე, როგორც ეს ცხრ. 2-შია ნაჩვენები.

**ცხრილი 2.** მოსახლეობის განაწილებაზე მოქმედი ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორები

| <b>ბუნებრივი ფაქტორები</b> | <b>დადებითი</b>  | <b>უარყოფითი</b>   |
|----------------------------|--|--|
| <b>რელიეფი</b>             | დაბლობები, მდინარეების ველები/ ხეობები ან მთის დამრეცი ფერდობები (მაგ. განგის დაბლობი)       | მაღალი მთები, ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე მყოფი ტერიტორიები, ციცაბო ფერდობები (მაგ. კავკასიონი, ანდეები) |
| <b>კლიმატი</b>             | ზომიერი კლიმატი, მოსავლის მოყვანისათვის აუცილებელი თბილი პერიოდით (მაგ. საფრანგეთი, იაპონია) | ექსტრემალური კლიმატი: ძალიან ცივი, ძალიან ცხელი, ძალიან ტენიანი ან ძალიან მშრალი (მაგ. ტუნდრა, საჰარა)   |
| <b>ნიადაგები</b>           | მძლავრი ნაყოფიერი ნიადაგები შლამითა და ალუვიონით (მაგ. ნილოსის დელტა)                        | თხელი, კლდიანი და მუქვე ნიადაგები (მაგ. უდაბნოები, მთიანი მხარეები)                                      |
| <b>მცენარეულობა</b>        | მდელოები და მეჩხერი ტყეები (მაგ. პამპასები არგენტინაში, პრერიები)                            | ძნელად ასათვისებელი უღრანი ტყეები და ჯუნგლები, ჭაობები (მაგ. ტაიგა, ამაზონის აუზი)                       |
| <b>მიღწევადობა</b>         | ადვილადმისადწევი სანაპირო არეალები (მაგ. აშშ ატლანტის სანაპირო)                              | ძნელადმისადწევი შიდაკონტინენტური ტერიტორიები (მაგ. ცენტრალური აზია)                                      |
| <b>რესურსები</b>           | წყლის, ხე-ტყის, სათბობი და სხვა მინერალების სიუხვე, თევზჭერის/ნადირობის საშუალება            | შეზღუდული რესურსები განვითარებისათვის (მაგ. სამხრეთი ჩილე, საჰელი)                                       |

| ანთროპოგენული ფაქტორები | დადებითი   | უარყოფითი  |
|-------------------------|--|--|
| ეკონომიკური             | ვაჭრობისათვის დიდი, მდიდარი ბაზრის არსებობა.<br>განვითარებული ინფრასტრუქტურა (გზები, რკინიგზა, მომსახურება).<br>იმპორტისა და ექსპორტის განხორციელების შესაძლებლობა (მაგ. დას. ევროპა, იაპონია, აშშ).<br>მაღალკვალიფიციური და მრავალფეროვანი მუშახელის არსებობა (მაგ. დიდი ქალაქები, განვითარებული ქვეყნები). | მწირი სავაჭრო კონტაქტები და ღარიბი ბაზრები.<br>განუვითარებელი ინფრასტრუქტურა და შეზღუდული მიღწევადობა (მაგ. საჰარა, ამაზონის აუზი, შიდა ავსტრალია) დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობა, მათ შორის სოფლის მეურნეობაში (მაგ. ალასკა, ტუნდრა) |
| სოციალური               | საზოგადოების უმეტეს ჯგუფებს ურჩევნიათ ერთად ცხოვრება უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მიზნით  | ზოგიერთი ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს უფრო იზოლირებულად ცხოვრებას (მაგ. სკანდინავები)  |
| პოლიტიკური              | სტაბილური მთავრობები და უსაფრთხოების მაღალი ხარისხი  | არასტაბილური მთავრობები, სამოქალაქო ომები, კონფლიქტები (მაგ. ავღანეთი)   |

დედამიწაზე მოსახლეობის განაწილებისა და მის ცალკეულ ნაწილებში ადამიანთა თავმოყრის (კონცენტრაციის) საზომად იყენებენ მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელს. ის გვიჩვენებს, თუ რამდენი ადამიანი ცხოვრობს საშუალოდ მოცემული ტერიტორიის ფართობის ერთეულზე (1 კვ.კმ-ზე) და გამოიანგარიშება ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გაყოფით ამავე ტერიტორიის ფართობზე. მაგალითად, მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვე უდრის:


|                                    |               |  |
|------------------------------------|---------------|--|
| მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა     | 7 400 000 000 |  |
| ----- = ----- = 49,7 კაცი/კვ.კმ    |               |  |
| დედამიწის ხმელეთის ფართობი (კვ.კმ) | 149 000 000   |  |

ბუნებრივია, რომ დედამიწაზე მოსახლეობის სიმჭიდროვის ეს მაჩვენებელი *საშუალო სიმჭიდროვეს* ასახავს, რაც ნიშნავს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის თანაბარი განაწილების შემთხვევაში დედამიწის ყოველ კვადრატულ კილომეტრზე 49,7 ადამიანი იცხოვრებდა.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ სინამდვილეში არც დედამიწაზე და არც რომელიმე ქვეყანაში მოსახლეობა თანაბრად არ ნაწილდება. არსებობს ტერიტორიები, სადაც მოსახლეობის მაღალი თავმოყრა (კონცენტრაცია) აღინიშნება და, შესაბამისად, რომლებიც მოსახლეობის *მაღალი სიმჭიდროვით* ხასიათდებიან. საპირისპიროდ, მოსახლეობის *დაბალი სიმჭიდროვე* არის დამახასიათებელი მეჩხრად დასახლებული და უკაცრიელი ტერიტორიებისათვის.

**ნახ. 12-**ზე მოცემული რუკა იძლევა დედამიწაზე მოსახლეობის სიმჭიდროვის სხვაობების გამარტივებულ სურათს. რუკიდან კარგად ჩანს, რომ მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვით გამოირჩევა მსოფლიოს სამი რეგიონი: დასავლეთ ევროპა (რეგიონი 1 **ნახ. 12-**ზე), სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია (რეგიონი 2) და აშშ ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (რეგიონი 3). ამ რეგიონების ზოგიერთ არეალებში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 1000 კაცსაც კი აღემატება.

ნახ. 12. მსოფლიო მოსახლეობის სიმჭიდროვე



ამასთან ერთად, მოსახლეობის მეტად მაღალი სიმჭიდროვე აღინიშნება ქალაქებსა და ურბანულ არეალებში, განსაკუთრებით დიდი ქალაქების ცენტრალურ უბნებში.

სხვაობები მოსახლეობის სიმჭიდროვეში მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, ასევე ცალკეული ქვეყნების ფარგლებში, ლოგიკური მოვლენაა და ხშირად ობიექტური სინამდვილით არის გამოწვეული. ამავე დროს, მოსახლეობის ძალიან დაბალი ან, კიდევ უფრო მეტად, ძალიან მაღალი სიმჭიდროვე მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ამა თუ იმ ქვეყანას ან მის ნაწილს სასურველი განვითარების უზრუნველსაყოფად.

### ჭარბმოსახლეობა

როგორც შევითქვით, მოსახლეობის განლაგებაზე სხვა ფაქტორებთან ერთად უდიდეს გავლენას ახდენს სხვადასხვა რესურსების არსებობა და მათი ხელმისაწვდომობა. ადამიანები მართლაც მნიშვნელოვანწილად არიან დამოკიდებულნი ისეთ რესურსებზე, როგორცაა ნაიდაგი, მცენარეულობა, წყალი, წიაღისეული და სხვა. ცნობილია, რომ თავად რესურსებიც არათანაბრად

არის განაწილებული და ხშირად ადამიანის ცხოვრებისათვის არასასურველ არეალებში (მაგ. მთებში, ცივ სარტყლებში) გვხვდება.

ისეთ ადგილებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა აჭარბებს სასიცოცხლოდ აუცილებელი ხელმისაწვდომი რესურსების ოდენობას, ადგილი აქვს **ჭარბმოსახლეობას**. ჭარბმოსახლეობა შეიძლება გამოწვეული იყოს:

- მოსახლეობის რაოდენობის საგრძნობი ზრდით, მაღალი ბუნებრივი მატების ან იმიგრანტთა მასობრივი შემოსვლის გზით;
- რესურსების შემცირების ან ამოწურვის გამო. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ნიადაგების ეროზია, გაუდაბნობა, წყალსატევების დაშრობა, მინერალური რესურსების (მაგ. ქვანახშირის, რკინის მადნის) ამოწურვა.

ჭარბმოსახლეობა უმეტესად მსოფლიოს მჭიდროდ დასახლებულ არეალებში აღინიშნება, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად ჰონკონგი, სინგაპური, იაპონიის ზოგიერთი ნაწილი, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე კვადრატულ კილომეტრზე 1000 კაცს აღემატება, არ ითვლებიან ჭარბმოსახლეობის არეალებად. ისეთი სახელმწიფოები კი, როგორცაა სუდანი და სომალი, რომლებშიც მოსახლეობის სიმჭიდროვე კვადრატულ კილომეტრზე 15 ადამიანსაც ვერ აღწევს, ჭარბმოსახლეობის ქვეყნებად ითვლება.

ჭარბმოსახლეობა ძირითადად განვითარებადი ქვეყნების პრობლემაა, რადგან ის მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მათი რესურსებით უზრუნველყოფის, ხელმისაწვდომობისა და მოხმარების დონეზე.

**ცხრ. 3** გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას ჭარბმოსახლეობის პრობლემა სხვადასხვა გარემოში.



### ცხრ. 3. ჭარბმოსახლეობა

#### მაგალითი 1. სუდანი, სომალი და ეთიოპია

- შობადობის მაღალი დონე იწვევს გამოსაკვები მოსახლეობის სწრაფ ზრდას.
- თავდაპირველად ნაყოფიერი ნიადაგები ზედმეტი დატვირთვით იქნა გამოყენებული საკმარისი მოსავლის მისაღებად. ამან გამოიწვია ნიადაგების წვიმის და ქარისმიერი ეროზია.
- ტყის გაკაფვამ და ხის ჭრამ დიდი მასშტაბები მიიღო ახალი დასამუშავებელი ნაკვეთების ათვისებისა და საწვავის მიღების მიზნით, რამაც პირუტყვის უკონტროლო ძოვებასთან ერთად გამოიწვია მზარდი გაუდაბნობა.
- ბოლო 20 წლის მანძილზე შემცირდა ნალექიანობა. გვალვებმა გამოიწვიეს დაავადებები, არასრულფასოვანი კვება და შიმშილობა.
- მინერალური ნედლეულის არარსებობა და სათბობის უკმარისობა.
- ფულადი სახსრების არარსებობა რესურსების დასაზვერად ან შესასყიდად.
- სამოქალაქო ომებმა გაანადგურეს რესურსები და გაზარდეს ლტოლვილთა რიცხვი.

მაღალი ბუნებრივი მატებისა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ფონზე სწრაფად იწურება ისედაც მწირი ბუნებრივი რესურსები.



## მაგალითი 2. განვითარებადი ქვეყნების ქალაქები

შობადობისა და მოსახლეობის რაოდენობის თვალსაჩინო ზრდის ფონზე სწრაფად ხდება ბუნებრივი რესურსების ათვისება და ამოწურვა სასოფლო არეალებში. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდ ქალაქებს მიაშურებს. შედეგად, ქალაქებში იქმნება პრობლემები:

- სურსათით არასაკმარისი უზრუნველყოფა.
- საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების უკმარისობა.
- სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით არასათანადო უზრუნველყოფა; კომუნალური სისტემების (მაგ. კანალიზაცია) მოუწყობლობა.
- მიუხედავად ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისა, ქალაქად ჩამოსული ბევრი მიგრანტი საავადმყოფო და სასკოლო მომსახურების გარეშე რჩება.
- არაადეკვატური სატრანსპორტო საშუალებები და ტრანსპორტის/მოძრაობის “საცობები”.

მატერიალური სახსრებისა და რესურსების უკმარისობა სწრაფად მზარდი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად.



### *მაგალითი 3. იაპონია: ტოკიოს უბის რეგიონი*

ჭარბმოსახლეობა მხოლოდ განვითარებადი სამყაროს პრობლემას არ წარმოადგენს.

- იაპონია უმდიდრესი ქვეყანაა, ტოკიო კი უმდიდრესი ქალაქია მსოფლიოში. ქალაქს აქვს უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობები რესურსების შესაძენად.
- ტოკიოს უბეში 38 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ცენტრალურ ტოკიოს მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვე აქვს მსოფლიოში- 20 000 კაცზე მეტი კვ.კმზე. არსებობს უზარმაზარი მოთხოვნილება ისეთ რესურსებზე, როგორცაა მერქანი, მინერალური რესურსები, ენერჯის წყაროები და თევზი.
- ტოკიოში საკმარისად ბევრი სამუშაო ადგილი, საკვები და მომსახურების ობიექტია, მაგრამ არასაკმარისი სივრცეა. სახლები ძალიან პატარა ზომისაა და ერთმანეთზე მჭიდროდაა მიჯრილი. ძალზე შეზღუდულია ღია გამწვანებული სივრცეები.
- ქალაქი იზრდება და იკავებს ახალ ტერიტორიებს თავისი საზღვრების გარეთ, ძირითადად იმ მიწებს, რომლებიც ადრე სოფლის მეურნეობისა და რეკრეაციისათვის გამოიყენებოდა.

იაპონელები ცდილობენ დაზოგონ საკუთარი ბუნებრივი რესურსები, მაშინ როცა სულ უფრო ფართოდ იყენებენ საზღვარგარეთ შეძენილ რესურსებს.



ამრიგად, მოსახლეობა დედამიწაზე უთანაბროდაა განაწილებული. ექსტრემალური ბუნებრივი პირობები (უკიდურესი სიცხე, სიცივე, სიმშრალე, ტენიანობა) უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის თავმოყრაზე და იწვევს დაბალ სიმჭიდროვეს. მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე მსოფლიოს სამ რეგიონსა და დიდ ქალაქებში აღინიშნება. მოსახლეობის რაოდენობისა და მათთვის ხელმისაწვდომი აუცილებელი რესურსების ოდენობას შორის დისბალანსი/შეუსაბამობა ჭარბმოსახლეობას განაპირობებს.

## §1.7. საქალაქო და სასოფლო დასახლებები

თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მკვიდრ ცხოვრებას ეწევა. იმ ადგილებს, სადაც ადამიანები ცხოვრობენ და საქმიანობენ **დასახლებებს** ან **დასახლებულ პუნქტებს** ვუწოდებთ. ანასხვაგვარად დასახლებების ორ ტიპს: *სოფელსა* და *ქალაქს*.

პირველი დასახლებების, კერძოდ **სოფლების** გაჩენა დედამიწაზე იმ პერიოდს უკავშირდება, როცა ადამიანი შემგროვებლურ საქმიანობასა და მონადირეობა-მეთევზეობასთან ერთად მიწის დამუშავებასაც იწყებს. სწორედ მიწათმოქმედების ჩასახვამ გახადა აუცილებელი მკვიდრი ცხოვრების დაწყება და მუდმივი დასახლებების შექმნა. სოფლები დღესაც უპირატესად სასოფლოსამეურნეო, მეტყევეობასა და მონადირეობასთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწევიან.

**ქალაქები** უფრო მოგვიანებით, კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან ერთად ჩნდებიან. ამ დროს საზოგადოებაში იწყება **შრომის დანაწილება** და მის საფუძველზე ისეთი ახალი საქმიანობების წარმოქმნა, როგორცაა ხელოსნობა და ვაჭრობა. სწორედ ქალაქები ხდებიან წარმოების, ვაჭრობის, კომუნიკაციის, თავდაცვისა და მმართველობის ცენტრები. მსოფლიოში პირველი ქალაქები უძველეს პერიოდში გაჩნდნენ ინდოეთში, ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში.

**შრომის დანაწილება** აღნიშნავს შრომის პროცესში რიგი სხვადასხვა საქმიანობების გამოცალკევებას (სეპარაციას), რომელთაგან თითოეულს ცალკე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ასრულებს. შრომის დანაწილება მატერიალური წარმოების ისტორიულ პროცესს უკავშირდება, რომლის შედეგადაც წარმოიშვა უამრავი პროფესია და საქმიანობის დარგი.

**შრომის საზოგადოებრივი დანაწილება** გულისხმობს ერთი საზოგადოების ფარგლებში ცალკეული საქმიანობებისა და ფუნქციების შესრულებას სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ, რაც განსაზღვრავს მათ როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებაში.

შრომის დანაწილებას *გეოგრაფიული* ნიშნის მიხედვით, როცა სხვადასხვა

ტერიტორია ადამიანთა განსხვავებული საქმიანობისა და წარმოების სხვადასხვა დარგების განთავსების ადგილად გვევლინება, **შრომის ტერიტორიული** (ან გეოგრაფიული) **დანაწილება** კქვია. მისი უმაღლესი გამოვლინებაა/ფორმაა **შრომის საერთაშორისო დანაწილება**, რაც ასახავს ქვეყნების **სპეციალიზაციას** გარკვეული სახეობის საქონლის (და მომსახურების) დამზადებაში, რომლის წარმოებისთვისაც ამ ქვეყანაში უკეთესი პირობები არსებობს (მაგ. იაფი ნედლეული, კვალიფიციური პერსონალი) სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ნებისმიერი დასახლების შექმნისას მნიშვნელოვანი იყო და არის მისი გაშენების ადგილი. **დასახლების ადგილი** არის ფიზიკური ტერიტორია, რომელზეც ხდება ადამიანის განთავსება და საქმიანობა. ძველად ახალმოსახლეები ცდილობდნენ, რომ დასახლების ადგილის შერჩევას გაეთვალისწინებინათ ისეთი პირობები, როგორცაა:

- წყლის არსებობა და ხელმისაწვდომობა;
- სურსათით უზრუნველყოფის საშუალება;
- ცუდი ამინდისაგან თავშესაფრის მოწყობის შესაძლებლობა;
- დაჭაობებისა და წყალდიდობის ხიფათის არარსებობა;
- მტრისაგან თავდაცვის შესაძლებლობა;
- სახლების ასაშენებელი მასალების არსებობა;
- საწვავის არსებობა გათბობისა და საჭმლის დასამზადებლად;
- სხვა ადგილებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

მოსახლეობის განაწილებას დასახლებების (დასახლებული ადგილების) მიხედვით **განსახლებას** უწოდებენ. **ნახ. 13** გვიჩვენებს **განსახლების ფაქტორების** არსებობას წარმოდგენილ ტერიტორიაზე, თუმცა სინამდვილეში, ხშირად დასახლების ადგილზე ამ ფაქტორების მხოლოდ ნაწილი არსებობდა. ისიც საყურადღებოა, რომ განსახლების ადრეულ ფაქტორთა ერთი ნაწილი შეიძლება დღეს აღარც იყოს მნიშვნელოვანი. მაგალითად, დასახლებისათვის წყლის მიწოდება მილსადენითაც არის შესაძლებელი, სამშენებლო მასალები და საკვები შესაძლოა სხვა ადგილებიდანაც იქნას შემოტანილი, გარე აგრესიისაგან



ნაყოფიერი მიწების სიახლოვეს და მნიშვნელოვან საბაზრო ადგილებში აღმოჩნდნენ.

შეიძლება დავასკვნათ, რომ განსხვავებული დასახლებების – სოფლებისა და ქალაქების – წარმოშობა შრომის ტერიტორიული დანაწილების შედეგია, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა ადგილებში (ტერიტორიებზე) განსხვავებულ საქმიანობას ეწევიან. დასახლებების ზრდა-განვითარება კი სხვა ფაქტორებთან ერთად დიდწილად მათი განთავსების ადგილისა და გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელობითაა განპირობებული.

### დასახლებების იერარქია

სოფლებსა და ქალაქებს ბევრი განმასხვავებელი ნიშანი აქვთ და სხვადასხვა ადგილი უკავიათ დასახლებათა *იერარქიაში*, ანუ მნიშვნელობის მიხედვით განაწილებაში. დასახლებათა იერარქია, როგორც წესი, სამ ძირითად *კრიტერიუმს*, ანუ მახასიათებელს ემყარება. ესენია:

- დასახლების ხალხმრავლობა;
- დასახლების ფუნქციები;
- დასახლების გავლენის სფერო.



ნახ. 14. დასახლებების იერარქია (დასავლური ქვეყნების მაგალითზე)

| იერარქია  | დაშორება (კმ) | მოსახლეობის რაოდენობა                   | მომსახურება  |
|---|---------------|---|--|
| ერთი დედაქალაქი<br>—<br>ორი-სამი კონურბაცია                               | -<br>-        | 5 000 000-ზე მეტი<br>—<br>1 000 000-მდე | სამთავრობო ოფისები; არაერთი უნივერსიტეტი; მრავალხაზიანი რკინიგზის სადგურები; საერთაშორისო აეროპორტი; დიდი, სპეციალიზებული საავადმყოფოები; ეროვნული კულტურული დაწესებულებები; სპორტული კლუბები; ყველა მთავარი ეროვნული და ზოგი საერთაშორისო სავაჭრო ქსელი; სპეციალიზებული მაღაზიები და სალონები |
| რამდენიმე დიდი ქალაქი   | 100           | 500 000-მდე                             | ადმინისტრაციული შენობები; კათედრალი; უმაღლესი კლასის სასტუმრო; უნივერსიტეტი; თეატრები; ბევრი კინოთეატრი; საავადმყოფოები; მთავარი რკინიგზის სადგური; ფეხბურთის გუნდი; მაღაზიების მთავარი ეროვნული ქსელები - უნივერსალური მაღაზიები და სპეციალიზირებული  |
| ბევრი საშუალო ქალაქი  | 50            | 100 000-მდე                             | პატარა საავადმყოფო; რესტორნები; ეკლესიები; სასტუმროები; მომცრო თეატრი; კინოთეატრები; რამდენიმე საშუალო სკოლა; საფეხბურთო კლუბი; სავაჭრო ქსელი; სუპერმარკეტები  |
| ასობით პატარა ქალაქი  | 20            | 20 000-მდე                              | ქალაქის მმართველობის შენობა; ეკლესიები; ექიმი; რამდენიმე საზოგადოებრივი შენობა; კაფეები და რესტორანი; მომცრო საშუალო სკოლა; რკინიგზის სადგური; ავტოსადგური; ფეხბურთის გუნდი; მაღაზიები; ფოსტა  |
| ათასობით სოფელი და ცალკე მდგომი კარმიდამოები (მაგ. ფერმერული მეურნეობები) | 2-7           | 1 000-მდე                               | სოფლის საბჭოს შენობა; ეკლესია; საზოგადოებრივი შენობა; საწესის სკოლა; სოფლის მაღაზია; ფოსტა; საზოგადოებრივი ტელეფონი  |

**შენიშვნა:** მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ დასახლებებს ყველა ის მომსახურებაც აქვთ, რაც მასზე დაბალი იერარქიის დასახლებებისათვის არის დამახასიათებელი.

ნახ. 14 გვიჩვენებს დასახლებათა იერარქიას **ხალხმრავლობის** მიხედვით. ხალხმრავლობაში იგულისხმება მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა. პირამიდის ფუძეში ადგილი აქვთ მიხენილი ცალკემდგომ ფერმერულ მეურნეობებს (რომლებიც დამახასიათებელია აშშ, დიდი ბრიტანეთის, სკანდინავიისა და ზოგი სხვა რეგიონისათვის) და პატარა სოფლებს. პირამიდის წვეროში კი მრავალმილიონიანი საქალაქო წარმონაქმნები- მეგაპოლისები არიან განლაგებულნი.

საყურადღებოა, რომ რაც უფრო მცირერიცხოვანია დასახლება, მით უფრო დიდია ასეთი დასახლებების რაოდენობა მსოფლიოში თუ ცალკეულ ქვეყნებში. პირიქით, ხალხმრავლობასთან ერთად დასახლებების რაოდენობა მცირდება.

ცალკეულ ქვეყნებში დასახლებებისათვის ქალაქის სტატუსის (წოდების) მინიჭების ხალხმრავლობის კრიტერიუმი ძალიან განსხვავებულია. მაგალითად, ისლანდიაში, შვედეთში, დანიაში, ფინეთში ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს დასახლება, თუ მასში 200 ადამიანზე მეტი ცხოვრობს, კანადასა და ავსტრალიაში - 1000-ზე მეტი; ამავე დროს, ქალაქის სტატუსის მისაღებად იაპონიაში დასახლების ხალხმრავლობა 30 ათასს, კორეაში კი 40 ათასს უნდა აღემატებოდეს.

ხალხმრავლობა არ არის საკმარისი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სოფლისა და ქალაქის განსხვავება. ზოგ შემთხვევაში სოფლად ითვლება დასახლება, რომელშიც 5 ან 10 ათასი კაციც კი ცხოვრობს. საპირისპიროდ, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა ქალაქად თვლიან დასახლებებს 1000 ადამიანზე ნაკლები მოსახლეობით. ასეთ შემთხვევებში მოქმედებს დასახლების *ფუნქციის* კრიტერიუმი. ფუნქცია ნიშნავს დასახლების დანიშნულებას, რის გამოც ის არსებობს და რა "სამუშაოსაც" ასრულებს. დასახლების ფუნქციის განსაზღვრის საუკეთესო საშუალებაა მისი *მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის* დადგენა. სასოფლო დასახლებებს თითქმის ყოველთვის სასოფლო-სამეურნეო და, მასთან ახლომდგომი, სატყეო და სანადირო მეურნეობის ფუნქცია აქვთ, რის გამოც სოფლად დასაქმებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (50-80 პროცენტი) სწორედ ამ საქმიანობაშია ჩაბმული. ამის საპირისპიროდ, ქალაქებად ისეთი დასახლებები ითვლება, რომელთა დასაქმებული მოსახლეობის უმეტესობა (50-80 პროცენტი) არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, ქალაქად ითვლებოდა დასახლებული პუნქტი არანაკლებ 5 ათასი მცხოვრებით, რომლის დასაქმებული მოსახლეობის ნახევარზე მეტი არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული. ამ კრიტერიუმების მიხედვით ზოგ ხალხმრავალ დასახლებებს (მაგ. მარტყოფს, ველისციხეს) 10 ათასზე მეტი მცხოვრებით, სოფლის სტატუსი გააჩნიათ. ამავე დროს გაცილებით ნაკლები ხალხმრავლობის დასახლებებს (მაგ. სიღნაღი, ყაზბეგი, ჩოხატაური – 5000-ზე ნაკლები მცხოვრებით) დაბის (ე.ი. საქალაქო ტიპის დასახლების) სტატუსი აქვთ მინიჭებული, მათი მოსახლეობის არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების შედარებით მაღალი წილის გამო.

თავად ქალაქებში გამოჰყოფენ *ერთფუნქციურ* ანუ *მონოფუნქციურ* და *მრავალფუნქციურ* ანუ *პოლიფუნქციურ* ქალაქებს. მონოფუნქციურია ქალაქი, თუ მასში ერთ რომელიმე დარგში/საქმიანობის სფეროში დასაქმებულთა ხვედრითი წილი საგრძნობლად აღემატება სხვა დარგებში დასაქმებულთა წილს. იმის მიხედვით თუ მეურნეობის რომელ სფეროშია ჩაბმული დასაქმებული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მონოფუნქციურ ქალაქებში ასხვავებენ სამთომოპოვებით, სატრანსპორტო, საკურორტო, საგანმანათლებლო, მეტალურგიულ, მანქანათმშენებლობის, სავაჭრო/ კომერციულ, ადმინისტრაციულ და სხვა ქალაქებს (ცენტრებს).

დიდ ბრიტანეთში სამთო-მოპოვებით, ქიმიური მრეწველობის, გემთმშენებლობის, სატრანსპორტო, საკურორტო (ჯანდაცვა და გართობა) ქალაქებში მომუშავეთა 15 ან 20 პროცენტზე მეტი შესაბამის დარგებში არიან დასაქმებულნი.

პოლიფუნქციურ ქალაქებში დასაქმების სტრუქტურა ისეა დაბალანსებული, რომ ძნელია ერთი წამყვანი ფუნქციის გამოყოფა. ასეთი მდგომარეობა, როგორც წესი, დიდ ქალაქებსა და დედაქალაქებში აღინიშნება.

დასახლებები და, განსაკუთრებით ქალაქები, თავისი ზრდა-განვითარების პროცესში ხშირად იცვლიან თავდაპირველ ფუნქციას. მაგალითად, მსოფლიოს

ბევრმა ქალაქმა დაკარგა თავდაპირველი, თავდაცვის ფუნქცია და სამრეწველო ან რაიმე სხვა ფუნქციის მატარებელი გახდა. მეთევზეთა დასახლებები ხშირად გადაიქცევიან ხოლმე ნავსადგურებად ან საკურორტო ქალაქებად, დიდ ქალაქებთან ახლომდებარე სოფლები კი- ე.წ. ყოველდღიურ მიგრანტთა (გაიხსენეთ ქანქარისებული მიგრაციები) საძილე დასახლებებად.

ყოველი დასახლების დანიშნულებაა სათანადო სასიცოცხლო გარემო შეუქმნას მოსახლეობას. ამაში იგულისხმება მოსახლეობის არა მარტო საცხოვრებლით, არამედ მრავალმხრივი *მომსახურებით* უზრუნველყოფაც. მომსახურება მოიცავს სავაჭრო (მაღაზიები, ბაზრები), საყოფაცხოვრებო, კვების, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, გართობისა და სხვა ობიექტებსა და დაწესებულებებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია მოსახლეობისათვის.

**ნახ. 14** გვიჩვენებს, რომ პატარა დასახლებებს დიდ დასახლებებთან შედარებით ვაჭრობისა და მომსახურების დაწესებულებათა შეზღუდული რაოდენობა და სპექტრი (ანუ ნაირსახეობა) აქვთ. ამიტომ, დიდი დასახლებები მარტო თავის მოსახლეობას კი არ უზრუნველყოფს სათანადო მომსახურებით, არამედ უფრო პატარა დასახლებების მაცხოვრებლებსაც იზიდავს მათთვის დეფიციტური მომსახურების მისაღებად.

დასახლების *გავლენის სფერო* ის სივრცეა/ტერიტორიაა, რომელსაც ეს დასახლება ემსახურება. გავლენის სფეროს სხვაგვარად დასახლების *მიზიდულობის არეალს* ან *ჰინტერლანდსაც* უწოდებენ.

როგორც წესი, სოფლების, სადაც მხოლოდ ერთი მომცრო მაღაზიაა, გავლენის სფერო მხოლოდ თავისი ტერიტორიით შემოიფარგლება. პატარა და საშუალო ქალაქების გავლენის სფერო ახლომდებარე სასოფლო დასახლებებსაც მოიცავს, მაშინ როცა უდიდესი ქალაქების გავლენის სფერო შეიძლება მთელი ქვეყნის ტერიტორიას ფარავდეს (მაგ. თბილისი, ბუდაპეშტი, მოსკოვი) ან მის მიღმა, სხვა ქვეყნების ტერიტორიებსაც კი სწვდებოდეს (მაგ. ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი). ბუნებრივია, რომ რაც უფრო ფართოა დასახლების გავლენის სფერო, მით უფრო მაღალი ადგილი უკავია მას დასახლებათა იერარქიაში.

პატარა დასახლებებში არსებულ მცირერიცხოვანი მაღაზიები და მომსახურების ობიექტები მომხმარებელს ძირითადად *ყოველდღიური ფართო მოხმარების საქონელსა და სერვისს* (მაგ. პურს და სურსათს, გაზეთებს, წამლებს, თმის შეჭრას, ტანსაცმლისა და სამუშაო იარაღის შეკეთებას) სთავაზობენ. დიდ დასახლებებში ვაჭრობისა და მომსახურების დაწესებულებების რაოდენობა და მრავალფეროვნება შეუდარებლად მაღალია. აქ, დიდ სუპერმარკეტებსა და სპეციალიზებულ ობიექტებში, ფართო მოხმარების საქონელთან ერთად ადამიანებს შეუძლით შეიძინონ უფრო მაღალი რანგის *იშვიათი/ეპიზოდური მოხმარებისა და ფუფუნების საგნები, მიიღონ სპეციალური მომსახურება* (მაგ. საიუველირო ნაწარმი, მოდური ტანსაცმელი, თეატრალური წარმოდგენა).

სხვადასხვა იერარქიულ დონეზე მყოფ დასახლებებში განსხვავებული მომსახურების არსებობა **ეკონომიკური** ფაქტორით არის განპირობებული. ნებისმიერი სახის მომსახურებისათვის საჭიროა **მომხმარებელთა მინიმალური რაოდენობა** მაინც, რათა ის მომგებიანი დარჩეს. დიდ ბრიტანეთში მიღებული ნორმებით სოფლის მაღაზიის არსებობისათვის დასახლებაში 300 ადამიანი მაინც უნდა ცხოვრობდეს, დაწყებითი სკოლისათვის - 500, ფეხსაცმლის მაღაზიისათვის- 25 ათასი, საშუალო ზომის მარკეტისათვის - 50 ათასი, ხოლო დიდი სუპერმარკეტისათვის- 100 ათასი მცხოვრების არსებობაა აუცილებელი.

**საქონლის რანგი** განსაზღვრავს იმ მაქსიმალურ მანძილს, რომლის გასაგლელადაც მზადაა მომხმარებელი მის შესაძენად. როგორც წესი, ადამიანები შორს არ გადაადგილდებიან პურის ან გაზეთის შესაძენად, მაშინ როცა მზად არიან დაფარონ დიდი მანძილები ძვირადღირებული ტანსაცმლის, ავეჯის ან ძვირფასეულობის საყიდლად, მუზეუმის დასათვალიერებლად და კონცერტზე დასასწრებლად, რასაც შედარებით იშვიათად აკეთებენ.

ამა თუ იმ ქვეყანაში ან რეგიონში სხვადასხვა ტიპისა და იერარქიული დონის დასახლებები, როგორც წესი, იზოლირებულად არ არსებობენ. ისინი ერთმანეთთან მეტ-ნაკლები ინტენსიობის მრავალგვარი კავშირით არიან

გაერთიანებულნი ერთ სისტემაში, რომელსაც *განსახლების სისტემას* უწოდებენ.

ამრიგად, დასახლებების სტატუსი და მათი იერარქიული ადგილი დასახლების ხალხმრავლობაზე, ფუნქციასა და გავლენის სფეროზეა დამოკიდებული.

### §1.8. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. ურბანიზაცია

2008 წელს მსოფლიოში ქალაქად და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა გათანაბრდა. ამავე დროს, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეული ქვეყნების მიხედვით, რაც ამ ქვეყნების გეოგრაფიული თავისებურებებით, მათი სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონითაა განპირობებული. თუმცა, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში ქალაქის მოსახლეობა გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სოფლისა.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლებში იყო თავმოყრილი. 1900 წელს მსოფლიოში მოსახლეობის 86 პროცენტი სოფლად ცხოვრობდა, 14 კი - ქალაქად. 1950 წლისთვის ამ შეფარდებამ 71:29, 2000 წელს - 53:47, 2015 წელს კი 54:46 შეადგინა. 2008 წლის ბოლოს, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, ქალაქის მოსახლეობამ გადააჭარბა სოფლისას. ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ამიერიდან მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესობა ქალაქად იცხოვრებს.

რა განაპირობებს ქალაქის მოსახლეობის უპირატეს ზრდას? ბოლო დროს, ადრეული პერიოდებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნების უზრუნველყოფა (პირველ ყოვლისა მათი გამოკვება) აღარ მოითხოვს დიდი რაოდენობით ადამიანების ჩაბმას მიწათმოქმედებასა და სხვა

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში. დღეს ქალაქები გაცილებით უფრო მეტ შესაძლებლობებს სთავაზობენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისაგან გამონთავისუფლებულ მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და შრომის ასაკში მყოფ პირებს. ქალაქებში მეტია განათლების, გართობისა და სხვადასხვა მომსახურების მიღების და, რაც მთავარია, დასაქმებისა და შრომათმოწყობის საშუალება, რაც სოფლის მოსახლეობის ქალაქებში მიგრაციის მიზიდვის ფაქტორად გვევლინება. ასეთი მდგომარეობა აღინიშნება არა მარტო განვითარებულ, არამედ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებშიც. ყოველივე ეს ქალაქების არნახულ ზრდას იწვევს და ამ პროცესს საყოველთაო ხასიათი აქვს.

### **ურბანიზაცია**

ქალაქების ზრდა-განვითარების პროცესს ურბანიზაცია ეწოდება. ის გულისხმობს:

- ქალაქების მოსახლეობის რაოდენობისა და ხვედრითი წილის ზრდას ქვეყნის მოსახლეობაში;
- საქალაქო დასახლებების რაოდენობისა და მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების ზრდას;
- ქალაქების გავლენის სფეროების (მიზიდულობის არეალების, ჰინტერლანდის) ზრდას;

ურბანიზაცია განაპირობებს ქალაქების როლის ზრდას ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრებაში, რის გამოც ის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია/შემადგენელი ნაწილია. ქალაქური ღირებულებების სისტემის, ცხოვრების წესისა და კულტურის გავრცელებას კი ურბანიზმს უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ურბანიზაცია ყოველისმომცველი პროცესია, მისი გამოვლინებები სხვადასხვა ქვეყნებში არ არის ერთნაირი. ქვეყნებს შორის დიდია სხვაობები ურბანიზაციის დონეებსა და ურბანიზაციის ტემპებში.

**ურბანიზაციის დონე** ასახავს საქალაქო მოსახლეობის ხვედრით წილს ქვეყნის მთელ მოსახლეობაში. ურბანიზაციის დონე ძალიან მაღალია განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საშუალო მაჩვენებელი 75, ზოგიერთ ქვეყანაში კი (დიდი ბრიტანეთი, კანადა, აშშ) 85 პროცენტსაც კი აღწევს. განვითარებადი ქვეყნების ურბანიზაციის დონის საშუალო მაჩვენებელი 40 პროცენტს ცოტათი აღემატება, ზოგიერთ ქვეყანაში კი 30 პროცენტსაც ვერ აღწევს. ქვეყნების შუალედური ჯგუფი, რომლებსაც საქართველოც მიეკუთვნება, ურბანიზაციის საშუალო დონით (50-65 პროცენტი) ხასიათდება.

განსხვავებული მდგომარეობაა **ურბანიზაციის ტემპების** თვალსაზრისით, რაც საქალაქო მოსახლეობის ყოველწლიურ მატებას ასახავს. ბუნებრივია, რომ განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ურბანიზაციის მაღალი ტემპებით (5-10 პროცენტი წელიწადში) ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარსა და შუახანებში გამოირჩეოდნენ, და სადაც უკვე ურბანიზაციის ძალიან მაღალი დონეა მიღწეული, ურბანიზაციის ტემპები საკმაოდ დაბალია.


საპირისპიროდ, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში ურბანიზაციის ძალიან მაღალი ტემპები (ზოგჯერ 20 პროცენტსაც კი წელიწადში) აღინიშნება. ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ ბევრი ხალხი ცხოვრობს სოფლად და თვალსაჩინოა მოსახლეობის სიჭარბე სასოფლო ადგილებში (გაიხსენეთ "ჭარბმოსახლეობის" პრობლემა), რის გამოც ისინი მასობრივად "აწყდებიან" ქალაქებს. ეს იწვევს **ურბანიზაციის "ბუმს"** (აფეთქებას) და ქალაქების ზომაზე მეტად გადატვირთვას ახალმოსახლეებით. საყურადღებოა, რომ ასეთ შემთხვევებში ფორმალურად იზრდება საქალაქო მოსახლეობის რაოდენობა ქვეყანაში, იზრდებიან თავად ქალაქებიც, მაგრამ ძნელად ხდება ჩამოსულთა ზიარება საქალაქო ცხოვრების წესისა და ქალაქად არსებული ღირებულებების მიმართ. მეტიც, ხშირად მოზღვავებულ მიგრანტებს თავად შემოაქვთ სოფლური ჩვეულებები და ცხოვრების წესი ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნების ქალაქებში. ისინი აუარესებენ საქალაქო გარემოს (მაგ. თვითნებურად, ყოველგვარი სანიტარული და კომუნალური ნორმების დაცვის გარეშე აშენებენ ქოხმასებს და ქმნიან "ჯურღმულებს" ქალაქის ტერიტორიაზე) და დაბავენ სოციალურ



მდგომარეობას (მაგ. აუსაქმებელი ადამიანები ერთვებიან არალეგალურ, ზოგჯერ კრიმინალურ საქმიანობაში). ალაქების ზრდის ასეთ პროცესს **ცრუ ურბანიზაციას**, ანუ **ფსევდოურბანიზაციას** უწოდებენ. ფსევდო-ურბანიზაცია ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს, რადგან სოფლიდან ჩამოსული მიგრანტების საქალაქო ყაიდაზე მოქცევას არაერთი წელი, ზოგჯერ კი მთელი თაობაც ჭირდება.

განვითარებადი ქვეყნების ქალაქებში არსებულმა ურბანიზაციის მაღალმა ტემპებმა (ფართომასშტაბიანი ფსევდოურბანიზაციის ჩათვლით) განაპირობა მსოფლიოს საქალაქო მოსახლეობის უმეტესობის თავმოყრა განვითარებადი ქვეყნების ქალაქებში. 2010 წლისათვის მთელი საქალაქო მოსახლეობის 3/4 განვითარებადი ქვეყნების ქალაქებში ცხოვრებს, როგორც ეს **ნახ. 15-ზე** ნაჩვენებია.

ნახ. 15. ქალაქის მოსახლეობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში



თანამედროვე ურბანიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ ზოგადად ქალაქების ზრდა, არამედ *დიდი და უმსხვილესი/ მილიონიანი ქალაქების უპირატესი ზრდა*. საქმე ისაა, რომ დიდ ქალაქებს არა მარტო სოფლის მცხოვრებლები, არამედ პატარა და საშუალო ქალაქების მოსახლეობაც "ეტანება". შედეგად, დღეისათვის მსოფლიოს მთელი

მოსახლეობის თითქმის 1/4 დიდ ქალაქებში (100 ათასზე მეტი მცხოვრებით) ცხოვრობს, რომელთა საერთო რიცხვი 3 ათასს აღწევს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს *მილიონიანი* ქალაქების ზრდა. დღეს მსოფლიოში 300-ზე მეტი მილიონიანი ქალაქია, მათ შორისაა თბილისიც. მილიონიან ქალაქებშიც გამოყოფენ უდიდეს *მეგაქალაქებს*, რომლებშიც სულ მცირე 5 მილიონი ადამიანი მაინც ცხოვრობს. მსოფლიოს 10 უდიდეს ქალაქიდან კი თითოეული 10 მილიონზე მეტ მცხოვრებს ითვლის (იხ. **ცხრილი 4**). უმეტეს შემთხვევებში მილიონიანი და მეგაქალაქები სახელმწიფოების დედაქალაქები არიან.

**ცხრ. 4.** მსოფლიოს უდიდესი ქალაქები

| რანგი | 1970          |      | 1995                 |      | 2015               |      |
|-------|---------------|------|----------------------|------|--------------------|------|
|       | ქალაქი        | მლნ  | ქალაქი               | მლნ  | ქალაქი             | მლნ  |
| 1     | ნიუ იორკი     | 16,5 | ტოკიო                | 26,8 | ტოკიო              | 38,0 |
| 2     | ტოკიო         | 13,4 | სან პაულუ            | 16,4 | დელი               | 25,7 |
| 3     | ლონდონი       | 10,5 | ნიუ იორკი            | 16,3 | შანჰაი             | 23,7 |
| 4     | შანჰაი        | 10,0 | მეხიკო               | 15,6 | სან პაულუ          | 21,1 |
| 5     | მეხიკო        | 8,6  | მუმბაი<br>(ბომბეი)   | 15,1 | მუმბაი<br>(ბომბეი) | 21,0 |
| 6     | ლოს ანჯელესი  | 8,4  | შანჰაი               | 15,1 | მეხიკო             | 21,0 |
| 7     | ბუენოს აირესი | 8,4  | ლოს ანჯელესი         | 12,4 | პეკინი             | 20,4 |
| 8     | პარიზი        | 8,4  | პეკინი               | 12,4 | ოსაკა              | 20,2 |
| 9     | სან პაულუ     | 7,1  | კოლკატა<br>(კალკუტა) | 11,7 | კაირო              | 18,8 |
| 10    | მოსკოვი       | 7,1  | სეული                | 11,6 | ნიუ იორკი          | 18,6 |

*წყარო:* Data, United Nations, World Urban Prospects. New York: U.N. Department of Economic and Social Affairs, 1998. wignidan: Paul L. Knox, Sallie A. Marston. 2004. Places and Regions in Global Context: Human Geography. Third Edition. Pearson Education, Inc. Upper Saddle River, New Jersey. გვ. 409.

მილიონიან ქალაქებსა და, განსაკუთრებით, მეგაქალაქებში მოსახლეობის სწრაფ ზრდას თან სდევს მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების მნიშვნელოვანი გაფართოებაც, რაც ტერიტორიული "განფენის/განშლის" (urban sprawl) სახელით არის ცნობილი. ერთის მხრივ, იზრდება ქალაქების ოფიციალურად აღიარებული

ფარგლები, ცარიელი ტერიტორიებისა და ყოფილი სასოფლო-სამეურნეო მიწების განაშენიანების, ასევე ახლომდებარე სოფლების შემოერთების/"შთანთქმის" გზით. მეორეს მხრივ, იზრდება მათი რეალური გავლენის სფერო, უფრო პატარა ქალაქებსა და სასოფლო დასახლებებთან ყოველდღიური შრომითი და კულტურული კავშირების დამყარების გზით. შედეგად, ეს ქალაქები კომპაქტური ("წერტილოვანი") დასახლებებიდან გადაიქცევიან ჯგუფური განსახლების ცენტრებად. განსახლების ასეთ ფორმას **კონურბაციას** (ყოფილ საბჭოთა ლიტერატურაში *საქალაქო აგლომერაციას*) უწოდებენ.

მსოფლიოში არაერთი სხვადასხვა სიდიდის **კონურბაციაა**. მათი უმეტესობა ერთი დიდი ქალაქის, ანუ ერთი ცენტრის გარშემოა შექმნილი და ისინი *მონოცენტრულ* (ერთცენტრიან) კონურბაციებს ქმნიან. "დიდი ლონდონი", "დიდი პარიზი", "დიდი ტოკიო" ასეთი კონურბაციების მაგალითს წარმოადგენენ. საქართველოში არსებობს თბილისის კონურბაცია (თბილისის აგლომერაცია), რომელშიც შედიან ქალაქები რუსთავი, მცხეთა, გარდაბანი და ბევრი სხვა დასახლება. მასში 1,5 მილიონზე მეტი მცხოვრებია თავმოყრილი. ზოგ შემთხვევაში კონურბაცია რამდენიმე დიდი ქალაქის გარშემო იქმნება და მას *პოლიცენტრულ* (მრავალცენტრიან) კონურბაციას უწოდებენ. ასეთია რურის კონურბაცია გერმანიაში, რომელიც კელნის, დუსელდორფის, ესენის და რამდენიმე სხვა დიდი ქალაქის ტერიტორიას აერთიანებს. ზოგჯერ უდიდესი კონურბაციები, თავიანთი ზრდის პროცესში, ერთმანეთს შეეზრდებიან ხოლმე და გარდაიქმნიებიან განსახლების კიდევ უფრო მსხვილ ფორმებად- *მეგაპოლისებად* (ზოგჯერ მათ *მეგალოპოლისებად* მოიხსენებენ). მეგაპოლისებს უზარმაზარი ტერიტორიები (ათასობით კვ.კმ) უკავიათ და ათობით მილიონ მოსახლეს ითვლიან. მსოფლიოს სამი მეგაპოლისი აშშ-ში მდებარეობს (*ჩიპიტსი* - ჩიკაგოდან პიტსბურგამდე, *ბოსვაში* - ბოსტონიდან ვაშინგტონამდე, *სანსანიხან* - ფრანცისკოდან სან-დიეგომდე), თითო კი დასავლეთ ევროპასა (*რანსტადი* - რურის აუზიდან ლონდონამდე ნიდერლანდების გავლით) და იაპონიაში (*ტოკაიტო* - ტოკიოდან კიოტომდე).

რა შედეგები მოაქვს ურბანიზაციას? ურბანიზაცია მრავლისმომცველი პროცესია და ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებაზე სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა და ქვეყანაში, განსაკუთრებით კი განვითარებულ და განვითარებად სამყაროში, ურბანიზაციის პროცესი განსხვავებული სცენარებით მიმდინარეობს და არაერთგვაროვანი ნიშნებით ხასიათდება, მაინც შესაძლებელია ზოგადი და საყოველთაო დასკვნების გამოტანა იმ დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, რომლებიც თან ახლავს ურბანიზაციას.

**ცხრ. 5** ასახავს ურბანიზაციის ზოგიერთ დადებით და უარყოფით ასპექტს, რომელიც თვალსაჩინოა საერთაშორისო მასშტაბით, განსაკუთრებით განვითარებადი სამყაროს ქალაქებისათვის.

**ცხრ. 5. ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ასპექტები**

| <b>დადებითი</b>   | <b>უარყოფითი</b>   |
|---|--|
| <p><b>ეკონომიკა</b></p> <p>ხელს უწყობს ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ქალაქების გარშემო მოსავლიანობის ზრდისა და ნატურალური მეურნეობიდან (როდესაც პროდუქცია იწარმოება ძირითადად საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად) კომერციულ მეურნეობაზე (როდესაც პროდუქცია იწარმოება ძირითადად ბაზარზე გასაყიდად) გადასვლის გზით.</p> <p><b>მომსახურება</b></p> <p>იზრდება ხელმისაწვდომობა უკეთეს მომსახურებაზე, როგორცაა წყალ და ენერგომომარაგება, კანალიზაცია, ჯანდაცვა, განათლება.</p> | <p><b>ბინით უზრუნველყოფა</b></p> <p>ბინით (საცხოვრისით) უზრუნველყოფის სოციალური და ეკონომიკური პრობლემები იწვევს ვრცელი უკანონო დასახლებების შექმნას. საცხოვრებელი და კომუნალური პირობები ასეთ დასახლებებში მეტად მძიმეა.</p> <p><b>უმუშევრობა</b></p> <p>ქალაქად მიგრანტთა მოზღვავება იწვევს უმუშევრობის ზრდას და არაფორმალური სექტორის გაფართოებას.</p> <p><b>სატრანსპორტო და ეკოლოგიური პრობლემები</b></p> <p>ადგილი აქვს სატრანსპორტო "საცობების" წარმოქმნას, იზრდება გარემოს (ჰაერის,</p> |

**შემოსავლების ზრდა**

დროებითი, შედარებით დაბალანაზღაურებადი სამუშაო ქალაქის არაფორმალურ სექტორში მაინც უფრო მეტ შემოსავალს იძლევა ნატურალურ სოფლის მეურნეობასთან შედარებით. ქალაქში ჩამოსული მიგრანტების უმრავლესობა ვერ შოულობს სამსახურს ფაბრიკა-ქარხნებში. სამაგიეროდ, ისინი საქმდებიან არაფორმალურ სექტორში: მაგ. ქუჩაში ყიდიან ხილსა და ბოსტნეულს, სიგარეტსა და სხვა პროდუქტებს, წმენდენ ფეხსაცმელს ან მუშაობენ კერძო სახლებში გახსნილ პატარა სახელოსნოებში.

**გაუმჯობესების შესაძლებლობები**

- ქალაქად ქონმახებში ცხოვრებაც კი საზოგადოებრივ "კიბეზე" წინგადადგმულ ნაბიჯად ითვლება, რადგან უკეთეს შესაძლებლობებს უქმნის მომავალ თაობას – ზოგჯერ ამას "იმედის ჯურღმულებს" ეძახიან
- არაფორმალურ სექტორში საქმიანობამ შეიძლება ზოგიერთი ისეთი უნარ-ჩვევები შესძინოს მიგრანტს, რაც მომავალში უკეთესი სამუშაოს საშოვნელად გამოადგება
- იმის გარდა, რომ მცირდება მოსახლეობის "დაწოლა" სასოფლო არეალზე, მიგრანტების შემოსავლების გარკვეული ნაწილი

წყლის, ტერიტორიის) დაბინძურების დონე, მატულობს სხვადასხვა დაავადებათა წარმოშობისა და გავრცელების ალბათობა.

**სოციალური სეგრეგაცია**

თვალსაჩინოდ იზრდება ინტერვალი ("უფსკრული") მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ხდება ქონებრივი და სოციალური სტატუსის მიხედვით საზოგადოების მკვეთრი დაყოფა, რაც ტერიტორიულადაც აისახება: ჩნდება ქალაქის "მდიდარი" (პრესტიჟული) და "ღარიბი" (კეთილმოუწყობელი) უბნები. ამ უკანასკნელებში მატულობს კრიმინალური ფონი. ჩნდება პროტესტების, გაფიცვებისა და დემონსტრაციების საფრთხე.

**პრობლემები სოფლად**

ზოგიერთ სასოფლო არეალში წარმოიშვება შრომისუნარიანი მოსახლეობის დეფიციტი, რაც უარყოფითად აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და სასოფლო გარემოს კეთილდღეობაზე

|                                   |  |
|-----------------------------------|--|
| გადადინდება მათ მშობლიურ სოფლებში |  |
|-----------------------------------|--|

ამრიგად, დღეისათვის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიოში თითქმის თანაბარია. ურბანიზაცია თანამედროვეობის საყოველთაო, გლობალური პროცესია, რაც გულისხმობს ქალაქების, განსაკუთრებით კი დიდი ქალაქების, ზრდაგანვითარებას, საქალაქო კულტურის გავრცელებას სულ უფრო ფართო ტერიტორიებზე. ურბანიზაციის დონე ძალზე მაღალია განვითარებულ ქვეყნებში, ურბანიზაციის ტემპები კი – განვითარებად სამყაროში. ურბანიზაცია მრავალმხრივი პროცესია, რომელსაც როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგების მოიტანა შეუძლია.

ნაწილი II  
რესურსები და ადამიანის  
საქმიანობა  
*(ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია)*

## §2.1 ბუნებრივი რესურსები და მათი ტიპები

ადამიანთა საზოგადოება, თავისი არსებობის ყველა ეტაპზე, მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული გარემომცველ ბუნებასთან.

გარემომცველი ბუნების იმ ნაწილს, რომელთანაც ადამიანთა საზოგადოება უშუალოდ ურთიერთქმედებს თავისი ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის პროცესში, თავისი განვითარების მოცემულ ისტორიულ ეტაპზე, გეოგრაფიულ გარემოს უწოდებენ.

ამ განმარტებიდან გამომდინარე, გეოგრაფიული გარემო საზოგადოების განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა. დღეს ის დედამიწის ძალიან დიდ ნაწილს მოიცავს, ქალაქებიდან და სხვა დასახლებებიდან, სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან დაწყებული, მეხსრად დასახლებული ან სულაც დაუსახლებელი და ძნელადმისადგომი ადგილებით დამთავრებული, მათ შორის მსოფლიო ოკეანის და ატმოსფეროს ნაწილსაც.

კაცობრიობის განვითარების, განსაკუთრებით მისი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია გეოგრაფიული გარემოს, და შესაბამისად ბუნების, ის კომპონენტები, რომელთა გამოყენებაც აქტიურად ხდება ადამიანის მიერ:

- საკვებად,
- საჭირო ნივთების (საგნების) დასამზადებლად,
- სასურველი/კომფორტული გარემოს შესაქმნელად,
- დასასვენებლად და გასართობად.

ბუნების ასეთ კომპონენტებს (დედამიწის შემადგენელ ქიმიურ ელემენტებსა და მათ შენაერთებს, ბუნებრივ წარმონაქმნებსა და მოვლენებს) **ბუნებრივ რესურსებს** უწოდებენ.

თანამედროვე საზოგადოების მიერ მოპოვებული და გამოყენებული ბუნებრივი რესურსები მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამავე



დროს, ცალკეული რესურსები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან წარმოშობით, თვისებებითა და რაოდენობით. ასევე, უთანაბრობით ხასიათდება მათი განლაგება დედამიწაზე.

*საიდან იღებს ადამიანი ბუნებრივ რესურსებს? ნახ. 12* გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი რესურსების მიღების წყაროები პრაქტიკულად უსაზღვროა, დაწყებული კოსმოსიდან, საიდანაც ადამიანი იღებს სინათლეს და სითბოს, დამთავრებული დედამიწის წიაღითა და ოკეანის სიღრმეებით.

ამის მიხედვით, მიღებულია, ბუნებრივი რესურსების დაყოფა მთავარ ჯგუფებად (ტიპებად). შესაბამისად, გამოიყოფა *მინერალური, მიწის, წყლის, ბიოლოგიური, კლიმატური და კოსმოსური, მსოფლიო ოკეანის რესურსები*. ბუნებრივი რესურსების თითოეულ ტიპს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. ამავე დროს, ისინი თავის მხრივ შეიძლება დავეოთ ქვეჯგუფებად (სახეობებად) (იხ. ნახ. 12).

მაგალითად, საყოველთაოდ არის მიღებული მინერალური რესურსების დაყოფა სამ სახეობად: *სათბობ-ენერგეტიკულ*, რომელიც აერთიანებს ქვანახშირს, ნავთობს, ბუნებრივ გაზს და ზოგიერთ სხვა წიაღისეულს, *მადნეულ* (რკინის, ფერადი, ძვირფასი, იშვიათი ლითონების მადნები) და *არამადნეულ* (მაგ. დარიშხანი, აპატიტები, ფოსფორიტები და სხვა არალითონური ელემენტების შენაერთები, ასევე სამშენებლო ქანებიმარმარილო, გრანიტი და ა.შ.) რესურსებად. მინერალურ რესურსებს ხშირად *სასარგებლო წიაღისეულსაც* უწოდებენ.

ამის მსგავსად, ბიოლოგიური რესურსები შედგება *მცენარეული, ტყის და ცოცხალი ორგანიზმებისაგან; მიწის რესურსები* – *სახნავ-სათესი მიწებისაგან, სათიბებისა და საძოვრებისაგან* და ა.შ.

რესურსების ზოგიერთი სახეობა და ტიპიც კი ძირითადად მეურნეობის ერთი რომელიმე დარგის მიერ გამოიყენება. მაგალითად, კლიმატური რესურსები და მიწის რესურსები, განსაკუთრებით სახნავ-სათესი მიწები, უმთავრესად სოფლის

მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, როგორც თავად მათი დასახელება გულისხმობს, ძირითადად ელექტროენერჯისა და სითბოს მისაღებად მოიხმარება, თუმცა ზოგიერთი ამ რესურსთაგანი (მაგ. ნავთობი) გასული საუკუნის II ნახევრიდან ფართოდ გამოიყენება ქიმიურ მრეწველობაშიც.

უფრო ხშირად, ერთი და იმავე რესურსს მრავალმიზნობრივი გამოყენება აქვს. მაგალითად, წყლის რესურსების მნიშვნელობა უსაზღვროდ დიდია, როგორც საყოფაცხოვრებო (სასმელი წყლის სახით) და სატრანსპორტო (მაგ. სამდინარო მიმოსვლის) თვალსაზრისით, ასევე სოფლის მეურნეობისა (მორწყვის მიზნით) და მრეწველობის პრაქტიკულად ყველა დარგისათვის (საწარმოო პროცესებში ტექნიკური წყლის სახით), განსაკუთრებით ენერგეტიკისათვის (ჰიდროელექტროსადგურები). მრავალმიზნობრივი გამოყენების კიდევ ერთ კარგ მაგალითს წარმოადგენს ტყის რესურსები, რომელიც არა მარტო ხე-ტყის მრეწველობის ძირითადი ნედლეულია, არამედ ჯერ კიდევ ბევრგან (განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში) სათბობის/საწვავის სახითაც მოიხმარება. ასევე დიდია მისი მნიშვნელობა ტურიზმისა და რეკრეაციის სფეროში, მშენებლობაში და სხვა.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ხშირად მოსახლეობა თავისი ერთი რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სხვადასხვა რესურსული წყაროების გამოყენებით ახერხებს. მაგალითად, საკვების მოპოვება ხდება როგორც მიწის და ბიოლოგიური რესურსების, ასევე მსოფლიო ოკეანის რესურსების გამოყენების გზით; ენერგორესურსების მიღებაც ხდება არა მარტო ხმელეთის წიაღიდან ან ოკეანის ფსკერიდან (მაგ. ნავთობის და გაზის შეღწეული საბადოები), არამედ ტყის (შეშა), წყლის, კლიმატური (მაგ. ქარის ან მზის ენერჯია) რესურსების გამოყენებითაც.

ნიშანდობლივია, რომ გამოყენებული რესურსების რიცხვიც და თითოეული რესურსის მოხმარების მასშტაბებიც დროთა განმავლობაში საგრძნობლად იზრდება შემდეგი მთავარი მიზეზების გამო:

- სწრაფად იმატებს მოსახლეობის რაოდენობა მსოფლიოში და მის ცალკეულ რეგიონებში;
- მიმდინარეობს მსოფლიო მეურნეობის/ეკონომიკის სწრაფი ზრდა;
- განუხრელად იზრდება მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონე და მისი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებები.

არსებობს საფუძვლიანი პროგნოზი, რომ ახლო მომავალში საზოგადოების მხრიდან ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნილება და მისი გამოყენების მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება.

ასეთ პირობებში წარმოიშვება ლოგიკური კითხვა: *საკმარისია თუ არა დედამიწაზე არსებული ბუნებრივი რესურსები მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად?* ზოგიერთი ბუნებრივი რესურსის რაოდენობა დედამიწაზე უსასრულოა, ე.ი. მათი ნებისმიერი მოცულობით მოხმარების მიუხედავად ისინი არასდროს გამოილევიან. მის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მზის, წყლის, ქარის ენერჯია. ასეთ რესურსებს *ამოწურავ* ანუ *უსასრულო რესურსებს* უწოდებენ.

რესურსების მეორე კატეგორია დედამიწაზე შეზღუდული რაოდენობით არის წარმოდგენილი. ასეთი რესურსების გამოყენება მათ რაოდენობას მუდმივად ამცირებს და ოდესმე მათ სრულ ამოწურვას გამოიწვევს. მათ *ამოწურვადი* ანუ *სასრული რესურსები* ეწოდებათ. მოწურვადი რესურსების საუკეთესო მაგალითს მინერალური რესურსები წარმოადგენენ. ნავთობი, ქვანახშირი, რკინის მადანი და მინერალური რესურსების პრაქტიკულად ყველა სხვა სახეობა ამოწურვად რესურსებს განეკუთვნება. დედამიწაზე მათი სამომავლო არსებობის ხანგრძლივობა თითოეული ამ რესურსის არსებულ მოცულობაზე, ანუ *მარაგზე*, და მისი მოპოვებისა და გამოყენების ტემპებზეა დამოკიდებული.

*ამოწურვად* რესურსებში განასხვავებენ *განახლებად* და *განუახლებელ* რესურსებს. მინერალური რესურსები განუახლებელ რესურსთა ჯგუფს მიეკუთვნება (იხ. **ჩანართი 1**). განახლებად რესურსებად კი თვლიან მიწის, ტყის,

ბიოლოგიურ რესურსებს. აუცილებელია განახლებადი რესურსების ისეთ რეჟიმში გამოყენება, როდესაც გარანტირებული იქნება გამოყენებული რესურსების (მაგ. ხე-ტყის, გარკვეული სახეობის თევზის, ფრინველის და ა.შ.) უმტკივნეულო ჩანაცვლება ახლით, ე.ი. მისი აღდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ამა თუ იმ რესურსის უკონტროლო, მტაცებლურ გამოყენებას, არ არის გამორიცხული ამ რესურსის სრული განადგურება, ანუ ამოწურვა. სამწუხაროდ, კაცობრიობას არაერთი შემთხვევა ახსოვს, როდესაც არასწორი გამოყენების გამო დედამიწიდან ან მისი ცალკეული რეგიონებიდან გამქრალა ცოცხალი სამყაროს ცალკეული სახეობები, განადგურებულა ტყეების უზარმაზარი მასივები და ძვირფასი ნიადაგები.

**ჩანართი 1. სათბობ-ენერგეტიკული წიაღისეული რესურსები და მათი არსებობის ხანგრძლივობა დედამიწაზე**

***რომელია მთავარი სათბობ-ენერგეტიკული წიაღისეული?***

ესაა ქვანახშირი, ნავთობი და ბუნებრივი გაზი. ისინი დედამიწის წიაღში მოიპოვება და მათ სხვაგვარად საწვავ წიაღისეულსაც უწოდებენ. ამ რესურსების მნიშვნელობა იმდენად დიდია მსოფლიოს ქვეყნებისა და რეგიონებისათვის, რომ მათ (განსაკუთრებით ნავთობს) ხშირად **"სტრატეგიულ"** ნედლეულსაც/რესურსებსაც უწოდებენ.

***რატომ ვუწოდებთ მათ საწვავსაც და სათბობ-ენერგეტიკულსაც?***

ისინი ადვილად იწვიან, რის შედეგადაც იძლევიან სითბოს, რაც შეიძლება პირდაპირ იქნას გამოყენებული ენერჯის წყაროდ. მაგალითად, ქვანახშირის წვით მიღებული სითბოთი შეიძლება ლითონის დადნობა, ნავთობიდან მიღებული ბენზინის დაწვით ხდება მანქანების (მოტორების) მოძრაობაში მოყვანა, გაზის წვით თბება წყალი ცენტრალური გათბობის სისტემაში.

***რატომ არიან ისინი ამოწურვადი და აღუდგენელი რესურსები?***

ნამარხი საწვავი მცენარეებისა და ცხოველების დეკომპოზიციის (გახრწნის) და გარდაქმნის გზით წარმოიქმნა, რასაც ასეულობით მილიონი წელი დასჭირდა. მცირე რაოდენობის ნამარხი საწვავის მისაღებად მცენარეებისა და ცხოველების უზარმაზარი რაოდენობა/მასა და სპეციალური პირობებია საჭირო. არსებობს მეცნიერთა მოსაზრება, რომ მსოფლიოში მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში გამოყენებული საწვავი რესურსების ექვივალენტური რაოდენობით ჩანაცვლებას ერთი მილიონი წელი დასჭირდება. ეს კი ნიშნავს, რომ დღეს რომელიმე საწვავი რესურსის ყოველი გამოყენებული ტონა სამუდამოდ აკლდება ამ რესურსის დედამიწაზე არსებულ საერთო მარაგს და მომავალი თაობებისათვის ის აღარ იარსებებს.


### *რამდენ ხანს გვეყოფა საწვავი რესურსები?*

ერთი შესაძლო ვერსია ნახ. 13-ზეა ნაჩვენები, თუმცა ამის უტყუარი დასაბუთება შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ თითოეული რესურსის დღეისათვის დადგენილი/დაზვერილი მარაგი შეიძლება მომავალში საგრძნობლად გაიზარდოს, ხოლო მოხმარების დონე კი შეიცვალოს.

ნახ. 12. საიდან ვიღებთ და რისთვის ვიყენებთ ბუნებრივ რესურსებს

|  | რესურსების წყაროები  | რესურსების ჯგუფები/ტიპები               | რესურსების ქვეჯგუფები/სახეობები  | რესურსების გამოყენების სფეროები  |
|--|--|---|--|--|
|  | <p>პოსმოსი სინათლე</p> <p><b>ატმოსფერო</b><br/>ნალექები ქარი</p>         | <p>კლიმატური და კოსმოსური რესურსები</p> | <ul style="list-style-type: none"> <li>მზის ენერჯია</li> <li>ქარის ენერჯია</li> <li>აგროკლიმატური რესურსები</li> </ul>   | <p>მზის ენერჯია საფუძველია ყველა იმ პროცესისა, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლეს დედამიწაზე. მზისა და ქარის ენერჯია სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ელექტროენერჯეტიკაში. აგროკლიმატური რესურსები (სიბოლო, ტენი, სინათლე) განმსაზღვრავს სოფლის მეურნეობისათვის</p>   |
|  | <p><b>დედამიწის ზედაპირი</b></p> <p>მდინარე წყალი</p>                    | <p>წყლის რესურსები</p>                  | <ul style="list-style-type: none"> <li>მტკნარი წყალი</li> <li>"ტექნიკური" წყალი</li> <li>წყლის ენერჯია</li> </ul>  | <p>სასმელი წყლის ძირითადი წყაროა. გამოიყენება სარწყავად სოფლის მეურნეობაში, ტექნიკური მიზნებისათვის სამრეწველო-ენერჯეტიკული (ფოლადის, ფერადი ლითონების, სინთეტიკური ბოჭკოს და სხვა წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებში) და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო (მაგ. დასუფთავება, კანალიზაცია) დანიშნულებით, ენერჯის მისაღებად პიდროელექტროსადგურებში, სანაფთავი და სხვა.</p>  |
|  | <p>მცენარეები</p> <p>ცოცხალი ორგანიზმები</p>                             | <p>ბიოლოგიური რესურსები</p>             | <ul style="list-style-type: none"> <li>ფლორა</li> <li>ტყის რესურსები</li> <li>ფაუნა</li> </ul>   | <p>ველეური და კულტურული (მაგ. ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი) მცენარეების, ასევე შინაური და გარეული ცხოველების აოთხით სახეობა გამოიყენება ადამიანის საკვებად, აგრეთვე შესაშოსად. ტყის რესურსები გამოიყენება ხე-ტყის მრეწველობაში, მშენებლობაში, საწვავად, რეკრეაციისათვის და ა.შ.</p>  |
|  | <p>ნიადაგები</p>   | <p>მიწის რესურსები</p>                  | <ul style="list-style-type: none"> <li>სახნავ-სათესი მიწა</li> <li>სხვა სავარგულები</li> </ul>   | <p>უპირველესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის. მისახეობის მიერ მოხმარებული სასურსათო პროდუქტის 88% სახნავ-სათეს მიწებზე მოჰყავთ, 10% კი- სათიბებსა და საძოვრებზე</p>   |
|  | <p><b>დედამიწის წიაღი ქანები</b></p> <p>მინერალური</p>                   | <p>მინერალური რესურსები</p>             | <ul style="list-style-type: none"> <li>სათბობ-ენერჯეტიკული წიაღისეული</li> <li>მადნეული წიაღისეული</li> <li>არამადნეული წიაღისეული</li> </ul>                          | <p>ქვანახშირი, ნავთობი და გაზი ენერჯის მძღების ძირითადი წყაროებია ეკონომიკის დარგებისათვის და საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. მადნეული წიაღისეული (რკინა, ფერადი და სხვა ლითონები) ფართოდ გამოიყენება მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში და მეურნეობის სხვა დარგებში. არამადნეულ წიაღისეულს დიდი გამოყენება აქვს ქიმიურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში (აზოტის ფოსფორის, კალიუმის სასუქები), მშენებლობაში (მარმარილო, გრანიტი)</p> |
|  | <p>ზღვის ორგანიზმები</p> <p>ზღვის წყალი</p> <p><b>მსოფლიო ოკეანე</b></p> | <p>მსოფლიო ოკეანის რესურსები</p>        | <ul style="list-style-type: none"> <li>ზღვის წყალი</li> <li>ზღვის ფსკერის მინერალური რესურსები</li> <li>ზღვის ორგანიზმები</li> <li>მიქცევა-მოქცევის ენერჯია</li> </ul> | <p>ზღვის წყალი მარილის, იოდის, მავნიუმის, ბრომის და სხვა ქიმიური ელემენტების "საწყობია". ოკეანის შეღწევაზე მოიპოვება ნავთობი და გაზი, ფსკერზე კი რკინა-მარგანცის საბადოები. ოკეანის ცოცხალი სამყარო (თევზები, წყალმცენარეები) მიშენელოვანი საკვები პროდუქტია ადამიანისათვის, ხოლო მიქცევა-მოქცევის ენერჯია- ერთ-ერთი პერსპექტიული ალტერნატიული ენერჯეტიკული რესურსი</p>  |

ნახ. 13. უმნიშვნელოვანესი საწვავი რესურსების ამოწურვის ვადები  
(დღეისათვის დადგენილი მარაგისა და გამოყენების არსებული მოცულობის  
შემთხვევაში)



ამრიგად, ბუნებრივი რესურსების მრავალი ნაირსახეობა გამოიყენება ადამიანის მიერ. ბუნებრივი რესურსები იყოფიან ამოუწურავ და ამოწურვად, ეს უკანასკნელი კი- აღდგენად და აღუდგენელ რესურსებად.

## §2.2 ბუნებრივი რესურსების განლაგება. რესურსებით უზრუნველყოფა

დედამიწაზე არსებული ბუნებრივი რესურსები არა მარტო მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, არამედ განლაგების უთანაბრობითაც ხასიათდება.


*როგორია ბუნებრივი რესურსების გეოგრაფიული განაწილება?*

ბუნებრივი რესურსების გავრცელება დედამიწაზე გარკვეულ კანონზომიერებებს ემყარება, რომლებიც განსხვავებულია ცალკეული რესურსების შემთხვევაში. რესურსების ტიპების და სახეობების უმეტესობა, მათ შორის კლიმატური და კოსმოსური, მიწის, ბიოლოგიური, წყლის რესურსები, დედამიწაზე თითქმის ყველგან გვხვდება, მაგრამ მათი თავმოყრა რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით ძალიან განსხვავებულია სხვადასხვა ადგილებში.

მაგალითად, ცხადია, რომ *კოსმოსური* და *კლიმატური რესურსების* ისეთი სახეობა, როგორცაა *მზის ენერჯია*, მთელი დედამიწის ზედაპირზეა ხელმისაწვდომი, მაგრამ მისი გამოყენება განსაკუთრებით პერსპექტულია იმ რეგიონებსა თუ ბუნებრივ/კლიმატურ (მაგ. არიდულ) სარტყლებში, სადაც მზის ნათების ხანგრძლივობა განსაკუთრებით დიდია. *ქარის ენერჯიის* გამოყენება კი, საპირისპიროდ, ძირითადად ზომიერ სარტყელშია მიზანშეწონილი. **ნახ. 14-**ზე ნაჩვენებია ქარის ენერჯიის გამოყენების შესაძლებლობა დასავლეთ ევროპაში, რომელიც კარგად ასახავს ჩრდილო ევროპის დიდ პოტენციალს ამ რესურსის გამოყენების თვალსაზრისით.



ნახ. 14. ქარის ენერჯის პოტენციური რესურსები დასავლეთ ევროპაში



სპეციფიური განაწილება ახასიათებს აგროკლიმატურ რესურსებს, რომლებიც სითბოს, სინათლისა და ტენის შეთანაწყოებით ფორმირდება. ეს რესურსი განსხვავებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის (მაგ. ხორბლის, ბრინჯის, ბამბის და ა.შ.) ვეგეტაციის პირობებში. იქიდან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობაში კულტივირებულ მცენარეთა დიდი უმრავლესობა ზომიერ, სუბტროპიკულ და ტროპიკულ სარტყლებში მოჰყავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ ამ სარტყლებშია აგროკლიმატური რესურსების გამოყენების საუკეთესო პირობები.

წყლის რესურსების ძირითადი მარაგი **მტკნარი წყლის** სახით, რომელიც მთელი ჰიდროსფეროს მხოლოდ 2,5%-ს შეადგენს, ძირითადად არქტიკულ და ანტარქტიკულ სარტყლებშია წარმოდგენილი, ანტარქტიდის, გრენლანდიისა და არქტიკის მყინვარების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ამ რესურსის რაოდენობა აღნიშნულ რეგიონებში 10 ათასჯერ აღემატება მოსახლეობის დღევანდელ მოთხოვნილებას, მისი გამოყენება საზოგადოების მიერ ჯერაც არ დაწყებულა, რთული ბუნებრივი პირობების გამო. არადა, მოსახლეობის მოთხოვნილება მტკნარ წყალზე ძალიან დიდია არა მარტო სასმელად, არამედ ე.წ. ტექნიკური მიზნებითაც. ყოფაცხოვრებაში ეს გამოიხატება რეცხვის, დაბანვის, დასუფთავების, ხოლო წარმოებაში- მორწყვის, ტურბინებისა და აგრეგატების გაგრილების, ლითონების მადნების გაწმენდის და ბევრი სხვა სახით. ასეთ პირობებში, მტკნარ წყალზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ძირითად წყაროს მდინარეები, ნაწილობრივ კი ტბები და წყალსაცავები წარმოადგენენ.

მტკნარი წყლის რესურსის სიჭარბე აღინიშნება ეკვატორულ სარტყელში და ზომიერი სარტყლის ჩრდილო ნაწილში, სადაც ბევრია წყალუხვი მდინარე. ამ სარტყლებში მდებარე ზოგიერთ ქვეყანასა და რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 25 ათას კუბურ მეტრზე მეტი წყალი მოდის. ამავე დროს, დედამიწის მშრალ რეგიონებში (სუბტროპიკული და ტროპიკული სარტყლების ზოგიერთ ნაწილებში) ამ რესურსის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 5-7-ჯერ უფრო ნაკლებია.

დიდია წყლის რესურსების მნიშვნელობა **ჰიდროენერჯის** მიღების თვალსაზრისითაც. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ძირითადი ნაწილიც მსოფლიოს ეკვატორული და ზომიერი სარტყლების ყველაზე წყალუხვ რეგიონებზე და ქვეყნებზე მოდის. მთელი მსოფლიო ჰიდროენერგო პოტენციალის თითქმის 1/2 ექვსიოდნე ქვეყანაზე- ჩინეთზე, რუსეთზე, აშშ-ზე, კონგოზე, კანადაზე და ბრაზილიაზე- მოდის. მათვე დროს, ჰიდროენერგო პოტენციალის ოდენობით ერთ სულ მოსახლეზე, გამოირჩევიან შედარებით პატარა, მაღალმთიანი ქვეყნები (მაგ. ნორვეგია, შვეიცარია), სადაც უხვადაა მთის სწრაფი მდინარეები. ასეთ ქვეყნებს შორისაა საქართველოც.

უთანაბრო განლაგებით ხასიათდებიან *ბიოლოგიური*, განსაკუთრებით *ტყის რესურსები*. ხე-ტყის მსოფლიო მარაგის 90%-ზე მეტი ტყეების ორ უზარმაზარ სარტყელშია წარმოდგენილი. პირველი მათგანი *ტყის ჩრდილოეთის სარტყლის* სახელითაა ცნობილი და ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და ნაწილობრივ ცივ და სუბტროპიკულ სარტყლებს, კერძოდ აშშ-ს, კანადის, რუსეთის, შვედეთისა და ფინეთის ტერიტორიებს მოიცავს. მეორე, *ტყის სამხრეთის სარტყელს*, უკავია ტროპიკული და ეკვატორული კლიმატური ზონების ტყეებით (ჯუნგლებით) დაფარული ტერიტორიები. ამავე დროს, დედამიწის ზედაპირის ვრცელი ნაწილები მოკლებულნი არიან ტყის საფარს, რაც ხშირად ტყეების მასობრივი გაჩეხვის შედეგია.

არცთუ იშვიათად, გაჩეხილი ტყეების ადგილას გამონთავისუფლებული ვრცელი არეალები სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ე.ი. *მიწის რესურსების* კატეგორიაში გადადის. ამ რესურსების, რომელიც მსოფლიოს *მიწის ფონდის* სახელითაც არის ცნობილი, ოდენობა მსოფლიოში 13 მილიარდ ჰექტარს აღემატება. თუმცა, ყველაზე ძვირფასი, მდიდარი ნიადაგის მქონე, *სახნავ-სათესად* გამოსადეგი მიწები, რომლებზეც კაცობრიობისათვის საჭირო საკვები პროდუქტის 88% მოჰყავთ, მიწის ფონდის 10%-ზე ოდნავ მეტს შეადგენს. გეოგრაფიულად ეს მიწები ძირითადად ტყის, ტყესტეპებისა და სტეპების (პრერიების, პამპასების) ზონებში არიან წარმოდგენილნი. სწორედ დამუშავებული, სახნავ-სათესი მიწები ურბანულ (ქალაქების, დასახლებების, მრეწველობის, ტრანსპორტის) მიწებთან ერთად ყველაზე *ინტენსიურად* გამოიყენება ადამიანის მიერ. ამავე დროს, ცივი სარტყელი, ტუნდრისა და ტყეტუნდრის, არიდული და სემიარიდული ზონები, ასევე მთების ციცაბო ფერდობები ნიადაგის სიმწირის ან არარსებობის, ასევე აგროკლიმატური პირობების არახელსაყრელობის გამო, პრაქტიკულად მოკლებულნი არიან მიწის რესურსებს.

განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება სასარგებლო წიაღისეულის ანუ მინერალური *რესურსების განლაგება* როგორც დედამიწის წიაღში, ასევე

ოკეანის ფსკერზე. საქმე ისაა, რომ წიაღისეულის გავრცელება გეოლოგიურ პროცესებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, **სათბობ-ენერგეტიკული წიაღისეული** დანალექი წარმოშობისაა და, როგორც წესი, ძველი ბაქნების გაზნექვის ადგილებს უკავშირდება. შედეგად, ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის ძირითადი მარაგი უმსხვილეს საბადოებში მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება.

**მადნეული** და **არამადნეული წიაღისეული** ჩვეულებრივ თანხვედებიან ძველი ბაქნების საფუძვლებს ან გაშიშვლებებს (ფარებს), ასევე დედამიწის დანაოჭებულ უბნებს. ხშირად ლითონური მადნების საბადოები ვრცელ მეტალოგენურ სარტყლებს ქმნიან (მაგ. ალპურჰიმალურ, წყნაროკეანურ) დედამიწის ქერქში წარმოშობილი ნარღვევების/ ნასხლეტების გასწვრივ.

ასევე სპეციფიურია მინერალური რესურსების განლაგება *ოკეანეთა ფსკერზე*. კერძოდ, გაზისა და ნავთობის საბადოები კონტინენტური შეღწების ფარგლებშია წარმოდგენილი, ხოლო რკინა-მარგანცის კონკრეციები - ოკეანის ღრმა ფსკერზე.

*როგორ გავლენას ახდენს ცალკეული რესურსების არათანაბარი განლაგება მათ მოპოვებასა და მოხმარებაზე?*

ჩვენს პლანეტაზე რესურსების არათანაბარი განლაგება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად განაპირობებს ცალკეული ტერიტორიების, ქვეყნების, რეგიონების და მთელი კონტინენტების რესურსებით უზრუნველყოფის სხვადასხვა დონეებს.

რესურსებით უზრუნველყოფა არის შეფარდება ცალკეული რესურსების რაოდენობასა და მათი მოხმარების მოცულობებს შორის განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ის განისაზღვრება:

- წლების რაოდენობით, რომლის განმავლობაშიც ეს რესურსი ეყოფა მოსახლეობას, ან
- მისი მარაგის ოდენობით ერთ სულ მოსახლეზე.


ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ ქვეყნისა თუ რეგიონის ტერიტორიის სიმდიდრე ან სიღარიბე რესურსებით უდიდეს როლს თამაშობს ამ ქვეყნის/რეგიონის რესურსებით უზრუნველყოფაში. თუმცა ეს არ არის ერთადერთი და, ხშირად, განმსაზღვრელი ფაქტორი. საქმე ისაა, რომ დედამიწის წიაღში, ოკეანის სიღრმეში ან, თუნდაც, ხმელეთის ზედაპირზე არსებულ რესურსებს მოპოვება, ათვისება და გამოყენება სჭირდებათ. ეს კი მუშახელთან (ხშირად კვალიფიციურ), ტექნიკასა და ტექნოლოგიასთან, ფინანსურ საშუალებებთან არის დაკავშირებული.

ზემოაღნიშნულის გამო, ბუნებრივი რესურსები, მიუხედავად მათი მდებარეობისა, ბევრად უფრო ხელმისაწვდომია მდიდარი, განვითარებული ქვეყნებისათვის. შესაბამისად, სწორედ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იქმნება უკიდურესად მაღალი მოთხოვნილება ბუნებრივ რესურსებზე, ისევე როგორც მათი მოხმარების უმაღლესი დონე. ამავე დროს, ბევრ ღარიბ, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსებიც კი (საკვები, წყალი) ხელმიუწვდომელია მოსახლეობის უმრავლესობისათვის.

მაღალგანვითარებულ "ჩრდილოეთსა" და დაბალგანვითარებულ "სამხრეთს" შორის ბუნებრივი რესურსების მეტად უთანაბრო მოხმარება ზოგადად ასახულია ნახ. 16-ზე.

ამრიგად, ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა და მათი გამოყენების დონე ბევრად უფრო მაღალია ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამ რესურსების გეოგრაფიული განლაგება.

**ნახ. 16** დისპროპორცია განვითარებულ და განვითარებად სამყაროს შორის ბუნებრივი რესურსების გამოყენების თვალსაზრისით



**§2.3 მსოფლიო მეურნეობა: ზოგადი ნიშნები/დახასიათება**

*რა არის მეურნეობა?*

ფართოდ გავრცელებული ტერმინი "მეურნეობა" და მისი უცხოური შესატყვისი "ეკონომიკა" საქმის კეთების, შრომის, საქმის გაძღოლის უნარს, ხელოვნებას აღნიშნავს. ბუნებრივია, რომ ეს ორი ტერმინი საზოგადოდ და ამ სახელმძღვანელოშიც ერთნაირი მნიშვნელობით იხმარება.

"ეკონომიკა" ბერძნული სიტყვაა (**oikonomike**) და სიტყვა-სიტყვით ითარგმნება, როგორც საოჯახო საქმის წარმოების/გაძღოლის ხელოვნება.

**მეურნეობა**, თანამედროვე გაგებით, საზოგადოების საქმიანობის განსხვავებული სფეროების (საზოგადოებრივი წარმოების დარგების) და შრომითი ურთიერთობების **რთულ სისტემას** წარმოადგენს. ის ადამიანებს არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური სიკეთეებით (მაგ. საჭმელი, ტანსაცმელი, მანქანები)

და მომსახურებით (მაგ. განათლება, ჯანდაცვა, დასვენება-გართობა) უზრუნველყოფს.

მეურნეობა ხასიათდება:

- **დროითი** ცვლილებებით (მაგ. დიდი ბრიტანეთის და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მეურნეობები მნიშვნელოვნად შეიცვალა II მსოფლიო ომის დროიდან XX საუკუნის დასასრულამდე; ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობა საგრძნობლად შეიცვალა 1990- იანი წლების დასაწყისიდან დღემდე);
- **ტერიტორიული** სხვაობებით (მაგ. აშშ-ის მეურნეობა ძალიან განსხვავდება რუსეთის ან ჩინეთის მეურნეობისაგან; საქართველოში მთათაშორისი ბარის მეურნეობა კარდინალურად განსხვავდება მაღალმთიანი კავკასიონის მეურნეობისაგან).

მეურნეობა საზოგადოებრივი გეოგრაფიის, კერძოდ კი ეკონომიკური გეოგრაფიის, შესწავლისა და კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა.

*რა არის მსოფლიო მეურნეობა?*

მეურნეობის მასშტაბები ძალზე განსხვავებულია. **ნახ. 17** გვიჩვენებს, რომ სამეურნეო ერთეულებია საოჯახო ფერმერული/გლეხური მეურნეობა და კაფერესტორანი პატარა ქალაქში, სუპერმარკეტების ქსელი და დიდი საავტომობილო ქარხანა, სატრანსპორტო ორგანიზაციები, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სამრეწველო საწარმოები, კომერციული ფირმები და კომპანიები, ტურიზმის ობიექტები და სხვა. ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სამეურნეო რგოლთა ერთობლიობა **ქვეყნის მეურნეობას** ანუ **ეროვნულ ეკონომიკას** ქმნის.

**ნახ. 17. სამეურნეო ობიექტების ტიპები**

ბანანის  
პლანტაცია  
განაში. ის  
სასოფლო-  
სამეურნეო  
საწარმოს  
ერთ-ერთი  
ტიპია



საავტომობილო  
ქარხანა  
გერმანიაში. ის  
სამრეწველო  
საწარმოს ერთ-  
ერთი ტიპია



სასტუმრო  
კომპლექსი  
მექსიკაში. ის  
მეურნეობის  
ერთ-ერთი  
ობიექტია,  
რომელიც  
მომსახურებას  
სთავაზობს  
ტურისტებს



საინფორმაციო  
სააგენტო  
ავსტრალიაში  
ასევე  
მომსახურების  
სფეროში  
მოქმედ ერთ-ერთ  
სამეურნეო  
ობიექტს  
წარმოადგენს



ყველა ეს ობიექტი შესაბამისი ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ერთ რგოლს წარმოადგენს.

ისტორიულად ჩამოყალიბებულ და ეკონომიკური ურთიერთობებით დაკავშირებულ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეურნეობათა ერთობლიობას მსოფლიო მეურნეობა ეწოდება.

მსოფლიო მეურნეობის ჩამოყალიბება ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ხდებოდა და ფაქტიურად კაცობრიობის განვითარების ყველა პერიოდს მოიცავდა. ამ გზაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შემდეგი ეტაპები:

- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქა, როდესაც გაძლიერდა სხვადასხვა ტერიტორიებს, ქვეყნებსა და კონტინენტებს, ახალ და ძველ



სამყაროს შორის პროდუქტების გაცვლა და ჩამოყალიბება დაიწყო *მსოფლიო ბაზარმა*.

- *სამრეწველო გადატრიალების* ხანა, რომელიც XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისს მოიცავდა და ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასა და აშშ-ში. ამ პერიოდში მოხდა *მსხვილი მანქანური წარმოებისა და ტრანსპორტის* მანამდე არნახული განვითარება, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა მსოფლიო ბაზრის შემდგომი განვითარება.
- *სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის* პერიოდი, რომელიც II მსოფლიო ომის შემდგომ წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ეს პერიოდი, განსაკუთრებით უკანასკნელი ათწლეულები, ხასიათდება ტექნიკისა და ტექნოლოგიის ყოველმხრივი განვითარების უპრეცედენტო მასშტაბებით, მეცნიერების მიღწევათა სწრაფი და მასობრივი დანერგვით წარმოებაში, მეურნეობის მართვის სრულიად ახლებურ, **ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე** დამყარებულ მიდგომებზე გადასვლით.

მეურნეობის განვითარების ბოლო, ამჟამად მიმდინარე პერიოდის სიმბოლოებად ხშირად მოგვეყავს საწარმოო რობოტ-ავტომატები და ელექტრონული მოწყობილობები, ბირთვული ენერჯია, კოსმოსური ხომალდი თუ კომპიუტერი (ელექტრონული გამომთვლელი მანქანა), ან სხვა ისეთი გამოგონებები, რომლებიც არცთუ შორეულ წარსულში ფანტასტიკის სფეროს თუ განეკუთვნებოდა. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გაუგონარი ტემპებისა და მასშტაბების გამო, ზოგჯერ ამ პერიოდს *სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის* სახელითაც მოიხსენიებენ. სწორედ მეურნეობის განვითარების ბოლო პერიოდში, როდესაც დედამიწის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან ათასობით კილომეტრით დაშორებულ წერტილებს შორის, სატრანსპორტო და საინფორმაციო კავშირების დამყარება საათების, წუთებისა და წამების საქმესდა წარმოადგენს, მოხდა (და ამჟამადაც გრძელდება) ერთიანი, ძალზე მჭიდრო კავშირებით შეკრული, მსოფლიო ბაზრის ფორმირება.

უპქველია, რომ მეურნეობის განვითარების წინა ეტაპებთან შედარებით, ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესები თავისი ყოვლისმომცველობით, ანუ **გლობალური** მასშტაბებით გამოირჩევა.

მეურნეობის ერთიანი მსოფლიო სისტემის არსებობასთან ერთად თვალსაჩინოა უზარმაზარი სხვაობები ცალკეულ ტერიტორიებსა და ქვეყნებს შორის. *რა იწვევს მეურნეობის ტერიტორიულ სხვაობებს?* ჩვენ უკვე ვიცით (იხ. თავი-ქალაქები და სოფლები, ჩანართი), რომ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვა ადგილებში (ტერიტორიებზე) განსხვავებულ საქმიანობას ეწევიან, რაც **შრომის გეოგრაფიული ანუ ტერიტორიული დანაწილების** შედეგია.

შრომის ტერიტორიული დანაწილება საზოგადოების განვითარების გარდაუვალი შედეგია. ის სასაქონლო წარმოებისა და საქონლის გაცვლის აუცილებლობით არის განპირობებული. მისი გარდაუვლობის მიზეზი კი ისაა, რომ ცალკეულ ტერიტორიებს შორის ყოველთვის არსებობს სხვაობები:

- გეოგრაფიული მდებარეობის,
- ბუნებრივი პირობებისა და რესურსების,
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და განვითარების დონის, ისტორიული და კულტურული ტრადიციების მხრივ.

მათ, ზოგადად, **განლაგების გეოგრაფიულ ფაქტორებს** უწოდებენ.

განლაგების გეოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედებით საქმიანობის ცალკეული სფეროები "ეზმიან" იმ ტერიტორიებს, სადაც საუკეთესო პირობები არსებობს მათი განხორციელებისათვის. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს არა მარტო შედარებით მცირე ტერიტორიების, არამედ მთელი ქვეყნებისა და რეგიონების ფარგლებშიც კი. ამგვარად ხდება ცალკეული ქვეყნების **სპეციალიზაცია** საქმიანობის გარკვეულ სფეროებში- *მეურნეობის დარგებში*.

**ნახ. 18-**ზე ნაჩვენებია ქვეყნების სპეციალიზიის ოთხი მაგალითი.

საყურადღებოა, რომ ეს ქვეყნები სპეციალიზაციის სფეროში იმაზე ბევრად მეტ პროდუქციას აწარმოებენ ან მომსახურებას ახორციელებენ, ვიდრე საკუთარი მოსახლეობისთვისაა საჭირო. ჭარბი პროდუქცია და მომსახურება ორიენტირებულია სხვა ქვეყნებში გატანაზე- *ექსპორტზე*, რაც მწარმოებელ ქვეყანას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს და საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებსაც აძლიერებს.

**ნახ. 18.** შრომის საერთაშორისო ტერიტორიული დანაწილება და ქვეყნების სპეციალიზაცია

ა) არაბეთის ნახევარკუნძული უმდიდრესია ნავთობის მარაგით. საუდის არაბეთი ყოველწლიურად ნავთობის დიდ რაოდენობას მოიპოვებს და გააქვს საექსპორტოდ. *ნავთობის მოპოვება მისი სპეციალიზაციის დარგია.*



ბ) საფრანგეთის კლიმატი ხელსაყრელია მევენახეობისათვის. ამ ქვეყანას ღვინის წარმოების დიდი ტრადიციები გააჩნია. ღვინის დიდი ნაწილი საექსპორტოდ გადის. *მეღვინეობა საფრანგეთის სპეციალიზაციის დარგია.*



გ) იაპონია შედარებით ღარიბია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ მდიდარია კვალიფიციური მუშახელით. ეს ქვეყანა ყოველწლიურად ათობით მილიონ ავტომანქანას აწარმოებს და მსოფლიო ბაზარზე ყიდის. *მანქანათმშენებლობა იაპონიის სპეციალიზაციის დარგია.*



დ) ტაილანდი ბუნების მრავალფეროვნებითა და თვითმყოფადი კულტურული ძეგლებით გამოირჩევა. აქ ყველა პირობაა შექმნილი უცხოელი ტურისტების მოსახიდად და ისინიც მილიონობით ჩამოდიან ამ ქვეყანაში დასასვენებლად. *ტურიზმი ტაილანდის სპეციალიზაციის დარგია.*



ამრიგად, მსოფლიო მეურნეობა ცალკეული ქვეყნების მეურნეობების ერთობლიობაა. მნიშვნელოვანი სამეურნეო სხვაობები ცალკეულ ტერიტორიებსა და ქვეყნებს შორის შრომის გეოგრაფიული/ ტერიტორიული განაწილებით და განსხვავებული სპეციალიზაციით არის განპირობებული.

## §2.4 მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა

*რა არის მეურნეობის დარგი?*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეურნეობა საქმიანობის სფეროებად, ანუ დარგებად იყოფა. მიღებულია მათი გაერთიანება სამ ან ოთხ ჯგუფში.

მეურნეობის დარგი არის საწარმოთა ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან ერთნაირ პროდუქციას ან ეწევიან მსგავს მომსახურებას.

დარგებს, რომლებიც უშუალოდ გარემოდან იღებენ ან მოიპოვებენ ნედლეულს და პროდუქტებს, პირველადი დარგები ეწოდებათ. მათ რიცხვს განეკუთვნება სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა, მეტყევეობა და წიაღისეულის მოპოვება.

მეორადი დარგები პირველადი დარგებიდან იღებენ ნედლეულს და მათგან აკეთებენ/აწარმოებენ საგნებს/ნივთებს. *მრეწველობა* მასში შემაგალი ფაბრიკა-ქარხნებით მეორად დარგებშია წარმოდგენილი.

მესამეული ანუ მომსახურების დარგები არაფერს მატერიალურს არ აწარმოებენ. ისინი *ყიდიან* ნივთებს/პროდუქტს და *ახორციელებენ მომსახურებას*. მესამეულ დარგებს ბევრ სხვა დარგთან ერთად *ტრანსპორტიც* მიეკუთვნება.

უკანასკნელ წლებში მესამეული დარგების ერთი მზარდი ნაწილი სპეციალისტებმა ახალ, *მეოთხეულ დარგებად* გააერთიანეს. მასში შეჰყავთ ე.წ. "ცოდნის ინდუსტრიის" სფეროები, როგორცაა *სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი საქმიანობა, საინფორმაციო მომსახურება*.

მეურნეობის დარგობრივ ჯგუფებში ცალკეული დარგების გაერთიანების პრინციპის უკეთ დასამახსოვრებლად გთავაზობთ შემდეგ მინიშნებებს:

*პირველადი დარგები – იღებენ/მოიპოვებენ*

*მეორადი დარგები – აკეთებენ/აწარმოებენ*

*მესამეული დარგები – ყიდიან ან ეხმარებიან/ემსახურებიან*

*მეოთხეული დარგები – ფიქრობენ და ცდიან*

იხ. წინა თავში მოცემული ნახ. 17 და 18.


მეურნეობის რომელიმე დარგობრივ ჯგუფში შემაგალ თითოეულ მსხვილ დარგს, როგორც წესი, შიდა დარგობრივი სტრუქტურაც გააჩნია. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში გამოყოფენ *მიწათმოქმედებას* და *მეცხოველეობას*, მრეწველობაში – *მიმე* და *მსუბუქ მრეწველობას* და ა.შ.

*როგორია მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა?*

ცალკეულ ქვეყნები ხასიათდებიან მეურნეობის დარგებს შორის განსხვავებული შეფარდება-შეთანაწყოებით, ანუ განსხვავებული **დარგობრივი სტრუქტურით**. მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრის საუკეთესო საშუალებად ამ ქვეყნის მოსახლეობის **დასაქმების სტრუქტურას**, ანუ ცალკეულ დარგებში დასაქმებული მოსახლეობის თანაფარდობას მიიჩნევენ.

**ნახ. 19** თვალნათლივ ასახავს, თუ რაოდენ განსხვავებულია მოსახლეობის დასაქმების და, შესაბამისად, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა სხვადასხვა ქვეყანაში.

ნახ. 19. მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურისა და მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურის ტიპური მაგალითები



მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნებს სამ ძირითად ჯგუფში აერთიანებენ. ქვეყნების პირველი ჯგუფისათვის, რომელსაც გამბიაც განეკუთვნება, დამახასიათებელია დასაქმებული მოსახლეობის უპირატესი თავმოყრა მეურნეობის პირველად დარგებში. ასეთ ქვეყნებს აგრარული ეკონომიკის ქვეყნებს უწოდებენ. ამ ჯგუფში ძირითადად ეკონომიკურად ჩამორჩენილი/დაბალგანვითარებული ქვეყნები არიან გაერთიანებული.


ქვეყნების მეორე ჯგუფი, რომელშიც სამხრეთ კორეაც შედის, ინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნებია. ამ ქვეყნებში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მეურნეობის მეორად დარგებში, კერძოდ მრეწველობაშია დასაქმებული. ეს ჯგუფი განვითარებად ქვეყნებს შორის დაწინაურებულ, ახლად განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის მქონე (ყოფილი სოციალისტური ქვეყნები და საბჭოთა რესპუბლიკები) სახელმწიფოების ერთ ნაწილს აერთიანებს.



მსოფლიოს დაწინაურებული ქვეყნები (დასავლეთ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის სახელმწიფოთა უმეტესობა), დიდი ბრიტანეთის მსგავსად, მეურნეობის სტრუქტურაში მესამეული და მეოთხეული დარგების უპირატესი როლით გამოირჩევიან. ქვეყნების ეს ჯგუფი პოსტ-ინდუსტრიული ეკონომიკის ქვეყნებად იწოდებიან.

ცალკეული ქვეყნების მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას დინამიურობა ახასიათებს, ის დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის (იხ. ნახ. 20).

ნახ. 20. განვითარებული ქვეყნების მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ცვლილება XX საუკუნის განმავლობაში (დიდი ბრიტანეთის მგალითზე)



მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა ქვეყნების, რეგიონებისა და მთელი კონტინენტების ეკონომიკური განვითარების საერთო დონის სარწმუნო მახასიათებლად გამოიყენება. ამ მახასიათებელზე დაყრდნობით მეცნიერები მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფიული სურათის განზოგადებას ახდენენ და

რამდენიმე მოდელს გვთავაზობენ. მათ შორის ყველაზე მარტივი და ფართოდ გავრცელებულია ე.წ. *მსოფლიო მეურნეობის ორწევრიანი მოდელი*, რომელიც მოქმედებს მსოფლიოს "განვითარებულ ჩრდილოეთად" და "განვითარებად (ან ჩამორჩენილ) სამხრეთად" ჰყოფს. ჩრდილოეთში პოსტ-ინდუსტრიული და ინდუსტრიული ქვეყნები შედიან, სამხრეთში კი- აგრარული ქვეყნები და ზოგიერთი ინდუსტრიული სახელმწიფო.

ჩვენ ერთხელ, ბუნებრივ რესურსებზე მსჯელობისას, უკვე გამოვიყენეთ ეს მოდელი (იხ. თავი "ბუნებრივი რესურსების განლაგება. რესურსებით უზრუნველყოფა", ნახ. 16), რომელიც, როგორც ყველა მოდელი, სიმარტივის მიზნით, არაერთ პირობითობას შეიცავს. ასე, მაგალითად, სამხრეთში, გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ჩამორჩენილ ქვეყნებთან გაერთიანებულია დაწინაურებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სწრაფად მზარდი ქვეყნები (სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ტაილანდი, მალაიზია და ა.შ.). ამავე დროს, ჩრდილოეთს მიეკუთვნება ზოგიერთი ეკონომიკურად არცთუ დაწინაურებული ქვეყანა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა სივრციდან.

ასეა თუ ისე, წარმოდგენილი მოდელი ზოგადად მაინც საკმაოდ კარგად ასახავს იმ პრინციპულ გეოგრაფიულ განსხვავებას, რაც თანამედროვე მსოფლიო მეურნეობისათვისაა დამახასიათებელი. ამრიგად, სხვადასხვა ქვეყნის მეურნეობა დარგების განსხვავებული შეთანაწყოებით, ანუ განსხვავებული დარგობრივი სტრუქტურით ხასიათდება. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ ქვეყნების სამ ჯგუფს აგრარულს, ინდუსტრიულს და პოსტ-ინდუსტრიულს.

**§2.5 სოფლის მეურნეობის გეოგრაფია**

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის პირველადი დარგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და ფართოდ გავრცელებულია. ის უძველესიცაა მეურნეობის დარგებიდან. პრაქტიკულად მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, რომლის მოსახლეობაც არ არის ჩაბმული მეურნეობის ამ დარგში.

სოფლის მეურნეობა, ისევე როგორც მატერიალური წარმოების სხვა დარგები (მაგ. მრეწველობა), შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სისტემის სახით:


**დანახარჯი → პროცესი → გამოშვება**

**დანახარჯად** უნდა ჩავთვალოთ ის ბუნებრივი (კლიმატი, წყალი, სითბო და სხვა) და ადამიანისეული/საზოგადოებრივი (მუშახელი, კაპიტალი, ტექნიკა და სხვა) კომპონენტები, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება. **პროცესი** (ხვნა, თესვა, მორწყვა და ა.შ.) არის აუცილებელი საქმიანობა, რომელიც სისტემაში დანახარჯს საბოლოო პროდუქტად, ანუ **გამოშვებად** გადააქცევს. **ცხრ. 6** გვიჩვენებს სისტემის ამ სამი შემადგენელის შესაძლო ვარიანტებს.

**ცხრ. 6. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემადგენელი კომპონენტები**

| <b>დანახარჯი</b>  | <b>პროცესი</b>   | <b>გამოშვება</b>  |
|---|--|---|
| <b>ბუნებრივი გარემოდან:</b><br>რელიეფი<br>ნიადაგები<br>კლიმატი<br>ტენი  | ხვნა<br>თესვა<br>მცენარეთა დარგვა<br>შეწამლვა<br>მკა<br>თიბვა<br>სასუქის შეტანა<br>რწყვა<br>მოსავლის აღება<br>მოსავლის შენახვა/<br>დასაწყობება<br>საქონლის კვება/ძოვება<br>წველა | მარცვლეული, მაგ.<br>ხორბალი, სიმინდი<br>ბოსტნეული, მაგ.<br>პომიდორი, კომბოსტო<br>ხილი, ყურძენი,<br>ზეთოვანი მცენარეები,<br>მაგ. ზეთისხილი,<br>მზესუმზირა<br>კვერცხი<br>საქონელი, ღორი,<br>ცხვარი<br>მატყელი<br>ფრინველი<br>თივა, ნამჯა, ცხოველის<br>საკვები |
| <b>ადამიანისეული:</b><br>მუშახელი<br>მანქანური ტექნიკა და<br>საწვავი<br>სასუქი და ქიმიკატები<br>ცხოველის საკვები<br>მცენარის თესლი<br>ცხოველის ჯიშები |  |   |

სოფლის მეურნეობის საყოველთაო გავრცელება განაპირობებს მის მრავალფეროვნებას მსოფლიოს მასშტაბით. სხვადასხვა ხალხი სხვადასხვა ტერიტორიებზე განსხვავებული ტიპის სოფლის მეურნეობას მისდევს. ამის მიხედვით შესაძლოა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო რეგიონების გამოყოფა, როგორც ეს ნახ. 21-ზეა მოცემული.



*რით არის გამოწვეული სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება და განსხვავებები მსოფლიო მასშტაბით?*

სოფლის მეურნეობაში ჩაბმული ადამიანები- გლეხები, ფერმერები გადაწყვეტილებას იღებენ იმის თაობაზე, თუ რა მცენარეული კულტურები მოიყვანონ ან რომელი ცხოველები მოაშენონ თავიანთ მეურნეობაში. მათი გადაწყვეტილება დიდადაა დამოკიდებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე

(ნიადაგების ნაყოფიერება, ტემპერატურა, ტენიანობა და სხვა) და ადამიანურ/საზოგადოებრივ ფაქტორებზე.

**ცხრ. 7** წარმოდგენას იძლევა ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ და საზოგადოებრივ ფაქტორზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის ხასიათზე.

**ცხრ. 7. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე მოქმედი ფაქტორები**

| ფიზიკური/ბუნებრივი ფაქტორები  | საზოგადოებრივი ფაქტორები   |
|---|--|
| <p><b>ტემპერატურა</b></p> <p>მცენარეთა უმეტესობა ზრდას წყვეტს 6°C-ზე ნაკლებ ტემპერატურაზე. დღეების ან თვეების რაოდენობა, როდესაც ტემპერატურა 6°C-ზე მეტია, განსაზღვრავს მცენარეების ზრდის პერიოდის ხანგრძლივობას. ზოგიერთ ქვეყანაში ზრდის პერიოდი მეტად ხანმოკლეა მცენარეების მოსაყვანად. ამავე დროს, სხვადასხვა მცენარეებს განსხვავებული ტემპერატურული ამპლიტუდა სჭირდებათ. მაგ. ხორბალი კარგად ხარობს ზომიერი სარტყლის ტემპერატურულ პირობებში, მაშინ როცა ბრინჯს ბევრად უფრო მაღალი ტემპერატურა სჭირდება, რაც ტროპიკული და სუბტროპიკული რეგიონებისთვისაა დამახასიათებელი.</p> <p><b>ტენიანობა</b></p> <p>ყველა მცენარესა და ცხოველს ზრდისთვის სათანადო ტენი, წყალი სჭირდება, რომლის რაოდენობა განსხვავებულია ცალკეული სახეობებისათვის. მაგალითად, ქერი კარგად ხარობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში, სადაც ნალექების რაოდენობა 600 მმ-ს არ აღემატება წელიწადში. ინგლისის მთებში კი, სადაც ნალექიანობა 1000 მმ-ზე მეტია, ქერი</p> | <p><b>მუშახელი</b></p> <p>ზოგიერთ ქვეყანას (მაგ. ინდოეთს, ბანგლადეშს, ჩინეთს) ჭარბი მუშახელი ჰყავს. ამ ქვეყნებში ბრინჯის მოყვანაში უამრავი ხალხია ჩაბმული, თესვისა და მოსავლის აღების დროს. ბევრ მენხრად დასახლებულ მთიან რაიონში კი (მაგ. შოტლანდიაში, საქართველოში) მეცხვარეობას მისდევენ, რაც მცირერიცხოვანი მუშახელითაც შეიძლება განხორციელდეს.</p> <p><b>ფინანსები</b></p> <p>ფერმერის მიერ მიღებული მოგება გავლენას ახდენს იმ ინვესტიციებზე, რაც უნდა დაიხარჯოს მანქანების, სასუქის, თესლის შესყიდვასა და გამოყენებაზე, ასევე დაქირავებული მუშახელის ხელფასებზე.</p> <p><b>ბაზარი</b></p> <p>თუ ფერმერს მოგების მიღება სურს, მას სჭირდება ბაზარი საქონლის გასაყიდად. დიდ ბაზრებთან (ხალხმრავალ ქალაქებთან) ახლომდებარე მეურნეობები ხშირად საბაზრო მებაღეობაზე, ბოსტნეულის მოყვანაზე, მერძევეობაზე და სხვა მაღალუქვადი პროდუქტის წარმოებაზეა სპეციალიზებული. განვითარებულ</p> |

|  |  |
|--|--|
| <p>კარგად ვერ ხარობს ჭარბი ტენიანობის გამო.</p> <p><b>მზის სინათლე</b></p> <p>მზის ნათების ხანგრძლივობას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა ზრდის და დამწიფების პერიოდში. ყურძენს დამწიფებისათვის მზის ნათების ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება, რაც უზრუნველყოფილია ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.</p> <p><b>ნიადაგები</b></p> <p>მარცვლეული კულტურების მოყვანა მიზანშეწონილია სქელ, ნაყოფიერ ნიადაგებზე. უფრო მწირი, წყლით გაუღენთილი ნიადაგები კი ძირითადად საქონლის საძოვრებად გამოიყენება.</p> <p><b>რელიეფი</b></p> <p>მთიანი ტერიტორიები, რომლებიც დაბლობებთან შედარებით უფრო ცივი კლიმატით და ციცაბო ფერდობებით ხასიათდებიან, სადაც რთულია მექანიზაციის გამოყენება, ძირითადად ცხოველთა საძოვრად გამოიყენება. რბილი რელიეფისა და კლიმატის მქონე დაბლობები კი მიწათმოქმედების მთავარი კერებია.</p> | <p>ქვეყნებში, თანამედროვე ეტაპზე, ბევრ მეურნეობას პირდაპირი ხელშეკრულება აქვს დადებული დიდ სუპერმარკეტებთან თავისი პროდუქტის შესყიდვაზე.</p> <p><b>პოლიტიკა</b></p> <p>ბევრი ქვეყანა აქტიურ პოლიტიკას ატარებს სასოფლო-სამეურნეო სფეროში თავისი ფერმერების დასახმარებლად. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანას გააჩნია <i>სუბსიდიების</i>, ე.ი. ფინანსური დახმარების, რთული სისტემა, რათა ხელი შეუწყოს თავისი ფერმერების სპეციალიზაციას საჭირო პროდუქტის წარმოებაში. ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაშიც სახელმწიფო ფერმერებს სთავაზობს შეღავათიან სესხს (კრედიტს) ან ფულად დახმარებას (გრანტს), მანქანების, სასუქების, თესლის შესაძენად.</p> <p><b>ტრადიციები</b></p> <p>ბევრი გლეხი თუ ფერმერი აგრძელებს წინაპრების მიერ დანერგილ სასოფლო სამეურნეო წარმოებას. წარმოების ტიპის შეცვლა ხშირად საკმაოდ ძვირია (მაგ. მევენახეობის ნაცვლად მერძევეობაზე გადასვლა) და არაეფექტური. თრადიციებს დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო თემებისათვის.</p> |
|--|--|

ზემოხსენებული ფაქტორების გავლენით მსოფლიოში სოფლის მეურნეობის ბევრი განსხვავებული ტიპი წარმოიშვა, რომელთა ძირითადი ნაწილი **ნახ. 21-ზეა** წარმოდგენილი. ამასთან ერთად, საერთო ნიშნების მიხედვით მათ შემდეგ ჯგუფებად აერთიანებენ:

- **სამომხმარებლო (ნატურალური)** და **კომერციული (საბაზრო)** სოფლის მეურნეობა: ბევრ გლეხურ (უპირატესად ოჯახურ) მეურნეობაში,

განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მოყვანილი პროდუქტი მათი მწარმოებლების მიერვე გამოიყენება საკუთარი თავისა და ოჯახის გამოსაკვებად. განვითარებულ ქვეყნებში კი სოფლის მეურნეობა ძირითადად კომერციული მიმართულებისაა (ანუ ბიზნესის სფეროს წარმოადგენს), რადგან მოყვანილი მოსავლისა და მოშენებული პირუტყვის უდიდესი ნაწილი ბაზარზე გასაყიდად და მოგების მისაღებადაა გამოიზნული.

- **ინტენსიური და ექსტენსიური:** ინტენსიურ მეურნეობას ახასიათებს დიდი შრომითი და ფინანსური დანახარჯები იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას მაღალი პროდუქტიულობა (მოსავლის დიდი რაოდენობით მიღება) ფართობის ერთეულზე (ჰექტარზე). მის მაგალითს წარმოადგენს საბაზრო მეზღვეობა დიდი ქალაქების გარეუბნებში ან ბრინჯის მოყვანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ექსტენსიურ მეურნეობებში დაბალია დანახარჯიც და მოსავლიანობაც ერთ ჰექტარზე. სათანადო რაოდენობის მოსავლის მიღება აქ დიდი ფართობების დამუშავებით მიიღწევა. ექსტენსიური მეურნეობები მრავლადაა განვითარებად ქვეყნებში.
- **მკვიდრი (მუდმივი) და მომთაბარე (ნომადური):** თანამედროვე მსოფლიოში მეურნეობათა უმეტესობა მკვიდრია, რაც იმას ნიშნავს, რომ გლეხები/ფერმერები სოფლებში ცხოვრობენ და ყოველწლიურად ამუშავებენ თავიანთ მიწის ნაკვეთებს. მომთაბარეები გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე თავიანთი საქონლისათვის ახალი საძოვრების საპოვნელად ან მიწის ახალი ნაკვეთების ასათვისებლად.

სოფლის მეურნეობას **დარგობრივი** სტრუქტურაც გააჩნია. გამოიყოფა ორი ძირითადი დარგი: **მემცენარეობა** (ანუ **მიწათმოქმედება**) და **მეცხოველეობა**.

**მემცენარეობის** მთავარი ქვედარგია **მარცვლეული კულტურების** მოყვანა. მარცვლეულს მსოფლიოს მთელი დამუშავებული ფართობების ნახევარი უკავია. ეს კულტურები მსოფლიოს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების, მოსახლეობის კვების ძირითად პროდუქტს წარმოადგენენ. ყველაზე ფართოდაა

გავრცელებული სამი მთავარი "პურეული" კულტურა: *ხორბალი, ბრინჯი და სიმინდი*.

**ხორბლის** წარმოშობის კერად წინა აზია და ხმელთაშუაზღვისპირეთი ითვლება. დღეს ის 70-მდე ქვეყანაში მოჰყავთ. უდიდესი მწარმოებლები არიან აშშ, კანადა, ავსტრალია, ჩინეთი, საფრანგეთი, ასევე რუსეთი და უკრაინა.

**ბრინჯის** წარმოშობის კერაა ჩინეთი. მისი მოყვანა ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ხდება.

**სიმინდი** მექსიკაში წარმოიშვა და აქედან გავრცელდა "ძველ სამყაროში". აშშ, ბრაზილია და ჩინეთი სიმინდის უმთავრესი მწარმოებლები არიან.

მემცენარეობის სხვა საკვები (არამარცვლეული) კულტურებიდან ფართოდ მოიხმარებენ *ზეთოვან* (მაგ. სოიო, არაქისი), *ბოლქოვან* (მაგ. კარტოფილი), *შაქრის შემცველ* (მაგ. შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი), *მატონიზირებელ* (მაგ. ჩაი, ყავა, კაკაო) კულტურებს, ასევე *ხილს* (ვაშლი, ატამი, ქლიავი და ა.შ.) და *ბოსტნეულს* (პომიდორი, კიტრი, კომბოსტო და სხვა). მნიშვნელოვანია *მევენახეობაც*.

მემცენარეობის კიდევ ერთი ქვედარგია **ტექნიკური კულტურების** წარმოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი არასაკვები *ბოჭკოვანი* კულტურა, როგორცაა ბამბა. ის ძირითადად აზიის ქვეყნებში მოჰყავთ, თუმცა ამერიკის და აფრიკის კონტინენტებზე შედიან ბამბის მწარმოებელთა სიაში. სხვა ბოჭკოვანი კულტურებიდან უნდა აღინიშნოს *ჯუთი* და *სელი*.

მნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურაა *კაუჩუკი*, რომელიც უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოჰყავთ.

*საკვები ტექნიკური* კულტურებიდან მნიშვნელოვანია *შაქრისშემცველი* (მაგ. შაქრის ჭარხალი, შაქრის ლერწამი) და *ზეთისშემცველი/ზეთოვანი* (მაგ. მზესუმზირა) მცენარეები.



**მეცხოველეობაც**, მემცენარეობის მსგავსად, მსოფლიოში თითქმის ყველგანაა გავრცელებული. თანაც მდელოებს და საძოვრებს სამჯერ მეტი ფართობი უკავიათ სახნავ-სათეს მიწებთან შედარებით. მეცხოველეობა უპირატესად ზომიერ სარტყლებშია განვითარებული. დღეისათვის მსოფლიო მეურნეობა თითქმის 5 მილიარდ სულ პირუტყვს ითვლის.

მეცხოველეობა სამი მთავარი ქვედარგისაგან შედგება: **მსხვილფეხა პირუტყვის მოშენება, მეღორეობა და მეცხვარეობა.**

**მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი** (ძროხა, ხარი, კამეჩი) იძლევა მსოფლიოში მოხმარებული ხორცის 1/3-ს და რძის თითქმის 100%-ს. შესაბამისად არსებობს *სახორცე* და *სარძევე*, ასევე შერეული-*სახორცე-სარძევე* მიმართულებები. ხორცის წარმოებაში ლიდერობენ აშშ, კანადა, არგენტინა და ავსტრალია. სარძევეში- აშშ, რუსეთი, ინდოეთი, გერმანია და საფრანგეთი.

**მეღორეობა** მსოფლიოს ხორცის პროდუქციის 2/5-ს იძლევა. ის ძირითადად მჭიდროდდასახლებულ რეგიონებში და მსხვილი ქალაქების მახლობლად ვითარდება. ღორის სულადობის ნახევარი აზიის არამუსლიმურ (სადაც ღორის მოშენება და მისი ხორცის საკვებად გამოყენება რელიგიის მიერ არის აკრძალული) ქვეყნებზე, პირველ ყოვლისა ჩინეთზე მოდის.

**მეცხვარეობა** ხორცთან ერთად მატყლსაც იძლევა. ცხვრის სულადობით გამოირჩევა ავსტრალია, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი. მატყლის წარმოებით- ავსტრალია, ჩინეთი და ახალი ზელანდია.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიდან დიდი მნიშვნელობა აქვს **მეფრინველეობას** და **მეთევზეობას** (თუმცა ეს უკანასკნელი ზოგჯერ ცალკე დარგად განიხილება).

## **ჩანართი 2. "მწვანე რევოლუცია"**

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საუკუნეთა განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება პირდაპირ იყო დაკავშირებული მოსახლეობის სურსათითა და საკვებით უზრუნველყოფასთან. ეს საკითხი

კიდევ უფრო აქტუალური გახდა მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში. ადამიანების გამოკვებისა და შიმშილობის აღმოფხვრის პრობლემა განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში გამოიკვეთა.

რიგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერების ძალისხმევით II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მრავალი ღონისძიება განხორციელდა სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდისა და ხელშეწყობის მიმართულებით, რაც მიზნად ისახავდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის გაუმჯობესებას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებში, რომლებშიც განსაკუთრებით მწვავედ იდგა მოსახლეობის გამოკვების პრობლემა.

ეს ღონისძიებები ძირითადად მიმართული არიან სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისაკენ და ითვალისწინებდნენ:

- აგრიკულტურების გაუმჯობესებელი, ყინვა და გვალვაგამძლე *მაღალპროდუქტიული ჯიშების* გამოყვანას და დანერგვას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ერთ ჰექტარზე ცალკეული კულტურების (მაგ. ხორბლის, სიმინდის, ბრინჯის) მოსავლიანობის 3-4-ჯერ გაზრდა. მას გარდა ახალი ჯიშების უფრო მცირე ვეგეტაციური (ზრდისა და დამწიფების) პერიოდი (მაგ. 4 თვე 5 ან 6-ის ნაცვლად) *ორი ან რამდენიმე მოსავლის მოყვანის* საშუალებას იძლევა იგივე ნაკვეთზე.
- *სასუქების* ხელმისაწვდომობა და მათი გამოყენება ნიადაგების გასამდიდრებლად მოსავლიანობის ზრდის მიზნით.
- *ტრაქტორებისა და მექანიზაციის სხვა საშუალებების* გამოყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.
- *საირიგაციო სისტემების* დანერგვა მიწების მორწყვით მოსავლიანობის გაზრდის მიზნით.
- *კრედიტებისა და გრანტების (უსასყიდლო დახმარების)* ხელმისაწვდომობა გლეხებისა და ფერმერებისათვის სასოფლო მეურნეობის სათანადო ფინანსური უზრუნველყოფისათვის (თესლის,

სასუქების შესასყიდად, ტრაქტორის დასაქირავებლად და ა.შ.).

"მწვანე რევოლუციის" შედეგები, მიუხედავად ზოგი უარყოფითი მომენტისა (მაგ. ზოგი ტრადიციული მცენარეთა ჯიშის გადაშენება ახალ ჯიშებთან კონკურენციის შედეგად, ზოგიერთი მიწების ფართო მასივების დამლაშება ჭარბი ირიგაციის პირობებში და სხვა) საკმაოდ პოზიტიური აღმოჩნდა ბევრ ისეთ ხალხმრავალ ქვეყანაში, როგორცაა ინდოეთი ან ჩინეთი. სპეციალისტთა შეფასებით, 1960-იანი წლებიდან "მწვანე რევოლუციის" შედეგად 1 მილიარდზე მეტი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩა შიმშილით სიკვდილს. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით უზრუნველყოფის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, რადგან მსოფლიოში 900 მილიონი ადამიანი კვლავაც შიმშილობის ზღვარს ქვევით განაგრძობს არსებობას, რასაც **მსოფლიო ბანკი** იუწყება.

ამრიგად, სოფლის მეურნეობა უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის პირველად დარგებს შორის, რადგან მასზეა დამოკიდებული მოსახლეობის გამოკვება. მის მრავალფეროვნებაზე დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები და საზოგადოებრივი ფაქტორები. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგებია მემცენარეობა და მეცხოველეობა.

**§2.6 მრეწველობის გეოგრაფია: მრეწველობის ტიპები და განლაგების ფაქტორები. მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა**

**მრეწველობა** საზოგადოებრივი წარმოების წამყვანი დარგია. ის გაცილებით უფრო დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, ვიდრე სოფლის მეურნეობა.

მრეწველობა, სოფლის მეურნეობის მსგავსად, საწარმოო სისტემას წარმოადგენს და, შესაბამისად, **დანახარჯების, პროცესებისა და გამოშვების** კომპონენტებისაგან შედგება. ამავე დროს, თავისი შინაარსით, მრეწველობა, როგორც ეკონომიკის დარგი და საწარმოო სისტემა, მნიშვნელოვნად განსხვავდება სოფლის მეურნეობისაგან.

**ცხრ. 8** გამარტივებული სახით გადმოგვცემს მრეწველობის მოქმედების პრინციპს. საყურადღებოა, რომ **პროცესები** მრეწველობაში **სამრეწველო საწარმოებში** (ფაბრიკებში, ქარხნებში, კომბინატებში და ა.შ.) მიმდინარეობს.


**ცხრ. 8.** მრეწველობის მოქმედების პრინციპი

| მეურნეობის დარგი   | ნედლეული                                     | საწარმო  | პროდუქტი                  |
|--|--|--|---------------------------|
| <i>პირველადი:</i><br><i>სოფლის მეურნეობა</i>   | ყურძენი ▶<br>ბამბა ▶<br>ხორბალი ▶<br>ტყავი ▶ | ღვინის ქარხანა ▶<br>საფეიქრო ფ-კა ▶<br>საცხობი ▶ | ღვინო<br>ქსოვილი<br>პური  |
| <i>მეთვეზეობა</i>  | თევზი ▶                                      | ფეხსაცმლის ფ-კა ▶<br>საკონსერვო ქ-ნა ▶           | ფეხსაცმელი<br>კონსერვი    |
| <i>მეტყევეობა</i>  | ხე-ტყე ▶                                     | ავეჯის კომბინატი ▶                               | მაგიდა                    |
| <i>წიაღისეულის მოპოვება*</i>   | ნავთობი ▶<br>რკინის მადანი ▶                 | ნავთობგადამამუშავებ. ▶<br>მეტალ.ქ-ნა ▶           | ბენზინი<br>ფოლადის მიღები |
| *ყოფილ საბჭოთა და რუსულ ლიტერატურაში, გადამამუშავებელ მრეწველობასთან ერთად მრეწველობას მიაკუთვნებენ წიაღისეულის მოპოვებასაც და მას <i>მოპოვებით მრეწველობას</i> უწოდებენ |  |  |                           |
| <i>მეორადი:</i><br><i>მრეწველობა</i>   | ქსოვილი, ძაფი ▶<br>ლითონი, ძრავა, საბურავი ▶ | სამკერვალო ფ-კა ▶<br>საავტომობილო ქ-ნა ▶         | ჯინსი<br>ავტო             |

სამრეწველო საწარმოები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიდიდით, დასაქმებული მუშახელის რაოდენობით, გამოშვებული პროდუქციის ტიპით და მოცულობით, მათში განხორციელებული საწარმოო პროცესებით და სხვა. ამავე დროს, ყველა მათგანს მოქმედების ერთი პრიციპი აერთიანებს: მრეწველობა იღებს ნედლეულს მეურნეობის პირველადი დარგებიდან ან სხვა სამრეწველო საწარმოებიდან და მათი დამუშავების ან აწეობა-შეერთების გზით ქმნის საბოლოო პროდუქტს/საქონელს. ამრიგად, მრეწველობა ნედლეულის გადამამუშავებელი დარგია.

ნახ. 22-ზე მოცემულია მრეწველობის, როგორც საწარმოო სისტემის, გამარტივებული ნიმუში (მოდელი). დანახარჯები წარმოდგენილია ნედლეულის, ენერჯიის, მუშახელის, კაპიტალის სახით (ასეთი შეიძლება იყოს ნედლი ნავთობი, რკინის მადანი, ბამბა და ა.შ.), საწარმოო პროცესი მიმდინარეობს სპეციალურ დაწესებულებებში ანუ საწარმოებში, ხოლო გამოშვება ხდება მზა სამრეწველო პროდუქტის (მაგ. ლითონის მილების, ტელევიზორების, ტანსაცმლის და ა.შ.) სახით.


ნახ. 22. სამრეწველო საწარმოო სისტემის ნიმუში



სამრეწველო წარმოება (ისევე, როგორც საბაზრო სოფლის მეურნეობა) **ბიზნესის** სფეროს განეკუთვნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი

საწარმოს არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელია, რომ პროდუქციის გამოშვებით და გაყიდვით მიღებული შემოსავალი აღემატებოდეს სისტემის პირველ ორ კომპონენტზე (დანახარჯები+პროცესები) დახარჯულ თანხებს.

ნახ. 23. მომგებიანი საწარმო



სამრეწველო საწარმოს მომგებიანობა დიდადაა დამოკიდებული მის სწორ ანუ ხელსაყრელ განლაგებაზე. ცხრ. 9-ში ასახულია მრეწველობის განლაგების ძირითადი ფაქტორები და მათი გავლენა საწარმოებზე.

ცხრ. 9. სამრეწველო საწარმოების განლაგებაზე მოქმედი ფაქტორები

|  |
|--|
| <p><b>ტრანსპორტი</b></p> <p><u>დამახასიათებელი ნიშნები:</u> უზრუნველყოფს ნედლეულის მიწოდებას საწარმოსათვის საწყლოსნო (ზღვა, მდინარე, არხი) ან სახმელეთო (ავტომაგისტრალი, რკინიგზა) გზით, დამზადებული პროდუქციას კი აწვდის ბაზარს. ხშირად ქვეყნებს შორის ტვირთების გადატანის დროს საჭირო ხდება რამდენიმე ტრანსპორტის შეცვლა. შაჰაერო გადაზიდვები მსუბუქი, ძვირადღირებული საქონლის შემთხვევაში გამოიყენება.</p> <p><u>გავლენა მდებარეობაზე:</u> მძიმე მრეწველობის საწარმოები დიდი რაოდენობით (დიდი წონისა და მოცულობის) ნედლეულს მოიხმარენ და მათთვის მეტად მნიშვნელოვანია იაფ სატრანსპორტო საშუალებებთან (მაგ. საზღვაო პორტებთან) განლაგება, სატრანსპორტო ხარჯების შემცირების მიზნით. მსუბუქი მრეწველობისათვის მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქციის</p> |
|--|

სწრაფი და იაფი მიტანა ბაზარზე.

### **კავშირგაბმულობა**

დამახასიათებელი ნიშნები: არნახული განვითარება კპოვა საკაბელო და სატელიტურმა სატელეფონო (ტელეფაქსი, ფიჭური ტელეფონი) კავშირებმა, კომპიუტერულმა სისტემებმა (ინტერნეტი, ელექტრონული ფოსტა). დღეს გლობალური კავშირგაბმულობა ისეა გაადვილებული და დაჩქარებული, რომ ამის წარმოდგენაც კი ახლო წარსულში შეუძლებელი იყო.

გავლენა მდებარეობაზე: განაპირობებს დიდ მოქნილობას საწარმოსათვის ადგილის შერჩევას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იძლევა ფაბრიკა-ქარხნებში საოფისე პერსონალის შემცირებისა და ადგილზე მოუსვლელად (სახლიდან) მუშაობის საშუალებას.

### **კაპიტალი**

დამახასიათებელი ნიშნები: საწარმოს ასაშენებლად, მანქანადანადგარების დასამონტაჟებლად, ნედლეულის შესაძენად და, ზოგადად, წარმოების ასამუშავებლად კაპიტალი ანუ ფულია საჭირო. თანხების მიღება ხდება ბანკებიდან, მეწილეებისგან, ზოგჯერ მთავრობისგან.

გავლენა მდებარეობაზე: კაპიტალტევადი სამრეწველო საწარმოები (მაგ. მძიმე მრეწველობის, მაღალი ტექნოლოგიების) ცდილობენ ისეთ რეგიონებსა და ქვეყნებში განლაგდნენ, სადაც უკეთესია კაპიტალზე ხელმისაწვდომობა (მაგ. ბანკები კარგი პირობებით გასცემენ კრედიტებს), დაბალია გადასახადები და სხვა.

### **ნედლეული**

დამახასიათებელი ნიშნები: ნედლეული, რომლაც უნდა ჩავთვალოთ ლითონები და სხვა მინერალები, ხე-ტყე, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, წარმოადგენს აუცილებელ მასალას ფაბრიკა-ქარხნებში პროდუქციის დასამზადებლად. ნედლეული წონით და მოცულობით ბევრად აღემატება დამთავრებულ პროდუქციას- საქონელს.

გავლენა მდებარეობაზე: თავად იაფი, მაგრამ ტრანსპორტირებისათვის ძვირი (დიდი წონისა და მოცულობის გამო) ნედლეული ხშირად თავისკენ "იზიდავს" ნედლეულტევად საწარმოებს. ასეთებია, ძირითადად, მძიმე მრეწველობის საწარმოები.

### **ენერჯია**

დამახასიათებელი ნიშნები: ენერჯია აუცილებელია იმ სამრეწველო პროცესების განსახორციელებლად, რომლის საშუალებითაც ნედლეული საბოლოო დამუშავებულ პროდუქტად გარდაიქმნება. საწვავის (ქვანახშირი, ნავთობი, გაზი) წვით მიიღება სითბო და ენერჯია, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს სამრეწველო მანქანები.

გავლენა მდებარეობაზე: მძიმე მრეწველობის ბევრი საწარმო (მაგ. მეტალურგიული კომბინატები, ქიმიური ქარხნები) დიდი რაოდენობით ენერჯიას მოიხმარს და განლაგდება ენერჯიის იაფი წყაროების სიახლოვეს.

### **მუშახელი**

დამახასიათებელი ნიშნები: მნიშვნელოვანია მუშახელის რაოდენობა, ხარისხი ანუ კვალიფიკაცია და ღირებულება (თუ რამდენს უხდიან მათ). ცალკეული საწარმოებისათვის აუცილებელია განსაზღვრული რაოდენობის სათანადო ცოდნის მქონე მუშახელის არსებობა. დიდია განსხვავება მუშახელის ანაზღაურებაში ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის.

გავლენა მდებარეობაზე: ზოგიერთი, განსაკუთრებით მაღალი ტექნოლოგიების, საწარმოსათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მაღალი კვალიფიკაციის მქონე, გამოცდილ მუშახელზე ხელმისაწვდომობა. შრომატევადი დარგებისათვის (მაგ. შაფეიქრო საწარმოებისათვის) კი მნიშვნელოვანია დიდი რაოდენობით იაფი მუშახელის არსებობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც მეკატრონებს საწარმოები გადააქვთ განვითარებული ქვეყნებიდან, სადაც მუშახელი ძალზე ძვირია, განვითარებად ქვეყნებში, ე.ი. იაფი მუშახელის მქონე რეგიონებში.

### **პოლიტიკა (მთავრობა)**

დამახასიათებელი ნიშნები: დადებითად მოქმედებს მრეწველობისათვის



აკრძალვებისა და შეზღუდვების სიმცირე, ხელშეწყობა ფინანსური დახმარებებისა და შეღავათიანი კრედიტების გაცემის გზით. უარყოფითია ფაბრიკა-ქარხნების დაგეგმარებასა და მშენებლობაზე მრავალრიცხოვანი შეზღუდვების დაწესება, სამეწარმეო გადასახადების გაზრდა.

გავლენა მდებარეობაზე: რაც უფრო მაღალია კაპიტალური ანუ ფულადი დანახარჯების საჭიროება (მაგ. საავტომობილო ქარხნისათვის ან მეტალურგიული საწარმოსათვის), საწარმოს მით უფრო მეტად იზიდავს სამთავრობო დახმარებები. თავად მთავრობა, ასეთ დახმარებებს ახორციელებს ახალი საწარმოების ისეთ რეგიონებში მისაზიდად, სადაც მაღალია უმუშევრობა და არასახარბიელოა სხვა პირობები მრეწველობის განვითარებისათვის.

### **ბაზარი**

დამახასიათებელი ნიშნები: სამრეწველო საქონელს ყიდულობენ სხვა წარმოებები ან კერძო მომხმარებლები. ბაზრის სიდიდე ასახავს მათ რაოდენობას და სიმდიდრეს (მსყიდველუნარიანობას). აზრების განლაგება შეიძლება ერთ ადგილზე კონცენტრირებულობით გამოირჩეოდეს ან ტერიტორიაზე გაფანტულობით/გაბნეულობით ხასიათდებოდეს.

გავლენა მდებარეობაზე: მიიმე მრეწველობის საწარმოები, რომლებიც პროდუქციის დიდი ზომებით (წონით და მოცულობით) ხასიათდებიან, ახლოს უნდა განლაგდნენ ბაზართან, ან უნდა ჰქონდეთ იაფი ტრანსპორტირების საშუალება. მაღალფუჯადი პროდუქტის მწარმოებელი მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიც (მაგ. რძის კომბინატი) ახლოს უნდა იყვნენ ბაზართან ან ჰქონდეთ კავშირი საქონლის სწრაფი ტრანსპორტირების საშუალებებთან (საავტომობილო მაგისტრალთან, სწრაფ მატარებელთან, აეროპორტთან). ბაზართან სიახლოვე ნაკლებად მნიშვნელოვანია მსუბუქი, მაღალი ღირებულების და არამაღალფუჯადი პროდუქტის მწარმოებელი ობიექტებისათვის.

## მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა

მრეწველობა, როგორც ეკონომიკის სფერო (ანუ სახალხო მეურნეობის დარგი), თავისი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, განსხვავებული ტიპის საწარმოებს აერთიანებს. ისინი კი გამოყენებული ნედლეულის, საწარმოო პროცესების თავისებურებებისა და გამოშვებული პროდუქციის დანიშნულების მიხედვით ერთიანდებიან **მრეწველობის დარგებად**. ტრადიციულად მიღებულია მრეწველობის დარგების დაყოფა ორ მსხვილ ჯგუფად - *მძიმე* და *მსუბუქ* მრეწველობად. მათ შესახებ მინიშნებები **ცხრ. 9-**შიც არის მოცემული.

*მძიმე მრეწველობა* აერთიანებს იმ დარგებს, რომელთა მთავარი დანიშნულებაა წარმოების საშუალებათა წარმოება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი სამრეწველო წარმოებისა და ეკონომიკის სხვა დარგების შემდგომი გაფართოებისა და განვითარებისათვის არის განკუთვნილი და მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება უშუალოდ ადამიანთა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საპირისპიროდ, *მსუბუქი მრეწველობის* დარგები ძირითადად მომხმარებლის საგნების წარმოებაზეა სპეციალიზებული, ანუ იმ პროდუქციის შექმნაზე, რასაც უშუალოდ იყენებს მოსახლეობა თავის ყოფა-ცხოვრებაში.

მრეწველობის მთავარი დარგების შემადგენლობა, ანუ **დარგობრივი სტრუქტურა**, მათ ზოგად დახასიათებასთან ერთად მოცემულია **ცხრ. 10-**ში.

### ცხრ. 10. მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა

| მრეწველობის დარგი   | საწარმოო პროცესი  | პროდუქცია  |
|---|---|--|
| ა) მძიმე მრეწველობა                                       |   |  |
| <i>სათბობენერგეტიკული მრეწველობა და ელექტროენერგეტიკა</i> | ნედლეულად იყენებს ენერგომატარებლებს: ნავთობს, ბუნებრივ გაზს, ქვანახშირს, ვარდნილ წყალს, რადიაქტიულ ელემენტებს. პროდუქციის მიღება ხდება ელექტროსადგურებში (თბო-, | სითბო, გადამუშავებული საწვავი (ნავთობი, დიზელის საწვავი, თხევადი გაზი, ნახშირის ბრიკეტები), ელექტროენერგია |

|                                  |  |  |
|----------------------------------|--|--|
|                                  | ჰიდრო-, ატომურ)  |  |
| <b>შავი და ფერადი მეტალურგია</b> | ნედლეულად იყენებს ლითონურ მადნებს: შავი მეტალურგია- რკინის მადანს, ფერადი კი- ფერადი ლითონებისას. შაწარმო პროცესში მოიხმარს ასევე ქვანახშირს და სხვა სათბობს, დიდი რაოდენობით ენერგიას, წყალს. პროდუქციის მიღება ხდება მეტალურგიულ ქარხნებსა და კომბინატებში | გამდიდრებული (მინარეგებისგან გასუფთავებული) ლითონები და მათი შენადნობები. შავი მეტალურგია აწარმოებს თუჯს, ფოლადს, ნაგლისს, ლითონის მიღებს. ფერადისპილენძის, ალუმინის, ტყვიის, კალის, ნიკელის და ბევრი სხვა ლითონისა და შენადნობის მავთულებს, ფირფიტებს და ა.შ. |
| <b>მანქანათმშენებლობა</b>        | ნედლეულად იყენებს ძირითადად სამრეწველო (არა ნედლ) პროდუქტს- ლითონს, პლასტმასას, სხვა ნაკეთობებს. საწარმო პროცესში მოიხმარს ელექტროენერგიას. პროდუქცია მიიღება ქარხნებში, კომბინატებში, საამქროებში   | მანქანა-დანადგარები, ჩარხები, სამრეწველო მოწყობილობები და რობოტები, ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ელექტრო და რადიო აპარატურა, კომპიუტერები  |
| <b>ქიმიური მრეწველობა</b>        | ნედლეულად იყენებს არამადნეულ წიაღისეულს (მაგ. დარიშხანს, აზოტს), ხეტყეს და მცენარეულობას, ნავთობპროდუქტებს და ბევრ სხვას. საწარმო პროცესში მოიხმარს ელექტროენერგიას, წყალს. პროდუქცია მიიღება ქარხნებში, კომბინატებში, ლაბორატორიებში                        | ქიმიური და ხელოვნური ბოჭკო, ხელოვნური ქსოვილები, ფარმაცევტული პროდუქცია, სასუქები, პლასტმასა, რეზინის ნაწარმი, ხელოვნური კაუჩუკი, ორგანული სინთეზის (პოლიმერები) და ბევრი სხვა პროდუქტი  |
| <b>ხეტყის მრეწველობა</b>         | ნედლეულად იყენებს ხეტყეს. საწარმო პროცესში მოიხმარს ელექტროენერგიას, წყალს. პროდუქცია მიიღება ქარხნებში, კომბინატებში, სახერხ და სხვა საამქროებში, სახელოსნოებში   | მერქანი, ხის ფილები, ცელულოზა-ქაღალდი, აგეჯი, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი ხის მასალა, ხის მრავალგვარი ნაკეთობები   |
| <b>ბ) მსუბუქი მრეწველობა</b>     |  |  |
| <b>საფეიქრო მრეწველობა</b>       | ნედლეულად იყენებს სოფლის მეურნეობისა და (ბამბა, სელი, აბრეშუმი, მატყლი, ტყავი) ქიმიური მრეწველობის (ხელოვნური ქსოვილები) პროდუქციას. საკუთარ პროდუქციას აწარმოებს ფაბრიკებში, კომბინატებში, საამქროებში, სახელოსნოებში                                       | ქსოვილები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები   |
| <b>კვების მრეწველობა</b>         | ნედლეულად იყენებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. საკუთარ პროდუქციას აწარმოებს ფაბრიკებში,   | მრავალი სახის საკვები პროდუქტი (კონსერვები, რძის ნაწარმი, შეფუთული და დაფასოებული საკვები,   |

|  |   |  |
|--|---|--|
|  | ქარხნებში, კომბინატებში, საამქროებში, სახელოსნოებში | საკონდიტრო ნაწარმი), სასმელი (ღვინო, "მსუბუქი" და ალკოჰოლური სასმელები, ჩაი, ყავა), თამბაქოს ნაწარმი |
|--|---|--|

ბუნებრივია, რომ მრეწველობის ყველა დარგი ერთდროულად არ წარმოქმნიდა და განვითარების ერთნაირი ციკლები არ გაუვლია. ზოგიერთი დარგი ე.წ. *სამრეწველო გადატრიალების* (იხ. თავი "მსოფლიო მეურნეობა: ზოგადი ნიშნები/დახასიათება") განთიადზევე აღმოცენდა, სხვებს კი სულ რამდენიმე ათწლეულის ისტორია აქვთ. მაგალითად, კვების და საფეიქრო წარმოება, მეტალურგია გაცილებით უფრო "ხანდაზმული" დარგებია, ვიდრე მანქანათმშენებლობა ან ქიმიური მრეწველობა. ამიტომ პირველებს ხშირად მრეწველობის *ტრადიციულ დარგებს* უწოდებენ, მეორეებს კი- *თანამედროვე დარგებს*.

მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაზე უმნიშვნელოვანესი გავლენა მოახდინა *სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა*, რომელმაც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან გლობალური ხასიათი მიიღო. რიცხვი მეცნიერული გამოგონება და მათი დანერგვა წარმოებაში, ერთის მხრივ, საფუძვლად დაედო მრეწველობის არსებული დარგების კარდინალურ მოდერნიზაციას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დამკვიდრებას, მეორე მხრივ კი მან ხელი შეუწყო ისეთი ახალი დარგებისა და ქვედარგების წარმოშობას, როგორცაა რადიო და ელექტროტექნიკული წარმოება, ორგანული სინთეზის ქიმია და ბევრი სხვა.

ამგვარი განვითარებიდან გამომდინარე, მეცნიერთა დიდი ნაწილი მიზანშეწონილად და ლოგიკურად მიიჩნევს თანამედროვე მრეწველობის დარგების დაჯგუფებად არა ორ, არამედ სამ მსხვილ ჯგუფად: *მძიმე, მსუბუქი და მაღალი ტექნოლოგიების* დარგებად. ამ უკანასკნელს, როგორც წესი, ინგლისური სახელის შესაბამისად საყოველთაოდ *ჰაი-ტექს (high tech)* უწოდებენ. ის გამოირჩევა მაღალღირებულები და შედარებით კომპაქტური პროდუქციის გამოშვებით თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მოითხოვს ცოტა ნედლეულს, მაგრამ დიდ კაპიტალდაბანდებებს კვლევა-


განვითარებისათვის, საჭიროებს შედარებით მცირე სივრცეებს საწარმოთა განთავსებისათვის. ჰაი-ტექ-ის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კომპიუტერების, ბიზნეს სისტემების, მიკროპროცესორების, საკომუნიკაციო მოწყობილობების გამომშვები საწარმოები.

მრეწველობის თითოეულ დარგს დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტური მოქმედებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, მაგრამ ზოგიერთ მათგანს არცთუ იშვიათად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და **სტრატეგიულ დარგებს** უწოდებენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა *სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა* და *ელექტროენერგეტიკა*, როგორც ეკონომიკის ყველა სხვა დარგის განვითარებისა და მოსახლეობის ნორმალური ყოფა-ცხოვრების უზრუნველყოფის აუცილებელი საფუძველი. სხვა სტრატეგიულ დარგებს შორის ხშირად ასახელებენ *მანქანათმშენებლობას* და *ჰაი-ტექს*, როგორც ქვეყნის სოციალურეკონომიკური განვითარების საუკეთესო ინდიკატორს.

მრეწველობის სხვადასხვა დარგის საწარმოთა განლაგება გარკვეულ პრინციპებს ექვემდებარება. ცნობილია, რომ მსუბუქი და ჰაი-ტექ დარგები განლაგების გაცილებით მეტი "თავისუფლებით" ხასიათდებიან, ვიდრე მძიმე მრეწველობის საწარმოები. ეს უკანასკნელი თითქმის ყოველთვის ნედლეულის (ხშირად იაფი ენერჯის) სიახლოვეს ცდილობს განთავსებას, როგორც ეს ნახ. 24-ზეა ნაჩვენები. XX საუკუნის შუახანებიდან, როცა განვითარებულმა ქვეყნებმა მძიმე მრეწველობაში (განსაკუთრებით მეტალურგიაში) ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილი იაფი ნედლეულის გამოყენება დაიწყო, ბევრმა საწარმომ ნედლეულის შემოტანის ადგილისაკენ (მაგ. საზღვაო პორტები, სატრანსპორტო კვანძები) დაიწყო გადაადგილება. მძიმე მრეწველობის ზოგი საწარმო (რომლებიც არ საჭიროებენ ძალიან დიდი მოცულობის ნედლეულს, მაგ. მანქანათმშენებლობის ცალკეული ქვედარგები) კი შუალედურ მდებარეობას იკავებს ნედლეულს, მუშახელსა და ბაზარს შორის. ამგვარი განლაგება მსუბუქი მრეწველობისა და ჰაი-ტექის საწარმოებისათვისაც არის დამახასიათებელი, თუმცა ისინი უფრო ხშირად უპირატესობას იაფ (მსუბუქი

მრეწველობა) ან მაღალკვალიფიციურ (ჰაი-ტექი) მუშახელთან და ბაზართან სიახლოვეს ანიჭებენ.

**ნახ. 24. სამრეწველო საწარმოთა განლაგების პრინციპი (გამარტივებული მოდელი)**



### ინდუსტრიული ქვეყნები და ტრანსნაციონალური კორპორაციები

მრეწველობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია წარმოდგენილი, მაგრამ მისი განვითარების დონე, დარგთა მრავალფეროვნება და წვლილი ეროვნულ ეკონომიკაში მეტად განსხვავებულია. განვითარებულ ქვეყნებში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სწორედ მრეწველობა იყო ეკონომიკის წამყვანი სფერო და მასში იყო დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, დარგობრივ სტრუქტურაში კი მძიმე მრეწველობის ისეთი სტრატეგიული და მაღალ ტექნოლოგიური დარგები გამოირჩეოდნენ, როგორცაა ენერჯეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა. ასეთ ინდუსტრიულ ქვეყნებში (აშშ, დასავლეთ ევროპის ზოგი სახელმწიფო)

იქმნებოდა დიდი *სამრეწველო კომპანიები* და *კორპორაციები*, რომელთა მრავალრიცხოვანი საწარმოები დიდწილად ფარავდნენ მრეწველობის ცალკეულ სექტორებს და განაპირობებდნენ შესაბამისი დარგების განვითარებას. ამის საპირისპიროდ, განვითარებადი ქვეყნები მრეწველობის მხოლოდ ცალკეული დარგების- ძირითადად ნედლეულის პირველადი გადამუშავებისა და მსუბუქი მრეწველობის- განვითარებას თუ ახერხებდნენ.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან განვითარებულმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ფართოდ მიმართეს წარმოების გატანის სტრატეგიას. საწარმოების, განსაკუთრებით ნედლეულ და ენერგოტექვადი, ასევე გარემოს დამაბინძურებელი, დარგების გატანა ხდება საზღვარგარეთ, ძირითადად განვითარებად ქვეყნებში, რაც განპირობებულია იქ მუშახელის შედარებითი სიიაფით, იაფ ნედლეულთან სიახლოვით, გარემოს დაბინძურებაზე ნაკლები კონტროლით.

ახალი საწარმოების საზღვარგარეთ გატანისა და თავიანთი საწარმოო ქსელის მსოფლიო მასშტაბებით გაფართოების სტრატეგიას პირველ ყოვლისა წარმატებულმა მსხვილმა კომპანიებმა მიმართეს, რომლებიც თანდათან **ტრანსნაციონალურ კორპორაციებად** ჩამოყალიბდნენ (იხ. ჩანართი 3).

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობამ და სტრატეგიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ზოგიერთ ქვეყანაში მრეწველობის განვითარებასა და მათ *ინდუსტრიალიზაციაზე*. მიუხედავად იმისა, რომ ამ კორპორაციების მოტივაცია მთლიანად საკუთარი მოგების მაქსიმიზაციისაკენ არის მიმართული, ზოგ ქვეყანასა და რეგიონში მათმა გამოჩენამ დადებითი საფუძველი შეუქმნა ეროვნული ეკონომიკისა და, კერძოდ, მრეწველობის განვითარებას.

1970-იან წლებში ახალი ინდუსტრიალიზაციის პირველი ტალღა *სამხრეთ ამერიკის* ზოგიერთ ქვეყანას გადასწვდა. თრანსნაციონალურმა კორპორაციებმა ჩრდილო ამერიკიდან (მაგ. ფორდი), ევროპიდან (მაგ. ფილიპსი) და იაპონიიდან (მაგ. სონი) ფართოდ დაიწყეს ინვესტირება და საწარმოთა გახსნა ბრაზილიაში.

შემდგომ ეტაპზე, 1970-იანი წლების ბოლოდან, მათი "მიზიდვის" რეგიონი *სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი აზია* გახდა.

### ჩანართი. 3. ტრანსნაციონალური კორპორაციები

ტრანსნაციონალური, ანუ მულტინაციონალური, კორპორაციები ეწოდებათ მსხვილ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ მრავალმხრივი ბიზნეს ინტერესები ბევრ სხვადასხვა ქვეყანაში. ტრანსნაციონალური კომპანიების *სათავო ოფისები*, როგორც წესი, იმ განვითარებულ ქვეყანაშია, სადაც მოხდა საწყისი კომპანიის დაარსება/დაფუძნება. ამავე დროს, მათი საწარმოები, განყოფილებები და წარმომადგენლობები ბევრ ქვეყანაში არსებობს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები ჭეშმარიტად *გლობალური კომპანიები* არიან, რადგან ისინი ერთნაირად ავითარებენ საკუთარ წარმოებას და აფართოებენ ბიზნესს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ისინი ცდილობენ შეადწინონ ნებისმიერ ბაზარზე და თავიანთი წარმოება განათავსონ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია *მოგების* მიღება.

იმ კომპანიათა უდიდესი უმრავლესობა, რომელთა სახელი ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში ტრანსნაციონალურ კომპანიებს წარმოადგენენ. ისინი ძირითადად მრეწველობის ერთ ან რამდენიმე მომიჯნავე დარგში სპეციალდებიან (მაგ. ნავთობის მრეწველობაში- ექსონი, ბრიტიშ პეტროლიუმი, როიალ დაჩ შელი; საავტომობილო წარმოებასა და მანქანათმშენებლობაში- ფორდი, მიცუბიში, ფოლკსვაგენი; ელექტრონიკასა და გამოთვლით ტექნიკაში- სონი, ჰიულეთ პაკარდი, **IBM**, ფილიპსი; კვების მრეწველობაში-კოკა კოლა, ნესტლე, დელ მონტე და ა.შ.).

უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების წლიური გაყიდვების მოცულობა ათეულობით მილლიარდ დოლარს აღემატება, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ბევრი წარმატებული ქვეყნის (მაგ. ირლანდია, პორტუგალია, საბერძნეთი, ნორვეგია) ეროვნული შემოსავალი.



ქვეყნები, რომლებშიც საქმიანობენ ეს კორპორაციები, უმეტეს შემთხვევაში გარკვეულ სარგებელს იღებენ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ის ქვეყნები კი (ძირითადად აფრიკასა და ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში), რომლებითაც ტრანსნაციონალური კორპორაციები ნაკლებად ინტერესდებიან, ჩვეულებრივ უღარიბეს ქვეყანათა შორის არიან. ამავე დროს, არ არსებობს პირდაპირი და ცალსახა დამოკიდებულება ასეთი კორპორაციების საქმიანობასა და "მასპინძელი" ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას შორის. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უდიდეს სარგებელს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობით ის ქვეყნები იღებენ (მაგ. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის), რომლებშიც ეს უკანასკნელნი დამამუშავებელი მრეწველობის თანამედროვე მაღალტექნოლოგიური დარგების საწარმოებს განაღებენ (მანქანათმშენებლობა, ელექტრონიკა, ჰაიტექი). საპირისპიროდ, იმ ქვეყნებში, სადაც ეს კორპორაციები ნედლეულის მოპოვებას ან ნაყოფიერ მიწებზე ვრცელი პლანტაციების გაშენებას ახორციელებენ (მაგ. ცენტრალური და ლათინური ამერიკა), მოსახლეობა და ქვეყნის ეკონომიკა უმნიშვნელო სარგებელს თუ იღებს.

დიდი კომპანიების მიზიდვა ამ რეგიონში უპირველეს ყოვლისა *იაფმა და გარკვეული უნარ-ჩვევების მქონე მუშახელის* არსებობამ განაპირობა. ამ რეგიონის ქვეყნებში მუშახელი თანახმა იყო ემუშავა 12 საათი დღეში და 6 დღე კვირაში. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად ამ რეგიონში სამუშაო პირობებიც შემსუბუქდა და ხელფასებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა, დღეისათვის ის მაინც საკმაოდ ჩამორჩება აშშ-სა და ევროგაერთიანებაში დაწესებულ შრომის ანაზღაურებას.

დაბალ ანაზღაურებასთან ერთად რეგიონში წარმოების "მიმზიდველ" ფაქტორებს წარმოადგენენ:

- ტრანსპორტი: რეგიონის ყველა ქვეყანას ხელეწიფება საზღვაო გადაზიდვების განხორციელება. საქონლის გადაზიდვის "კონტეინერული"

სისტემის დანერგვამ უაღრესად გააიაფა ამ რეგიონიდან საქონლის ტრანსპორტირება;

- ბაზარი: მიუხედავად იმისა, რომ პროდუქციის დიდი ნაწილი საექსპორტოდ იწარმოება, ადგილობრივი ბაზარიც საკმაოდ ფართოა მოსახლეობის დიდი რაოდენობისა და მათი მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ზრდის გამო;
- სამთავრობო პოლიტიკა: რეგიონის ქვეყნების მთავრობების მიერ გატარებულ იქნა კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვისა და დაცვისათვის ხელშემწყობი პოლიტიკა და შეიქმნა წარმოებისათვის უსაფრთხო გარემო.

ამ პროცესების შედეგად რეგიონის ოთხმა ქვეყანამ- ჰონგ კონგმა, სინგაპურმა, ტაივანმა და სამხრეთ კორეამ- რომლებიც "ეკონომიკურ ვეფხვებად" იწოდებიან, მეტად მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიეს. დღეს ისინი ცნობილი არიან მრეწველობის ფართო სპექტრის გამო, დაწყებული მძიმე მრეწველობიდან (ფოლადის წარმოება, გემთმშენებლობა, საავტომობილო წარმოება, ნავთობქიმია) დაწყებული, მსუბუქი მრეწველობით (საყოფაცხოვრებო ელექტრონიკა, ტანსაცმელი) და ჰაი-ტექ-ით (მიკრო ჩიპები, ნახევარგამტარები, კომპიუტერები) დამთავრებული. საყურადღებოა, რომ 1990-იან წლებში, სამხრეთ კორეამ თავად შექმნა რამდენიმე ტრანსნაციონალური კორპორაცია (სამსუნგი, ჰუნდაი, LG).

აღნიშნულ ოთხეულს, იმავე რეგიონის შემდგომ ოთხ "ვეფხვთან"- ტაილანდთან, მალაიზიასთან, ინდონეზიასთან და ფილიპინებთანერთად, ასევე ჩინეთს და ლათინური ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოს (მაგ. ბრაზილიას, არგენტინას, მექსიკას), ხშირად უწოდებენ **ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს**.

ამასთან ერთად, ტრადიციული ინდუსტრიული ქვეყნების (მაგ. აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია) უმრავლესობაში ბოლო 2-3 ათწლეულის განმავლობაში მრეწველობის ხვედრითი წილი საგრძნობლად შემცირდა ეკონომიკის მესამეული და მეოთხეული დარგების სასარგებლოდ. შესაბამისად, ამ ქვეყნებს **პოსტ-ინდუსტრიული ქვეყნების** სახელით მოიხსენიებენ.

ამრიგად, მრეწველობა საზოგადოებრივი წარმოების მთავარი სფეროა, რომელიც დარგების სამ ძირითად ჯგუფად- მძიმე, მსუბუქ და ჰაი-ტექ მრეწველობად იყოფა. სამრეწველო საწარმოთა განლაგება რიგ გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა ერთობლიობაზეა დამოკიდებული.

## **§2.7 მესამეული და მეოთხეული დარგების გეოგრაფია**

პირველად და მეორეულ დარგებს ყოველთვის უდიდესი როლი ენიჭებოდათ ცალკეული ქვეყნებისა და მთელი მსოფლიოს ეკონომიკაში, თუმცა თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი რესურსების მოპოვებაზე, მოსავლის მოყვანასა და პროდუქციის წარმოებაზე კი არა, **მომსახურებაზე** ანუ **სერვისზეა** ორიენტირებული. ის **მესამეული დარგების** სახელითაა ცნობილი და ისეთ საქმიანობებსა და შრომით სპეციალიზაციებს მოიცავს, რომლებიც ემსახურებან პირველად და მეორეულ დარგებს, უფრო ზოგადი თვალსაზრისით კი – საზოგადოების ფართო წრეებს და კონკრეტულ ინდივიდებსაც.

ცნებები - „მესამეული დარგები“ და „მომსახურება“ - საკმაოდ მრავლისმომცველი და ზოგადია. ისინი აერთიანებენ მრავალი ტიპის საქმიანობას, სოფლის დალაქის ან მეეზოვის შრომით დაწყებული, უმსხვილესი კომპანიის, მაგალითად „მაიკროსოფტის“, დირექტორის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოღვაწეობით დამთავრებული. მასში ერთნაირად აისახება ტრადიციული, ე.წ. „დაბალი დონის“, პერსონალური მომსახურება თუ საცალო ვაჭრობა და მოწინავე ცოდნაზე დაფუძნებული

„მაღალი რანგის“ პროფესიული სერვისებიც, რომელებიც განკუთვნილია სხვადასხვა წარმოებებისა და ბიზნესებისათვის და არა ინდივიდუალური მოხმარებისათვის.

ეკონომიკის მესამეულ სექტორში შემაჯავალი დარგების ერთი ნაწილი მოწოდებულია, რომ საცალო ან საბითუმო **ვაჭრობის** გზით მომხმარებელს მიაწოდოს საქონელი, რომელიც ხშირად სხვაგან არის დამზადებული. ისინი ასრულებენ სასაქონლო გაცვლის ფუნქციას და უზრუნველყოფენ საბაზრო ტრანსაქციებს, რაც აუცილებელია მოსახლეობის, ე.ი. მომხმარებლის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში მესამეული საქმიანობა ასევე გულისხმობს ბაზრის მოთხოვნების შესახებ სარწმუნო **ინფორმაციის** უზრუნველყოფასაც, რომლის გარეშეც შეუძლებელია პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების შესახებ ეკონომიკურად დასაბუთებული და მომგებიანი გადაწყვეტილებების მიღება.


მესამეული სექტორის სხვა დარგები ვაჭრობენ არა საქონლით, არამედ მომსახურებით. მათი უმეტესობა ახორციელებს კერძო და ბიზნეს მომსახურებას, რაც ხდება მაღაზიებში, რესტორნებში, კომპანიების ოფისებში თუ სახელმწიფო დაწესებულებებში. შესაბამისად, მესამეული დარგების დიდი უმრავლესობა თავმოყრილია ქალაქებში, ე.ი. ტერიტორიული განლაგებისას ისინი იჩენენ მკვეთრად გამოკვეთილ **საბაზრო ორიენტაციას**, რითიც საკმაოდ განსხვავდებიან პირველადი და მეორეული სექტორის უმეტესი დარგებისაგან.

მესამეულ დარგებში შემაჯავალი საქმიანობები, როგორცაა ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, დასვენება და გართობა, ადმინისტრირება და მართვა, ფინანსური, ინფორმაციული თუ კულტურული მომსახურება და ბევრი სხვა, განსაკუთრებით თვალშისაცემი ტემპით იზრდება ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ეს ქვეყნები რამდენიმე ათწლეულის წინ თავისი ინდუსტრიული პოტენციალით გამოირჩეოდნენ, ამჟამად კი წარმოების საზღვარგარეთ გატანის ფონზე

(გაიხსენეთ ტრანსნაციონალური კორპორაციების პოლიტიკა) სულ უფრო მზარდ ეკონომიკურ ორიენტაციას ავლენენ მომსახურების დარგების მიმართ და ე.წ. **პოსტინდუსტრიულ** ქვეყნებად გარდაიქმნებიან.

*როგორ ვლინდება მესამეული დარგების ზრდის მასშტაბები ცალკეულ ქვეყნებსა და მთელს მსოფლიოში?*


ამ პროცესის ერთ-ერთი საუკეთესო და სარწმუნო საზომია ცვლილებები მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურაში. ნახ. 25 გვიჩვენებს მსოფლიოს წამყვანი პოსტინდუსტრიული ქვეყნის – აშშ-ის დასაქმებული მოსახლეობის განაწილებას ეკონომიკის სექტორების მიხედვით უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში.



წყარო: Fellmann, Getis & Getis. 2005. *Human Geography: Landscapes of Human Activities*. McGraw.Hill. გვ. 343.

მსგავსი მდგომარეობა აღინიშნება სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც. კერძოდ, XXI საუკუნის დასაწყისისათვის ყველა სამუშაო ადგილის 65%-დან 80%-მდე სერვისის სფეროში იყო თავმოყრილი ისეთ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, ავსტრალია, კანადა, ისრაელი და ევროპის ყველა მთავარი სახელმწიფო; რუსეთი და აღმოსავლეთი ევროპა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ ამ მაჩვენებლებს.

ეკონომიკის მესამეული დარგების მნიშვნელობაზე ასევე მკაფიოდ მეტყველებს ამ სექტორის წილი ამა თუ იმ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ-ში). ნახ. 26 თვალსაჩინოდ ასახავს დიდ სხვაობებს ამ მაჩვენებლის მიხედვით განვითარებულ და განვითარებად სამყაროს შორის. საყურადღებოა, რომ მესამეული სექტორის წილის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა ქვეყნის ეკონომიკაში აღინიშნა მოდერნიზაციის გზაზე დამდგარი აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნებში, ოკეანეთში, ასევე ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ზოგიერთ სახელმწიფოში.



საზოგადოდ, მომსახურების დარგების წილის ზრდა ამა თუ იმ ქვეყანაში ასახავს მისი ეკონომიკის წინსვლას და მზარდ ინტეგრაციას მსოფლიო მეურნეობაში. ეს პროცესი ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგია და არ არის გასაკვირი, რომ ის მსოფლიოს სახელმწიფოთა უდიდეს უმრავლესობაში აღინიშნება, თუმცა განსხვავებული მასშტაბებით.

*რა განაპირობებს მესამეული დარგების მასშტაბურ ზრდას განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში?*

მომსახურების სფეროს ზრდა განვითარებულ მსოფლიოში მნიშვნელოვანწილად ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია მოსახლეობის შემოსავლების ზრდით, ოჯახის განსხვავებული სტრუქტურითა და სტატუსით, პირადი მოთხოვნილების მეტი მრავალფეროვნებითა და სირთულით და, ზოგადად, ამ საზოგადოებების ცხოვრების წესში წარმოქმნილი ინოვაციებით ანუ სიახლეებით. მაგალითად, ტრადიციულ, სამომხმარებლო ეკონომიკის მქონე საზოგადოებებში მიღებულია საკვების წარმოება, მომზადება და მიღება ოჯახში. ურბანიზაციის ზრდასთან და ეკონომიკურ წინსვლასთან ერთად ოჯახში საკვების წარმოება მცირდება და იცვლება მისი შექენით ბაზრებსა და მარკეტებში (ე.ი. ხდება მომსახურების სფეროს ჩართვა კვების პროცესში), თუმცა მისი დამზადება და მიღება უპირატესად კვლავ ოჯახში ხდება. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში კი უპირატესობა ენიჭება კვების მთელი ციკლის ოჯახის გარეთ - კერძოდ რესტორნებში, კაფეებში, სწრაფი კვების ობიექტებში და ა.შ. – განხორციელებას. საზოგადოების ასეთი შეცვლილი მოთხოვნილება კვების პროცესის მიმართ ბუნებრივად იწვევს შესაბამისი სერვისების სწრაფ და მასშტაბურ განვითარებას ისე, რომ განვითარებულ მსოფლიოში “კვების ინდუსტრია” დღეს უკვე ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვან დარგად გადაიქცა, სადაც უამრავი ადამიანია დასაქმებული. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება მომსახურების სხვა დარგებშიც.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მესამეული სექტორის ზრდა ზოგჯერ საქმიანობის ფუნქციური შინაარსით კი არა, სტატისტიკური აღრიცხვის ფორმით არის განპირობებული. წარმოებების მზარდ სპეციალიზაციასთან ერთად ბევრი ინდუსტრიული და ზოგი აგრარული საწარმო თუ კომპანია უპირატესობას ანიჭებს წარმოებისათვის დამხმარე საქმიანობების განხორციელებას ამისათვის სპეციალურად დაქირავებული კომპანიების და არა საკუთარი თანამშრომლების საშუალებით. ასეთი საქმიანობების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საწარმოო ფართის დალაგება და დაცვა, თანამშრომლების სამედიცინო მომსახურება, შენობებისა და ინვენტარის შეკეთება, საბუღალტრო აღრიცხვის

წარმოება და სხვა. დამხმარე სამუშაოების “გარეშეთათვის გადაცემა” ანუ “აუტსორსინგი” (**outsourcing**) სულ უფრო ფართოდ ინერგება მოწინავე კომპანიების მიერ, რადგან საბოლოო ჯამში ის ეკონომიკურ სარგებელს (მოგებას) იძლევა ნაკლები თანამშრომლების ფინანსირებისა და მენეჯმენტის ხარჯების შემცირების გამო. შენობების დასუფთავება და დაცვა, გაყვანილობების შეკეთება, ხელფასების გაცემა და ზემოთჩამოთვლილი სხვა საქმიანობები, რომლებიც წინათ ამ საწარმოს თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა, ახლა დაქირავებული სპეციალიზებული ქვეკონტრაქტორი ფირმების მიერ ხდება, რომლებშიც შესაძლოა კომპანიის ყოფილი თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. ამრიგად, სამუშაო კვლავაც სრულდება, ხშირად იგივე ხალხის მიერ, მაგრამ თუ უწინ ისინი მეორეულ სექტორში დასაქმებულ მუშებად აღირიცხებოდნენ, ახლა იგივე სამუშაოს შესრულებისათვის მესამეულ დარგებში დასაქმებულ მომსახურე პერსონალად ითვლებიან.

მესამეული სექტორის მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან დარგებს შორის ერთერთი გამორჩეული და საყურადღებოა **ტურიზმი**, რომელიც არაერთი ქვეყნის ეკონომიკის წამყვან სფეროს წარმოადგენს.

#### ჩანართი 4. ტურიზმი

**ტურიზმი** ეწოდება ადამიანთა შედარებით ხანმოკლე (ერთი ღამისთვეიდან ერთ წლამდე) მოგზაურობას თავიანთი ჩვეული გარემოდან (ე.ი. საცხოვრებელი და სამუშაო ადგილიდან) მოშორებით, უპირატესად რეკრეაციული (ე.ი. ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის) და თავისუფალი დროის გატარების მიზნით. *ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის* განსაზღვრებით **ტურისტად** მხოლოდ ის მოგზაურები უნდა ჩაითვალოს, რომლებიც, გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებენ ზემოთმოყვანილ პირობებს, თავიანთი მოგზაურობის მიზნად არ ისახავენ ამ პერიოდში ისეთი საქმიანობის წარმართვას, რომელიც ექვემდებარება ფულად ანაზღაურებას ვიზიტის ანუ სტუმრობის ადგილას.

ამრიგად, ტურისტი მოგზაურობის პერიოდში ფულს კი არ “მოულობს”, არამედ



ხარჯავს დასვენებისა და გართობისათვის შემოთავაზებულ მრავალრიცხოვან მომსახურებაში, როგორცაა მეზავრობა, ღამისთევა, კვება, საინტერესო ადგილების დათვალიერება, წარმოდგენებსა და ღონისძიებებზე დასწრება, სუენირებისა და სხვა ნივთების შექენა და ა.შ.

ტურისტული მომსახურების მზარდმა მრავალფეროვნებამ და კომპლექსურობამ განაპირობა ბოლო ათწლეულებში მისი არა მარტო ადამიანთა დასვენების ყველაზე გავრცელებულ ფორმად, არამედ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს დარგად გადაქცევა. 2014 წელს საერთაშორისო ტურიზმით მიღებულმა საერთო წლიურმა შემოსავალმა მსოფლიოში 1,4 ტრილიონ ამერიკულ დოლარს გადააჭარბა, ხოლო ტურისტულ საშუალებათა (ტრანსპორტი, სასტუმროები, რესტორნები და სხვ.) გლობალური ფონდის ღირებულება 3 ტრილიონ დოლარადაა შეფასებული<sup>1</sup>.

თანამედროვე ტურიზმის სწრაფად მზარდ მასობრიობასა და მის სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას ის სტატისტიკური მონაცემებიც უსვამს ხაზს, რომ 2014 წელს დაფიქსირდა 1,16 მილიარდი საერთაშორისო ტურისტულ მოგზაურობაზე მეტი, მაშინ როცა სულ 2000 წელს ეს რიცხვი “მხოლოდ” 700 მილიონს, 1970 წელს კი სულ 147 მილიონს შეადგენდა; ტურიზმი, სოფლის მეურნეობის შემდეგ, მუშახელის ყველაზე დიდი დამსაქმებელია მსოფლიოში, სადაც ყოველი მე-15-ე დასაქმებული ჩაბმულია ტურისტთა გადაყვანაში, კვებაში, განთავსებაში, გართობაში თუ გზამკვლეობაში.<sup>2</sup>

ტურიზმის ასეთი მასშტაბური განვითარების მიზეზად, უეჭველია, პირველ ყოვლისა, თანამედროვე განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების წესი და მათი სათანადო ფინანსური შესაძლებლობები უნდა დავასახელოთ. მართლაც, დასავლეთისა (ევროპა, ჩრდილო ამერიკა) და აზიის ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში (იაპონია, კორეა) ჩვეულ ამბად გადაიქცა წელიწადში ერთი ან რამდენიმე ტურისტული მოგზაურობა საზღვარგარეთ ან საკუთარი

<sup>1</sup> <http://data.worldbank.org/indicator/ST.INT.RCPT.CD>

<sup>2</sup> <http://data.worldbank.org/indicator/ST.INT.ARVL?end=2014&start=2014&view=bar>

ქვეყნის შიგნით. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ტურისტთა ძირითადი რაოდენობა და ამ სფეროში დანახარჯები ისეთი ქვეყნების მოსახლეობაზე მოდის, როგორცაა აშშ, გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები. მაგალითად, 2000 წელს სწორედ ზემოთხამოთვლილი ქვეყნების ტურისტებზე მოდიოდა მსოფლიოს მასშტაბით ამ დარგში დახარჯული ნახევარი.

ამავე დროს, ტრადიციულად, ტურისტთა მიმღები მთავარი ქვეყნებიც სწორედ განვითარებულ სამყაროს მიეკუთვნებიან, სადაც მიმზიდველი ბუნება და კომფორტული კლიმატი, მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, მომსახურების მაღალი დონე, განვითარებული ინფრასტრუქტურა კვლავაც იზიდავს ტურისტული პროდუქტის უამრავ მომხმარებელს. 2014 წელს ტურიზმის ლიდერებმა - საფრანგეთმა, აშშ-მ, ესპანეთმა, ჩინეთმა და იტალიამ - თითოეულმა 50 მილიონზე მეტი დამსვენებელი მიიღეს. უფრო ზოგადად, ევროპა (მსოფლიო ტურიზმის 51%), აზია და ოკეანეთი (23%) და ამერიკები (16%) ერთად ყოველწლიურად მსოფლიო ტურისტთა 3/4-ზე მეტს იღებენ<sup>3</sup>.


ამ ფონზე აღსანიშნავია ტურიზმის შესამჩნევი განვითარება რიგ განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც გამოირჩევიან საკმაოდ უნიკალური და ეგზოტიკური ველური ბუნებით (მაგ., კენია), ბუნებრივი პეიზაჟებით (ნეპალი), სანაპიროებით და პლაჟებით (სეიშელის კუნძულები), კულტურული ძეგლებით (ეგვიპტე, ინდოეთი) ან გართობის ინფრასტრუქტურით (მაგ. კარნავალები ბრაზილიაში, სექს-ტურიზმი ტაილანდში).

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის, რომელთაც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების შეზღუდული პირობები გააჩნიათ, ტურიზმი მეურნეობის თითქმის ერთადერთი და შეუცვლელი დარგია, რომელიც ეკონომიკური განვითარების სხვაგვარად

<sup>3</sup> [http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/pdf/annual\\_report\\_2015\\_lr.pdf](http://cf.cdn.unwto.org/sites/all/files/pdf/annual_report_2015_lr.pdf)

შეუძლებელ პერსპექტივებს სთავაზობს მას.

განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას არაერთი პოზიტიური შედეგი მოაქვს, მაგრამ მას უარყოფითი ასპექტებიც გააჩნია, რაც ნაწილობრივ ნახ. 27-შია ნაჩვენები. ამიტომ, ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ტურიზმის განვითარებას აპირებს, ვალდებულია კარგად აწონ-დაწონოს განვითარების საუკეთესო გზები.



ამრიგად, ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე გეოგრაფიული დარგია. ის მომხმარებელს სთავაზობს და “შეასყიდის” არა ტიპურ საქონელს, არამედ სრულიად სპეციფიურ გეოგრაფიულ გარემოს, როგორც ამ გარემოს ბუნებრივი, ასევე კულტურული, ანუ ადამიანის მიერ შექმნილი, შემადგენელი. ტურიზმს ზოგჯერ უხილაგ ექსპორტსაც უწოდებენ, რადგან მისი საშუალებით ქვეყანას უცხოეთში ჩამოსულ ტურისტთა საშუალებით გააქვს არა იმდენად ნივთები და

საქონელი, არამედ მათი შთაბეჭდილები, ინფორმაცია და “ქვეყნის იმიჯი”.

სწორედ ტურიზმის “გეოგრაფიულობის” გამო საქმიანობის ეს სფერო მსოფლიოს ბევრი უნივერსიტეტის მსგავსად, საზოგადოებრივ გეოგრაფიული მეცნიერების შესწავლის აქტიურ და პოპულარულ სფეროს წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

*მომსახურების რომელი დარგები და სახეობები არ მიეკუთვნებიან მესამეულ სექტორს?*

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მესამეული დარგების მიღმა გამოჰყოფენ მეოთხეულ და ზოგჯერ მეხუთეულ დარგებსაც კი. რეალურად მესამეულის შემდგომი სექტორებიც ადამიანისა და საზოგადოების მომსახურებაზეა ორიენტირებული, თუმცა ისინი უფრო დახვეწილ, მაღალი რანგის სერვისებს გვთავაზობენ, რომლებიც სპეციალიზებულ ცოდნას, ტექნიკურ უნარებს, კომუნიკაციის შესაძლებლობებსა და ადმინისტრირების ხელოვნებას ეფუძნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად ნათელი ზღვრის გავლება ეკონომიკის მესამეულ და შემდგომ სექტორებს შორის ხშირად გართულებულია როგორც ადრიცხვის სირთულეების, ასევე შინაარსობრივი მსგავსების გამოც.

საქმიანობები, რომლებსაც მეოთხეულ სექტორს მიაკუთვნებენ, ჩვეულებისამებრ ხორციელდება კომპანიათა და ორგანიზაციათა ოფისებში, უნივერსიტეტების აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში, კლინიკებში, თეატრებში, ბანკებში, სადაზღვევო, საბროკერო ფირმებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებში. მეოთხეული საქმიანობების ჯგუფს სამართლიანად უწოდებენ “ცოდნის სექტორს” ან “ცოდნის ინდუსტრიას”, რადგან ის სულ უფრო მეტად ასახავს საზოგადოების მხარდ მოთხოვნილებას ინფორმაციაზე დამყარებული მომსახურების მიღებაზე. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების დასაქმებული მოსახლეობის სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი საქმდება სწორედ ამ სექტორში ნაცვლად პირველადი, მეორეული და, ასე განსაჯეთ, მესამეული

დარგებისაც კი არ არის გასაკვირი, რომ მეოთხეული სექტორი, რომელიც აერთიანებს ფინანსურ მენეჯერებს, უძრავი ქონების აგენტებს, კომპიუტერულ პროგრამისტებს, იურიდიულ კონსულტანტებს, მარკეტოლოგებს, მკვლევარებს, ჟურნალისტებსა და ა.შ., მაღალგანვითარებულ, მდიდარ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების მთავარ საფუძველს წარმოადგენს.

ეკონომიკის მეოთხეული სექტორი, მესამეულის მსგავსად, მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და ბიზნესებისათვის აწარმოებს სპეციალიზებულ მომსახურებას, სერვისებს, რაც უმეტესად კლიენტებისათვის “აუთსორსინგის” (**outsourcing**) სახით ხორციელდება. თუმცა უნდა აღინიშნოს ორი მნიშვნელოვანი განსხვავება მესამეულ და მეოთხეულ (ასევე მეხუთეულ) დარგებს შორის, რაც შემდეგში მდგომარეობს:

ა) მეოთხეული დარგების მიერ განხორციელებული სერვისები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო მაღალი რანგისაა (დონისაა) მესამეულთან შედარებით, ცოდნაზე, უნარებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულობისა და დამოკიდებულების თვალსაზრისით;

ბ) ტერიტორიული გაადგილების მიხედვით მეოთხეული დარგები კიდევ უფრო მეტ “მოქნილობას” იჩენენ, ვიდრე მესამეული სექტორი. რა თქმა უნდა, ხშირად, მეოთხეული დარგები, საკუთარ მაღალი რანგის პერსონალს შორის სათანადო კომუნიკაციისა და კლიენტისათვის მაღალი დონის მომსახურების უზრუნველსაყოფად, ავლენს მესამეული დარგების განლაგების მსგავს ნიმუშს, რაც კლიენტთან უშუალო სიახლოვესა და მისადგომად მოხერხებულ მდებარეობაში გამოიხატება. ამის მაგალითია ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების სათავო ოფისების, საკონსულტაციო ფირმებისა და სხვათა განლაგება უმსხვილესი ქალაქების ცენტრალურ ადგილებში.

ამავე დროს, მეოთხეული დარგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად არ არის აუცილებელი მომსახურების განხორციელება კლიენტთან უშუალო შეხებაში. მაგალითად, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის დაწერა, მარკეტინგული კვლევის ჩატარება, ახალი

სამედიცინო პრეპარატის გამოგონება, სამეცნიერო ნაშრომის ან ხელოვნების ნაწარმოების შექმნა თუ კომპანიის განვითარებისა გეგმის შედგენა შესაძლებელია მომხმარებლის ან დამკვეთისაგან დისტანციურების პირობებშიც. რა თქმა უნდა, ამისათვის აუცილებელ წინაპირობას მონაცემთა და ინფორმაციის გაცვლის ანუ კავშირგაბმულობის (კომუნიკაციის) საშუალებათა სრულყოფილი სისტემის არსებობა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი საოცარი ტემპებით ვითარდება და ინერგება თანამედროვე განვითარებულ სამყაროში.

შესაბამისად, მეოთხეული სექტორის წარმომადგენელი ბევრი საწარმო (კომპანიები, ფირმები, კორპორაციები და ა.შ.) მომხმარებელთან უშუალო სიახლოვეს, მაგალითად მსხვილი ქალაქების ცენტრებსა და საქმიან რაიონებში, მხოლოდ თავის სათავო, ადმინისტრაციულ ოფისს (ანუ ე.წ. “ფრონტ ოფისს” – **front office**) ტოვებს, ხოლო დაკვეთების შემსრულებელი საქმიანობის უფრო მრავალრიცხოვან ერთეულებს (ე.წ. “ბექ ოფისებს” – **back office**) ქალაქების პერიფერიებსა და გარეუბნებში, პატარა ქალაქებში ან სულაც სასოფლო არეალებში განათავსებენ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოთაღწერილი ტენდენცია მნიშვნელოვნად ცვლის წარმოდგენებს ეკონომიკური საქმიანობის (წარმოებისა და მომსახურების) ტერიტორიული განლაგების ტრადიციულად ჩამოყალიბებულ კონცეფციებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველივე ფართო მასშტაბით ჯერჯერობით მხოლოდ მსოფლიოს ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებულ არეალებსა და რეგიონებში ხორციელდება.

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ხშირად ხდება სერვისის სფეროში მეხუთეული საქმიანობების გამოყოფა, რაც უფრო მეტად გარკვეული ტიპის მოსამსახურეებს, ე.წ. “ოქროს საყელოებს” (იხ. ჩანართი № 5), აერთიანებს, ვიდრე უშუალოდ ეკონომიკის დარგებს, საწარმოებს ან საქმიანობის სფეროებს.

*მეხუთეული სექტორი*, როგორც სერვისის ყველაზე სპეციფიური ქვედანაყოფი, წარმოადგენს და აერთიანებს “ელიტარულ”, ექსკლუზიური (გამორჩეული) ცოდნისა და უნარების მქონე მაღალანაზღაურებად ადამიანებსა და მათ ჯგუფებს, კერძოდ: მსხვილი ბიზნეს კომპანიების უმაღლესი რანგის აღმასრულებელ პერსონალს, მთავრობის მაღალი თანამდებობის პირებს, საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერ-მკვლევარებსა და ხელოვნებს, შოუ-ბიზნესისა და სპორტის “ვარსკვლავებს”, მაღალრეიტინგულ ფინანსურ და იურიდიულ კონსულტანტებს და მსგავსთ. მათი სამუშაო ადგილები, როგორც წესი, მდებარეობს მსხვილ სადედაქალაქო ცენტრებში, მთავარ უნივერსიტეტებსა და კვლევით-ტექნოლოგიურ პარკებში, პირველი კლასის სამედიცინო დაწესებულებებში, პოლიტიკური დედაქალაქების სამთავრობო კაბინეტებსა და ოფისებში, საყოველთაოდ ცნობილ კულტურულ და გასართობ დაწესებულებებსა თუ სპორტულ არენებზე. თვით ქალაქების ფარგლებშიც კი, მეხუთეული სექტორის წარმომადგენლები თავს იყრიან სპეციფიურ, ყველაზე პრესტიჟულ დასახლებებში, უბნებსა და მისამართებზე, როგორცაა ჰოლივუდი კალიფორნიაში, ლონდონის სიტი, უოლ სტრიტი ნიუ-იორკში, და გამორჩეულ საოფისე შენობებსა და კომპლექსებში, როგორცაა ემპაირ სტეიტ ბილდინგი ნიუიორკში, სიარს ტაუერი ჩიკაგოში (იხ. **ნახ.27**) ან პრუდენშალი ბოსტონში.



*ნახ. 27 უილის თაუერი (Willis Tower) ჩიკაგოში ტიპური ნიმუშია მრავალფუნქციური კომპლექსისა, რომელშიც ბევრი ისეთი ფირმის ოფისია განთავსებული, სადაც მეხუთეული სექტორის “ოქროს საყელოანი” მოსამსახურეებიც მუშაობენ. ეს პრესტიჟული შენობა, უაღრესად ძვირადღირებული საოფისე ფართით, მსოფლიოში უმაღლესი ნაგებობა იყო 1973-1998 წლებში, სანამ მაღაიზის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში პეტრონას ტვინ-ტაუერს ააგებდნენ.*

## ჩანართი №5 ფერადი საყელოები: მუშახელის სოციალური გრადაცია

ინგლისურენოვან ქვეყნებში შედარებით დაბალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი მუშათა კლასის, ანუ ისეთი მუშახელის აღსანიშნავად, რომელიც მრეწველობაშია დასაქმებული და ფიზიკურ შრომას ასრულებს, ხშირად ხმარობენ ტერმინს “ლურჯი საყელო” (*blue collar*). ეს მუშახელის ის კატეგორიაა, რომელიც საათობრივი ანაზღაურების საფუძველზე არის დაქირავებული. მათი სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, ოფლისა და ჭუჭყის ამტანი ლურჯი ფერი ტრადიციულად ყველაზე ხშირად იყო გამოყენებული მათ სამუშაო უნიფორმებსა და კომბინეზონებში. მუშათა კლასს საყელოს ლურჯი ფერი, სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო მიეკუთვნა.

საპირისპიროდ, მესამეულ და მეოთხეულ სექტორებში დასაქმებულ მომსახურების სფეროს პერსონალს, რომელთა საქმიანობის ტიპიც, მცირე გამონაკლისის გარდა, არ ითვლება ფიზიკურ შრომად, “თეთრ საყელოდ” (*white collar*) მოიხსენიებენ. “ლურჯი საყელოსაგან” განსხვავებით, ისინი ყოველთვის ხელფასს იღებენ და, როგორც წესი, თავიანთ არაფიზიკურ საქმიანობას ოფისებში ახორციელებენ. “თეთრი საყელოს” მრავალრიცხოვან წარმომადგენელს, ჩვეულებრივ, მუშათა კლასზე მაღალი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ იერარქიაში. მათ ძირითადად საშუალო ან ზესაშუალო (*upper middle*) კლასს მიაკუთვნებენ.

წინა ორისაგან განსხვავებით, შედარებით ახალია ტერმინი “ოქროს საყელო” და მას გაცილებით იშვიათად და არაერთგვაროვანი შინაარსით იყენებენ. მიუხედავად ამისა, ამ ტერმინის ქვეშ უმთავრესად კომპანიის, გარკვეული საქმიანობის სფეროსა თუ მთელი დარგის შესახებ განსაკუთრებული ცოდნის მატარებელი, მაღალკვალიფიციური, სხვა დაქირავებული მუშახელის ხელმძღვანელი პერსონალი იგულისხმება. მათ არსებობაზე და მოღვაწეობაზე დიდწილადაა დამოკიდებული დაწესებულების შემოსავლების უწყვეტობა და ფინანსური კეთილდღეობა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირებს ექსკლუზიური ხელფასები და ჰონორარები აქვთ და, შესაბამისად, ისინი საზოგადოების ზესაშუალო და მაღალ



**(upper) კლასებს მიეკუთვნებიან<sup>4</sup>.**

უდავოა, რომ ასეთ გრადაციაში ბევრი რამ პირობითია (მაგალითად, “ლურჯ საყელოს” მესამეული სექტორის ზოგ წარმომადგენელსაც მიაკუთვნებენ, მაშინ როცა მაღალკვალიფიციური სამრეწველო პერსონალი შეიძლება “თეთრ საყელოს” ეკუთვნოდეს) და ბევრიც დროთა განმავლობაში იცვლება. თუნდაც ის ფაქტი, რომ დღევანდელი მრეწველობა და მასში დასაქმებული მუშახელი მნიშვნელოვნად განსხვავდება საუკუნის წინანდელი წინამორბედისაგან, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული ტერმინების პირობითობას და ტრადიციულობას.

ისიც საყურადღებოა, რომ საყელოების სამი ძირითადი ფერის გარდა, მუშახელის მრავალფეროვანი ჯგუფების განსასხვავებლად, უკანასკნელ ხანებში ტერმინოლოგიაში დამკვიდრდა საყელოთა სხვა ფერებიც, კერძოდ:

*“მწვანე საყელო”* - აგრარული და გარემოსდაცვითი სფეროების პერსონალის აღსანიშნავად;

*“ნაცრისფერი/რუხი საყელო”* – იმ მუშახელისათვის, რომელთა საქმიანობის ტიპი ვერ ხვდება ლურჯი ან თეთრი საყელოს კლასში (მაგ. ბავშვებისა და მოხუცების მომვლელი ინდივიდები, უშიშროების სფეროს წარმომადგენლები, კვების ინდუსტრიასა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში დაკავებული გარკვეული პერსონალი);

*“ვარდისფერი საყელო”* – შედარებით სუფთა და უსაფრთხო სამუშაო გარემოში მომუშავე, ძირითადად ქალის შრომასთან ასოცირებული სპეციალობების (“ლურჯი საყელოს” საპირისპიროდ, რომელიც ძირითადად კაცის ფიზიკურ მუშაობას უკავშირდება) წარმომადგენელთა აღსანიშნავად. ასეთ სფეროებს მიაკუთვნებენ კაფე-რესტორნების მიმტანების სტილისტებს, ექთნებს, მდივნებს, რეცეფციონისტებს, კოსმეტოლოგებს, მომვლელებს, მოახლეებს, რეპეტიტორებს (ტუტორებს) და ა.შ.

<sup>4</sup> <http://www.worldwidewords.org/turnsofphrase/tp-goll.htm>

# ნაწილი III

## მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობა (პოლიტიკური გეოგრაფია)

### რას შეისწავლის პოლიტიკური გეოგრაფია?

პოლიტიკა ბერძნული სიტყვაა და სახელმწიფო საქმეს ნიშნავს. ეს ცნება ფართო გაგებით სახელმწიფოს მართვის ხელოვნებისა და მეცნიერების პრაქტიკაში განხორციელებას გულისხმობს. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ პოლიტიკური გეოგრაფიის შესწავლის მთავარ ობიექტს **სახელმწიფო** ანუ **ქვეყანა** წარმოადგენს.

პოლიტიკური გეოგრაფია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დარგია, რომელიც პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების ტერიტორიულ გამოვლინებას სწავლობს. ის პოლიტიკური მეცნიერების ანუ *პოლიტოლოგიის* მომიჯნავე დარგია.

პოლიტიკური გეოგრაფიის კვლევის ძირითადი თემებია:

- მსოფლიო პოლიტიკური რუკის ჩამოყალიბება;
- საერთაშორისო ურთიერთობები და სახელმწიფოთა პოლიტიკური დაჯგუფებების შექმნა;
- სახელმწიფო საზღვრების ფორმირება და ცვლილება;
- სახელმწიფო წყობის ფორმები;
- პოლიტიკურ ძალთა (პარტიები, დაჯგუფებები, ბლოკები) განლაგება

ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე;

- "ელექტორალური" გეოგრაფია ანუ საარჩევნო პროცესების გეოგრაფიული/ტერიტორიული თავისებურებანი.

პოლიტიკური გეოგრაფიასთან ერთად პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი დარგია *გეოპოლიტიკა*, რომელიც შეისწავლის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კავშირს (განპირობებულობას) გეოგრაფიულ მდებარეობასა და მის ირგვლივ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ გარემოსთან.

### §3.1 მსოფლიოს პოლიტიკური რუკა

*მსოფლიოს პოლიტიკური რუკა* და მისი ჩამოყალიბების თავისებურებანი პოლიტიკური გეოგრაფიის ერთ-ერთი წამყვანი თემაა. მსოფლიოს პოლიტიკური რუკა ამა თუ იმ ეპოქის პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაჩინო სურათს იძლევა. მასზე აისახება არსებული სახელმწიფოების ტერიტორიები და საზღვრები, მათი მიმართება/მეზობლობა სხვა სახელმწიფოებთან და ის ცენტრები (დედაქალაქები), საიდანაც იმართებიან სახელმწიფოები.

ამავე დროს, მსოფლიოს პოლიტიკური რუკა არ რჩება უცვლელი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ომებისა და დაპყრობების, რევოლუციებისა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების და სხვა ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების გავლენით მასზე მუდამ აისახებოდა ისეთი ცვლილებები, როგორცაა ახალი სახელმწიფოების შექმნა და დაშლა, საზღვრებისა და ტერიტორიების ცვლილება, კოლონიების დაარსება, ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, სახელმწიფოთა დედაქალაქების შეცვლა და სხვა.

როგორ ყალიბდებოდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა ისტორიულ პერსპექტივაში? მსოფლიოს პოლიტიკური რუკა მას შემდეგ არსებობს, რაც დედამიწაზე პირველი სახელმწიფოები წარმოიშვა. ამ პერიოდიდან დღემდე პირობითად შეიძლება გამოვყოთ მისი ფორმირების ოთხი ძირითადი პერიოდი, კერძოდ:

1. **ძველი**, ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის დასაწყისიდან შუა საუკუნეებამდე (ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე);
2. **შუა საუკუნეები**, შუა საუკუნეები დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე (ჩვ. წ. V საუკუნიდან XV საუკუნემდე);
3. **ახალი**, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან პირველ მსოფლიო ომამდე;
4. **უახლესი**, პირველი მსოფლიო ომიდან დღემდე.

პირველი ორი პერიოდის განმავლობაში მსოფლიო და, შესაბამისად, მისი პოლიტიკური რუკა შემოიფარგლებოდა მხოლოდ "ძველი სამყაროს" ქვეყნებით, რაც ევროპას, აზიის ნაწილსა და ჩრდილო აფრიკას მოიცავდა. დანარჩენი მსოფლიო იზოლირებულად ვითარდებოდა და მისი არსებობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი "ძველ სამყაროში". ასეთი მიდგომა **ევროპაცენტრული** (ევროპაზე ორიენტირებული) მიდგომის სახელითაა ცნობილი და ფართოდაა გავრცელებული მეცნიერებაში.

**უძველეს** და **ძველ პერიოდებში**, საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ დიდი და პატარა, ძლიერი და სუსტი ქვეყნები. წამყვან როლს თამაშობდნენ ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც განსაზღვრავდნენ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობას მსოფლიოში. ისინი ხშირად მიმართავდნენ **ტერიტორიულ ექსპანსიას**, ე.ი. სხვა ქვეყნების ტერიტორიების დაპყრობას და აგრესიას მათი მოსახლეობის მიმართ, რის საფუძველზეც ქმნიდნენ **იმპერიებს**. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ანტიკურ პერიოდში უდიდესი იმპერია შექმნა რომმა.

ასეთი ვითარება გრძელდებოდა შუა საუკუნეებშიც, როდესაც შეიქმნა ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორცაა საღვთო იმპერია, არაბთა ხალიფატი, მონღოლთა იმპერია და სხვა.

ახალი პერიოდის განმავლობაში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, "ძველი სამყაროს" მცხოვრებთათვის ცნობილი მსოფლიოს ფარგლებმა თანდათანობით დაიწყო გაფართოება, რასაც მანამდე არნახული ცვლილებები მოჰყვა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. ამ პერიოდის მთავარ ნიშნად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ვრცელი იმპერიები შექმნეს ესპანეთმა, პორტუგალიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა. მათ ოკეანისგაღმა ტერიტორიებისა და კუნძულების დაპყრობით და თავისი გავლენის გავრცელების გზით შექმნეს მრავალრიცხოვანი **კოლონიები**. ვრცელი იმპერია შექმნა რუსეთმაც, თუმცა ის ძირითადად მიმდებარე ქვეყნების დაპყრობისა და ტერიტორიების მიერთების (მაგ. კავკასია, ციმბირი) გზით ჩამოყალიბდა და ოკეანისგაღმა კოლონიები პრაქტიკულად არ ჰქონია (ალასკის გარდა, რომელიც XIX საუკუნეში მიჰყიდა აშშ-ს).

*კოლონია არის ტერიტორია, რომელიც მთლიანად სხვა სახელმწიფოს (მეტროპოლიის) დამოკიდებულების ქვეშ იმყოფება და იმართება სპეციალური რეჟიმის მიხედვით.*

*კოლონიასთან ერთად საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მიხედვით არსებობს ქვეყნების და ტერიტორიების ისეთი ტიპები, როგორცაა პროტექტორატი, დომინიონი, კონდომინიუმი, სამანდატო ტერიტორია, სამეურვეო ტერიტორია.*

*საყურადღებოა, რომ დღეს მსოფლიოში არსებული ქვეყნების უმრავლესობა სხვადასხვა დროს რომელიმე იმპერიის კოლონია ან მასზე დამოკიდებული ტერიტორია იყო.*

ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა იმპერიებისა და ძლიერი სახელმწიფოების გამუდმებულმა დაპირისპირებამ და ბრძოლამ კოლონიებისა და გავლენის არეების გადანაწილებისათვის, რასაც დიდი კორექტივები შეჰქონდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაში. მაგალითად, იმპერიალისტური და მსოფლიო ომების შედეგად ესპანეთისა და პორტუგალიის ყოფილი კოლონიების დიდი ნაწილი დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ხელში

აღმოჩნდა (მაგ. ფილიპინები, კუბა). XX საუკუნის დამდეგისათვის მსოფლიოში უდიდეს იმპერიას დიდი ბრიტანეთი წარმოადგენდა.

*უახლეს პერიოდში*, პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს იმდროინდელი პოლიტიკური რუკა. არსებობა შეწყვიტეს ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა (პირველი მსოფლიო ომის შემდეგ), ორად გაიყო გერმანია (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ), საზღვრები შეიცვალა ბევრმა სახელმწიფომ.

უახლეს პერიოდში პოლიტიკურ ძალთა და გავლენის სფეროთა გადანაწილების ფონზე, მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების განმსაზღვრელ პროცესებად უნდა ჩაითვალოს:

- მსოფლიოს კოლონიური სისტემის რღვევა;
- სოციალისტური ბანაკის შექმნა და დაშლა;

კოლონიური ტერიტორიების განთავისუფლების, ანუ **დეკოლონიზაციის** პირველი ტალღა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში "აგორდა" და ლათინური ამერიკა მოიცვა. ამ რეგიონში ესპანეთისა და პორტუგალიის ყოფილი კოლონიების უმრავლესობა სუვერენულ ქვეყნებად გარდაიქმნენ.

დეკოლონიზაციის მეორე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპი, XX საუკუნის 40-60-იან წლებზე მოდის, როდესაც დამოუკიდებლობა მოიპოვა აფრიკისა და აზიის 60-ზე მეტმა ქვეყანამ.

უკანასკნელი, მესამე ეტაპი XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე წარიმართა და ყოფილი საბჭოთა კავშირი და ზოგიერთი სოციალისტური ქვეყანა მოიცვა (იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია). ამ ეტაპზე, 70 წლიანი ინტერვალის შემდეგ, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე კვლავ გამოჩნდა ჩვენი სამშობლოც- საქართველო.

საერთოდ, **სოციალისტური ქვეყნების** სისტემის შექმნამ და შემდგომში მისმა დაშლამ უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის პოლიტიკური რუკის ფორმირებაზე.

1917 წელს პირველი სოციალისტური ქვეყანა გახდა საბჭოთა კავშირი, რომელიც რუსეთის იმპერიის საფუძველზე შეიქმნა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი სოციალიზმმა ევროპის, აზიისა და ამერიკის 20-მდე ქვეყანაში გაიმარჯვა. ამ პროცესმა კარდინალურად შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. სოციალისტური ქვეყნებმა შექმნეს ე.წ. "სოციალისტური ბანაკი", რომელიც დედამიწის ტერიტორიის 1/4-ზე მეტს და მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 30%-ს მოიცავდა.

სოციალისტური ქვეყნები, *კომუნისტური* იდეოლოგიის საფუძველზე შეიქმნენ და მათ ლიდერს საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა. ისინი უარყოფდნენ დანარჩენ მსოფლიოში გავრცელებულ საზოგადოებრივი და ეკონომიკური მოწყობის პრინციპებს და ფორმებს (მაგ. საზოგადოების კლასებად დაყოფას, კერძო საკუთრებას და სხვა) და მიზნად ისახავდნენ თავისი იდეოლოგიის და წეს-წყობილების გავრცელებას მთელს მსოფლიოში, რითაც უპირისპირდებოდნენ ე.წ. *"კაპიტალისტურ სამყაროს"*.

ამ დაპირისპირებამ, რომელიც გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით *"დასავლეთ-აღმოსავლეთის"* დაპირისპირების სახელითაც არის ცნობილი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლობალური, ანუ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ფაქტიურად ის გადაიქცა მეტად სახიფათო წინააღმდეგობად/კონფრონტაციად **დასავლურ დემოკრატიასა და ტოტალიტარულ რეჟიმებს შორის**. მიუხედავად იმისა, რომ ეს დაპირისპირება არ გადაიზარდა მესამე მსოფლიო ომში, აღნიშნული პერიოდი *"ცივი ომის"* სახელითაა ცნობილი.

XX საუკუნის ბოლოს სოციალისტურ ბანაკში მომწიფებულმა იდეოლოგიურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა სოციალისტური სისტემის რღვევა გამოიწვია. სუვერენულ სახელმწიფოებად დაიშალნენ საბჭოთა კავშირი, იუგოსლავიის ფედერაცია და ჩეხოსლოვაკია. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ერთიანი გერმანიის სახელმწიფო შექმნეს. ახლად შექმნილმა სახელმწიფოებმა და სხვა ყოფილი

სოციალისტური ქვეყნების უმეტესობამ შეიცვალა იდეოლოგიური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ორიენტაცია. **ამჟამად დედამიწაზე 3**

**სოციალისტური ქვეყანაა დარჩა.**

დღევანდელ მსოფლიოში **270**-მდე ქვეყანაა. მათ შორის 195 *(რიცხვი დასაზუსტებელია – ავტორი)* პოლიტიკურად დამოუკიდებელი ანუ სუვერენული სახელმწიფოა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი დამოუკიდებლად წარმართავენ საკუთარ საგარეო და საშინაო საქმეებს. დანარჩენი ქვეყნები ჯერ კიდევ რჩებიან არათვითმართვად ტერიტორიებად (ანუ კოლონიებად). ისინი ძირითადად ყოფილი კოლონიური იმპერიების ნაშთები არიან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ფორმირების არც ერთ ეტაპზე არ არსებობდა იმდენი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რამდენიც დღეს არსებობს. მაგალითისათვის, XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მხოლოდ 57 სუვერენული სახელმწიფო არსებობდა, მეორე მსოფლიო ომის წინ კი- 71.

ამრიგად, მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ძირითად ელემენტს და პოლიტიკური გეოგრაფიის კვლევის მთავრ ობიექტს სახელმწიფო ანუ ქვეყანა წარმოადგენს. სახელმწიფო არის პოლიტიკურ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე.



### §3.2 ქვეყნები და მათი დაჯგუფება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით

მსოფლიოს თითოეული სახელმწიფო თვითმყოფადია და განსხვავდება ყველა სხვა ქვეყნისაგან. მიუხედავად ამისა, მეცნიერებაში და პრაქტიკაში მიღებულია ქვეყნების დაჯგუფება მსგავსი ნიშნებისა და თვისებების მიხედვით. ეს აადვილებს ქვეყნების შედარებას, მათ დახასიათებას და შესწავლას.

რა პრინციპით ხდება ქვეყნების დაჯგუფება? საყოველთაოდაა მიღებული ქვეყნების დაჯგუფება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, კერძოდ ისეთ რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, როგორცაა ტერიტორიის სიდიდე (ფართობი) და მოსახლეობის რიცხოვნება. ცხრილ 3.1-ში მოცემულია ამ პარამეტრების/ მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიოს 10-10 უდიდესი ქვეყნის ჩამონათვალი.

ცხრილი 3.1. მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები: (2015 წ) ა)ფართობით; ბ)მოსახლეობით

| ქვეყანა             | ფართობი (კმ.კმ) | ქვეყანა              | მოსახლეობა (მლნ) |
|---------------------|-----------------|----------------------|------------------|
| რუსეთის ფედერაცია   | 17,098,242      | ჩინეთი               | 1,367,485,388    |
| კანადა              | 9,984,670       | ინდოეთი              | 1,251,695,584    |
| აშშ                 | 9,826,675       | აშშ                  | 321,368,864      |
| ჩინეთი              | 9,596,960       | ინდონეზია            | 255,993,674      |
| ბრაზილია            | 8,514,877       | ბრაზილია             | 204,259,812      |
| ავსტრალია           | 7,741,220       | პაკისტანი            | 199,085,847      |
| ინდოეთი             | 3,287,263       | ნიგერია              | 181,562,056      |
| არგენტინა           | 2,780,400       | ბანგლადეში           | 168,957,745      |
| ყაზახეთი            | 2,724,900       | რუსეთის ფედერაცია    | 142,423,773      |
| ალჟირი <sup>5</sup> | 2,381,741       | იაპონია <sup>6</sup> | 126,919,659      |

<sup>5</sup> <https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/rankorder/2147rank.html#a>

<sup>6</sup> <https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/rankorder/2119rank.html#rs>

ქვეყნებს, რომლებიც გამოირჩევიან ტერიტორიის სიდიდით ან მოსახლეობის რაოდენობით, დიდ ქვეყნებს ვუწოდებთ. ზოგიერთ ასეთ ქვეყანას “გიგანტ” სახელმწიფოებსაც უწოდებენ. მართლაც, აშშ, რუსეთი, ჩინეთი უდიდეს ქვეყნებს შორის არიან როგორც ფართობით, ასევე ხალხმრავლობით და სავსებით იმსახურებენ ამგვარ სახელს.

- დედამიწის მოსახლეობის 60% მსოფლიოს ათ ყველაზე ხალხმრავალ ქვეყანაზე მოდის.
- დედამიწის ხმელეთის ნახევარი უკავია 7 უდიდეს ქვეყანას. თითოეული მათგანის ფართობი 3 მილიონ კვ.კმ-ს აღემატება.

მსოფლიოს სახელმწიფოთა უდიდეს ნაწილს საშუალო და მცირე/პატარა ქვეყნები შეადგენს. დიდი, საშუალო და მცირე ქვეყნების განმსაზღვრელი რაოდენობრივი პარამეტრები არ არის ზუსტად და ცალსახად დადგენილი. მით უმეტეს, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიძლება განსხვავდებოდეს კონტინენტებისა და რეგიონების მიხედვით. მაგალითად, საქართველო თავისი ტერიტორიით (69.700 კვ.კმ) და მოსახლეობის რაოდენობით (3,720,4 ათასი <sup>7</sup> ადამიანი. ათასწლეულის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა დაახლ. 800 ათასი ადამიანით მეტი იყო. სახეზე გვაქვს მოსახლეობის დეპოპულაცია) მსოფლიოს მასშტაბით მცირე/პატარა ქვეყანაა, თუმცა ევროპული საზომებით ის სავსებით შეგვიძლია მივაკუთვნოთ საშუალო ქვეყნებს.


პატარა ქვეყნების კატეგორიაში გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომელიც გამოირჩევა თავისი ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირით. ასეთი ქვეყნების ფართობი, როგორც წესი, ათას კვადრატულ კილომეტრს არ აღემატება, მოსახლეობა კი-რამოდენიმე ათეულ ათას ადამიანს. მათ “ჯუჯა” ქვეყნებს ეძახიან.

განსაკუთრებით აქტუალურია და ფართოდ გამოიყენება ქვეყნების დაჯგუფება მსოფლიოს ამა თუ იმ მსხვილი რეგიონისადმი კუთვნილების თვალსაზრისით. ქვეყნების ასეთი დაჯგუფება მთლიანად მათ *გეოგრაფიულ მდებარეობაზეა*

<sup>7</sup> <http://geostat.ge>

დამოკიდებული. ვეყნების დაჯგუფება რეგიონების მიხედვით ნაჩვენებია ნახ. 3.1-ზე.

ნახ. 3.1. მსოფლიოს მსხვილი რეგიონები და სუბრეგიონები



მაგალითად, რუკიდან ჩანს, რომ შვედეთი, გერმანია და იტალია დასავლეთ ევროპის რეგიონს მიეკუთვნებიან, ბრაზილია და არგენტინალათინურ ამერიკას, ინდოეთი და ნეპალი- სამხრეთ აზიას. ამასთან ერთად, მსხვილ რეგიონებს ჩვეულებრივ **სუბრეგიონებადაც** (ქვერეგიონებადაც) ყოფენ. მაგალითად, დასავლეთ ევროპის რეგიონი იყოფა ჩრდილოეთ ევროპის, შუა (ცენტრალური) ევროპისა და სამხრეთ ევროპის სუბრეგიონებად. შესაბამისად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც ერთ-ერთ სუბრეგიონს ეკუთვნიან. კერძოდ, შვედეთი- ჩრდილო ევროპას, გერმანია- შუა ევროპას, იტალია კი- სამხრეთ ევროპას.

ზოგჯერ ერთი და იგივე რეგიონსა და სუბრეგიონს სხვადასხვა/პარალელური სახელებითაც აღნიშნავენ. მაგალითად, სამხრეთდასავლეთ აზიას “ახლო აღმოსავლეთს” უწოდებენ, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკას- “შავ აფრიკას”, სამხრეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას- “მუსონურ აზიას”.

გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ქვეყნების დაჯგუფება ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვითაც შეიძლება განხორციელდეს. მის მაგალითებია ქვეყნების დაჯგუფება *კლიმატურ სარტყლებში მდებარეობის, მერიდიანული და განედური განფენილობის და, განსაკუთრებით, მსოფლიო ოკეანეზე პირდაპირი გასასვლელის არსებობის* მიხედვით. მსოფლიოს 40-მდე სახელმწიფოს არ აქვს გასასვლელი ზღვაზე ან ოკეანეზე, რაც უარყოფით ფაქტორად ითვლება ქვეყნის განვითარებისათვის, განსაკუთრებით საგარეო კავშირურთიერთობების განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ასეთი სახელმწიფო- შვეიცარია, ავსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა- მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების რიცხვშია.

ამრიგად, ქვეყნების რეგიონული დაჯგუფებები მხოლოდ გეოგრაფიული ფაქტორით- მდებარეობით არის განპირობებული და არ ითვალისწინებს/ არ ასახავს ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციასა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს.

### §3.3 ქვეყნების მმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ფორმები

ქვეყნების დაჯგუფება შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ზოგიერთი სხვა ნიშნის მიხედვითაც.

ამა თუ იმ ქვეყანაზე მსჯელობისას მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორია მისი **მმართველობის ფორმა**. მსოფლიოში მმართველობის ფორმის მიხედვით სახელმწიფოთა ორ მთავარ ჯგუფს გამოყოფენ *რესპუბლიკებს* და *მონარქიებს*.

*რესპუბლიკური* მმართველობის ფორმა უფრო ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე მსოფლიოში- სახელმწიფოთა 3/4, მათ შორის კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული ქვეყნების უმრავლესობა, სწორედ ასეთი ფორმით იმართება.

*რას გულისხმობს მმართველობის რესპუბლიკური ფორმა?* რესპუბლიკებში უმაღლესი საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის წარმომადგენლობით არჩევით ორგანოს- *პარლამენტს*. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარლამენტი არის ქვეყნის მოსახლეობის მიერ არჩეული წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ორგანო, რომელსაც აქვს სახელმწიფოს მართვისათვისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კანონების მიღების უფლება. ამ კანონების განხორციელების (მათი ცხოვრებაში გატარების) უფლება, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლება კი *მთავრობის* ხელშია.

თავის მხრივ რესპუბლიკა შეიძლება იყოს *საპრეზიდენტო* და *საპარლამენტო*. საპრეზიდენტო რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაურია *პრეზიდენტი*, რომელსაც როგორც წესი, ქვეყნის მთელი მოსახლეობა ირჩევს. მას ძალიან ფართო უფლებები გააჩნია და ის იმავდროულად მთავრობის მეთაურადაც გვევლინება. საპრეზიდენტო რესპუბლიკის კარგი მაგალითია აშშ. ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაშიც ბევრი ქვეყანა წარმოადგენს საპრეზიდენტო რესპუბლიკას. ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

საპარლამენტო რესპუბლიკებში მთავრობას, რომელიც ხშირად მინისტრთა კაბინეტის სახით არის წარმოდგენილი, აყალიბებს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტია (ან პარტიები). მთავრობის მეთაური და ქვეყნის მთავარი ფიგურაა **პრემიერ-მინისტრი**, რომელსაც მნიშვნელოვანი უფლებები გააჩნია. პრეზიდენტი ასეთ რესპუბლიკებშიც ითვლება სახელმწიფოს მეთაურად, თუმცა მას ძირითადად წარმომადგენლობითი ფუნქციები აქვს და მისი ძალაუფლება შეზღუდულია. მას პარლამენტი ირჩევს. საპარლამენტო რესპუბლიკის მაგალითებია გერმანია, იტალია და ევროპული სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა.

არსებობს **შერეული ტიპის** საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკებიც. ასეთია მაგალითად საფრანგეთი.

**მონარქია** მმართველობის ისეთი ფორმაა, როდესაც სახელმწიფოს ჰყავს ერთპიროვნული მეთაური მონარქის- იმპერატორის, მეფის, ჰერცოგის, თავადის, სულთანის და ა.შ.- სახით. მისი უზენაესი ძალაუფლება მემკვიდრეობით გადაეცემა. მსოფლიოში 30-მდე მონარქიაა.

მონარქიებიც ორი სახისაა- *კონსტიტუციური* და *აბსოლუტური*. კონსტიტუციურ მონარქიებში მონარქი “მეფობს, მაგრამ არ მართავს”. მის ხელისუფლებას/ძალაუფლებას მნიშვნელოვნად ზღუდავს პარლამენტი. სწორედ პარლამენტს ეკუთვნის რეალური საკანონმდებლო ძალაუფლება, ხოლო აღმასრულებელ ძალაუფლებას მთავრობა ფლობს. მონარქის ძალაუფლება კი მხოლოდ სიმბოლურია. მსოფლიოში ყველაზე ძველი კონსტიტუციური მონარქიაა დიდი ბრიტანეთი. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია შვედეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები, ბელგია, ესპანეთი, იაპონია.

აბსოლუტურ მონარქიებში მონარქის უფლებები შეუზღუდავია და იგი სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს წარმოადგენს. მონარქები ერთდროულად წარმოადგენენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მეთაურებს. აბსოლუტური მონარქიების რიცხვი

დღეს მსოფლიოში ძალიან მცირეა და ძირითადად სპარსეთის ყურის/არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებით შემოიფარგლება.

ცალკე გამოყოფენ **თეოკრატიულ მონარქიებს**, როცა მონარქი რელიგიური ლიდერიცაა. ისინი აბსოლუტური მონარქიის ერთგვარ იშვიათ სახეობად უნდა ჩავთვალოთ. მათ მიეკუთვნება ვატიკანი რომში, საუდის არაბეთი და ბრუნეის სასულთნო- სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ფართოდაა მიღებული ქვეყნების დაჯგუფება **ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის**, ანუ ტერიტორიის დაყოფის მიხედვით. ამ თვალსაზრისით განირჩევიან **უნიტარული** და **ფედერაციული** სახელმწიფოები.

მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა უნიტარულია, ანუ ერთიანია. ასეთ ქვეყნებში მთელს ტერიტორიაზე თანაბრად ვრცელდება ქვეყნის ხელისუფლების/ცენტრალური ხელისუფლების მმართველობა. ფედერაციულ სახელმწიფოებში კი ადმინისტრაციული ერთეულები/ფედერაციის სუბიექტები (შტატები, პროვინციები, მიწები, კანტონები, ზოგან კი რესპუბლიკები) ფართო ავტონომიით, ანუ თვითმმართველობით სარგებლობენ. ფედერაციის სუბიექტებს ჰყავთ თავიანთი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, თუმცა მათი მოქმედება არ ეწინააღმდეგება საერთო-სახელმწიფო ინტერესებს. ამასთან ერთად, ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ფუნქცია - თავდაცვა, საგარეო ურთიერთობები და სხვა- ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების ერთპიროვნულ პრეროგატივას წარმოადგენს.

მსოფლიოში სულ 22 ფედერაციული სახელმწიფოა. ზოგიერთ მათგანში, როგორებიცაა რუსეთი, შვეიცარია, ინდოეთი, ნიგერია, ტერიტორიული ერთეულები ძირითადად ეროვნული/ეთნიკური პრინციპითაა გამოყოფილი. სხვა ქვეყნებში კი - მაგალითად გერმანიაში, ავსტრიაში, აშშ-ში- ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებების მიხედვით.

სახელმწიფოთა დაჯგუფების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა დაჯგუფება **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის** მიხედვით. ასეთ დაჯგუფებას ბევრი არაფერი აქვს საერთო ქვეყნების პოლიტიკურ მრწამსთან და ორიენტაციასთან. რა უდევს საფუძვლად ქვეყნების განვითარების დონის განსაზღვრას?

ქვეყნის განვითარების დონის დასადგენად, როგორც წესი, სხვადასხვა მაჩვენებლების ერთობლიობას იყენებენ. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ქვეყნის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე. სხვა მაჩვენებლებია მოსახლეობის განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა და ა.შ. ამ მაჩვენებლების მიხედვით განასხვავებენ **განვითარებულ** და **განვითარებად** ქვეყნებს.


**განვითარებულ ქვეყნებს** მიაკუთვნებენ მსოფლიოს 60-მდე ქვეყანას. მათ შორის გამოირჩევა 7 ყველაზე დაწინაურებული სახელმწიფო, ე.წ. “დიდი შვიდეული”, რომელშიც შედიან აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და კანადა. სხვა განვითარებული ქვეყნები ძირითადად დასავლეთ ევროპის საშუალო და პატარა სახელმწიფოებია. ამავე ჯგუფს მიეკუთვნებიან ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

მსოფლიოში გაცილებით მეტია **განვითარებადი ქვეყანა**. მათი რიცხვი დაახლოებით 150-ს შეადგენს. ამ ჯგუფში გაერთიანებული ქვეყნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან განვითარების დონითა და მოსახლეობის კეთილდღეობის მაჩვენებლებით. მაგალითად, ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისეთი გიგანტი ქვეყნები, როგორებიცაა ინდოეთი და ბრაზილია, უკანასკნელ ათწლეულებში სწრაფად პროგრესირებადი სამხრეთ კორეა, სინგაპური და ჰონკონგი, ნავთობის მოპოვებით “გამდიდრებული” საუდის არაბეთი და ქუვეითი, “ლატაკი” ბანგლადეში, ავღანეთი, ეთიოპია და ჰაიტი. ამის გამო ფართოდაა მიღებული განვითარებული ქვეყნების დაყოფა ქვეჯგუფებად, როგორც ეს **ნახ. №32-ზეა** ნაჩვენები.



გარდა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისა, მიმდინარე ეტაპზე გამოყოფენ *გარდამავალი ეკონომიკის* მქონე ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც 1990-იან წლებამდე სოციალისტურ ქვეყნებად მოიხსენიებოდნენ. მათ მიეკუთვნებიან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიც. საერთო ჯამში ასეთია 25 სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების განვითარების დონეებს შორისაც დიდი განსხვავებები არსებობდა, ჯერჯერობით ისინი მაინც ერთ ჯგუფში ერთიანდებიან. თუმცა ცხადია, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი ერთი ნაწილი განვითარებული ქვეყნების ჯგუფს შეუერთდება (მაგ. ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვენია), მეორე ნაწილი კი განვითარებადი ქვეყნების რიგს შეაგებს.

**ნახ. 3.2. ქვეყნების დაჯგუფება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით**



*შენიშვნა:* ქვეყნების განვითარებულობის შეფასება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით მრავლად შეიძლება მოვიძიოთ სამეცნიერო ლიტერატურასა და ექსპერტულ ანგარიშებში. წინამდებარე ვარიანტი ერთ-ერთი მათგანია, რომელიც მოყვანილია შემდეგი წყაროს მიხედვით: [www.egt.geog.uu.nl/world\\_ecdev.html](http://www.egt.geog.uu.nl/world_ecdev.html)

### §3.4 საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო ორგანიზაციები

ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მისი *საგარეო კავშირურთიერთობები*, ანუ ურთიერთდამოკიდებულება სხვა ქვეყნებთან. ცალკეული ქვეყნების საგარეო კავშირურთიერთობები მსოფლიოს მასშტაბით ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა რთულ სისტემას ქმნის, რაც *საერთაშორისო ურთიერთობების* სახელითაა ცნობილი.

*რა განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს მსოფლიოში? საუკუნეების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობებს ძირითადად განსაზღვრავდა დიდი და ძლიერი სახელმწიფოების ლტოლვა ახალი ტერიტორიების შემოერთების, უფრო სუსტი სახელმწიფოების დაპყრობის, თავიანთი გავლენის სფეროების გაფართოებისათვის.*

ამ მიზნების რეალიზაციას საფუძვლად ედო რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ იდეოლოგიური დაპირისპირებები. მათი განხორციელება კი, როგორც წესი, ომების, დაპყრობების, კოლონიზაციის გზით ხდებოდა. ეს, თავის მხრივ, ხშირად იწვევდა უკუპროცესებს განმათავისუფლებელი მოძრაობების, რევოლუციების, დიქტატორული რეჟიმების დამხობის სახით. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მთელი ისტორიის მანძილზე წამყვან როლს თამაშობდა *ძალადობრივი* პოლიტიკა და ნაკლები გასაქანი ჰქონდა ურთიერთმისაღებ პირობებზე დაფუძნებულ *დიპლომატიურ* გადაწყვეტილებებს.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, მსოფლიოში არსებული მთელი რიგი დაპირისპირებების მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიკვეთა **კონფრონტაციიდან მშვიდობიან თანაარსებობაზე** გადასვლის ტენდენცია. ბევრი ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში განმსაზღვრელი პრინციპი გახდა

კეთილმეზობლობა, ურთიერთგაგება და თანამშრომლობა. შედეგად, მსოფლიოში შემცირდა დაძაბულობა და გაიზარდა უსაფრთხოება.

ამის მიუხედავად თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს არაერთი პრობლემა, რომელთა მოგვარება საერთაშორისო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს. რა მთავარი პრობლემები დგას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების წინაშე?

ძირითადად ეს პრობლემები უკავშირდება *კონფლიქტებს* ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში. კონფლიქტები თავისი მასშტაბით შეიძლება დაფიქსირდეს *ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ* კონფლიქტებად. ლოკალური კონფლიქტები, როგორც წესი, რომელიმე ქვეყნის შიგნით, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების დაპირისპირების გზით წარმოიშობა (მაგ. აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტი საქართველოში, ჩეჩნეთისა- რუსეთში, კათოლიკებისა და პროტესტანტების ჩრდ. ირლანდიაში და ა.შ.). რეგიონულ და გლობალურ კონფლიქტებში კი სხვადასხვა ქვეყნები და ქვეყნების ჯგუფები არიან ჩართული.

კონფლიქტები თავისი ბუნებით შეიძლება იყოს *ტერიტორიული, ბუნებრივ-რესურსული ან ეკოლოგიური*. ტერიტორიული კონფლიქტები, როგორც წესი, გამოწვეულია ორი ან მეტი სახელმწიფოს პრეტენზიით ერთი და იგივე ტერიტორიის მიმართ. ასეთი კონფლიქტები ძირითადად სასაზღვრო არეალებში/რაიონებში იჩენს თავს. მის მაგალითს წარმოადგენს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაპირისპირება მთიანი ყარაბაღის გამო, ან ისრაელისა და მისი მეზობელი ზოგიერთი არაბული ქვეყნის კონფრონტაცია. ხშირად ამგვარი კონფლიქტების საფუძვლად რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები გვევლინება.

სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ტერიტორიული კონფლიქტები შეიარაღებულ და სისხლისმღვრელ დაპირისპირებებში გადაიზრდება ხოლმე. ასეთ ადგილებს "*ცხელ წერტილებს*" უწოდებენ და მათ არსებობას დედამიწაზე **ნახ. 3.3** გვიჩვენებს.

ნახ. 3.3. საერთაშორისო კონფლიქტები და "ცხელი წერტილები"



ბუნებრივ-რესურსული კონფლიქტები ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე პრეტენზიის შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას. მისი გავრცელებული სახეებია დაპირისპირებები სანაპირო წყლებში თევზჭერის წარმოების გარშემო (მაგ. ისლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის), ან მინერალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოპოვებისა და გამოყენების გამო (მაგ. ნავთობის რესურსების ათვისება ჩრდილოეთის ზღვაში, კასპიის ზღვაში და სხვა).

ეკოლოგიური კონფლიქტები ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე დაწყებული სახიფათო ეკოლოგიური პროცესების სხვა ქვეყნებისა და რეგიონების ტერიტორიებზე გავრცელების შემთხვევაში შეიძლება წარმოიშვას. ასეთ პროცესებად უნდა

ჩავთვალთ ჰაერისა და წყლის მასების დაბინძურება, გაუდაბნობა, სანაპირო ხაზის ცვლილება და სხვა. მაგალითად, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებამ, რომელიც უკრაინაში, ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოხდა, სერიოზული საფრთხე შეუქმნა არა მარტო მეზობელი ქვეყნების, არამედ შედარებით მოშორებული სახელმწიფოების მოსახლეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივ-რესურსული და ეკოლოგიური პრობლემები/საკითხები უშუალოდ არ მიეკუთვნებიან პოლიტიკის სფეროს, მათი გამწვავებისა და დაპირისპირების გამძაფრების შემთხვევაში შესაძლებელია მათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ საერთაშორისო ურთიერთობებზე და შეიარაღებული კონფლიქტების ხასიათიც კი მიიღონ. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთში მომხდარ ირან-ერაყის და აშშ-ერაყის ომების ერთ-ერთ მიზეზს ბუნებრივრესურსული, კერძოდ ნავთობის გარშემო შექმნილი კონფლიქტებიც წარმოადგენენ.

შეიარაღებულ კონფლიქტების ფონზე დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის მწვავე პრობლემას წარმოადგენს *ტერორიზმი*, რომელიც დიდ საფრთხეს უქმნის ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების მშვიდობიან მოსახლეობას. საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემებად უნდა მივიჩნიოთ მსოფლიოში *ბირთვული შეიარაღების არსებობა*.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რამდენიმე ქვეყანამ შექმნა ბირთვული იარაღი, რამაც დიდი საფრთხე შეუქმნა მთელს კაცობრიობას. იმის გამო, რომ ბირთვული იარაღის გამოყენებამ შესაძლოა მთელი ჩვენი პლანეტის განადგურება გამოიწვიოს, ასეთი იარაღის მქონე ქვეყნებმა აშშ-მ, სსრკ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ჩინეთმა- 1970 წელს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას *ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის* შესახებ.

მიუხედავად ამისა, ინდოეთი, პაკისტანი, ირანი, ერაყი, ისრაელი, ჩრდ. კორეა და ზოგიერთი სხვა ქვეყანა აგრძელებდა და დღესაც აწარმოებს ამ აკრძალული იარაღის შექმნასა და გამოცდას (მაგ. 1998 წელს ბირთვული იარაღი გამოსცადეს ინდოეთმა და პაკისტანმა). მიუხედავად გარკვეული კონტროლისა, ბირთვული იარაღის რაოდენობა მსოფლიოში ძალიან დიდია და მისი გამოუყენებლობის სრული გარანტია შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობისას, არ არსებობს.

ზემოთჩამოთვლილი პრობლემების გამო, ბევრმა სახელმწიფომ გააცნობიერა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გლობალური და ლოკალური პრობლემების გადაჭრისათვის უფრო ეფექტურია მსგავსი ინტერესების მქონე სხვა ქვეყნებთან *გაერთიანება* და *კოლექტიური* ძალისხმევა. ამან გამოიწვია **საერთაშორისო ორგანიზაციების** შექმნა და მათი როლის სწრაფი ზრდა საერთაშორისო ურთიერთობებში.

დანიშნულებისა და დაკისრებული ამოცანების მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციები შეიძლება იყოს *უნივერსალური, სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური* და სხვა.

მთავარი საერთაშორისო უნივერსალური ორგანიზაციაა ***გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)***. მისი ამოცანაა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დაძაბულობის შენელება და სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით მოგვარება.

|   |
|---|
| <p><b>გაერო</b> შეიქმნა 1945 წელს. მისი შტაბ-ბინა ნიუ-იორკში მდებარეობს. გაეროს წევრია პრაქტიკულად ყველა დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ევროპისა და ოკეანეთის ზოგიერთი ჯუჯა სახელმწიფო. გაერო 190-ზე მეტ წევრ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოსაც, აერთიანებს.</p> <p>გაეროს ძირითადი მუშა ორგანოა უშიშროების საბჭო, რომელიც ხუთი</p> |
|---|

მუდმივი წევრისგან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი და ჩინეთი) შედგება და თითოეულ მათგანს აქვს ვეტოს უფლება.

გარდა ამისა, მისი მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო.

გაეროში გაერთიანებულია აგრეთვე რამდენიმე სპეციალიზებული ორგანიზაცია, მაგალითად: იუნესკო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ა.შ.

სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციებიდან უმთავრესია *ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)*, რომლის ძირითადი მიზანია საკუთარი წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

**ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)** შეიქმნა 1949 წელს და მისი შტაბ-ბინა ბრიუსელშია განლაგებული. თავდაპირველად ის იყო სამხედრო-პოლიტიკური კავშირი საბჭოთა და კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ. სოციალისტური ბანაკის მხრიდან მას უპირისპირდებოდა *ვარშავის ხელშეკრულების კავშირი*, რომელშიც სსრკ და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნები შედიოდნენ.

სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ ნატო ფართო პროფილის მძლავრ პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა, თუმცა თავის ძირითად მიზნად კვლავაც საკუთარი წევრი ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ისახავს. ნატოს წევრია 28 სახელმწიფო<sup>8</sup> და აქტიურად ღვას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე მისი შემდგომი გაფართოების საკითხი.

საერთაშორისო ურთიერთობებში ასევე დიდ როლს ასრულებენ სახელმწიფოთა რეგიონული გაერთიანებები. ამის მაგალითებია *ევროპის საბჭო* და *ევროპული*

<sup>8</sup> <http://www.nato.int/nato-welcome/>

თანამეგობრობა (ევროკავშირი), რომლებიც ქმედითუნარიან და ავტორიტეტულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

**რეგიონული ორგანიზაციები**

ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წელს. მისი შტაბ-ბინა სტრასბურგში (საფრანგეთი) მდებარეობს. ის ევროპის სახელმწიფოების კონსულტაციური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციაა. ისი ძირითადი ფუნქციებია ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, ჰუმანისტური თანამშრომლობა, კულტურისა და ეკოლოგიის სფეროები. მის შემადგენლობაში დასაველეთ ევროპის ქვეყნებთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოც შედის. 1999 წლიდან ამ ორგანიზაციის წევრია საქართველოც.

ევროპული თანამეგობრობა (ევროკავშირი) დღევანდელ მსოფლიოში დემოკრატიისა და სამართლიანობის დაცვის ერთ-ერთი საყრდენია. ევროპელთა თანამეგობრობას საფუძველი ჯერ კიდევ 1952 წელს ჩაეყარა, როცა შეიქმნა "ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება". მასში შემაჯალმა ექვსმა წევრმა - გერ-მ, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა, იტალიამ, ბელგიამ, ნიდერლანდებმა- 1957 წელს შექმნეს "ევროპის ეკონომიკური გაერთიანება" (საერთო ბაზარი). შემდგომში მათ შეუერთდნენ დანია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, შვედეთი და ფინეთი. ამ გაერთიანებას თავდაპირველად ევროპული ქვეყნების ეკონომიკური განვითარება/ წინსვლა ჰქონდა მიზნად. თანდათანობით ორგანიზაციის მოღვაწეობის არე გაფართოვდა და მან პოლიტიკის სფეროც მოიცვა. ევროპული თანამეგობრობის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქცია აკისრია ევროპის კომისიას. საკანონმდებლო ორგანოა - წევრ სახელმწიფოთა მინისტრთა საბჭო. თანამეგობრობაში შემაჯალი ქვეყნების ყველა მოქალაქე ირჩევს ევროპარლამენტს. ევროკავშირის ცენტრად ითვლება ბრიუსელი.

სხვა რეგიონული ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია: ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, არაბული ქვეყნების ლიგა, ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ჩრდილოეთის საბჭო,



ისლამური კონგრესი, აგრეთვე შავი ზღვის ქვეყნების თანამეგობრობა (ბისეკი), რომელიც 1992 წელს შეიქმნა 12 სახელმწიფოს შემადგენლობით და მისი წევრია საქართველოც.

გაველენიანი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მაგალითს წარმოადგენენ *ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკი), მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი* და სხვა. მათ ძირითადად ეკონომიკური პროფილე აქვთ, მაგრამ ხშირად პოლიტიკურ საკითხებზეც ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას (მაგ. ნავთობისა და საწვავის ფასები მსოფლიო ბაზარზე დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე).

ამრიგად, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პრიორიტეტს ქვეყნებისა და რეგიონების უსაფრთხოება და ურთიერთ თანამშრომლობა წარმოადგენს, რაშიც მზარდ როლს საერთაშორისო ორგანიზაციები თამაშობენ.

